652/
1963/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

652/3

საქართველოს

19

1963

ლიტერატურული-მხატვრული და
საზოგადოებრივ - პოლიტიკური
ჟურნალი

საქართველოს მწერალთა
კავშირის აჭარის
განყოფილების ორგანო

ალაზანი

9925

1

1963

იანვარი
თებერვალი

შინაარსი

ნ. გვარიშვილი — ლექსები 3
პ. რურუა — ღრუბელი ლურჯ ცაზე (ლექსი) 5
ფრ. ხალვაში — უმიანი (მოთხრობა) . . 6
ჯ. ჯაყელი — ლექსები 14
კ. რუსიძე — ორი მოქმედება (მოთხრობა) . .16
შ. როყვა — ლექსები 23
გ. სანადირაძე — სინაზე (მოთხრობა) . . 25
ზ. გორგილაძე — ლექსები 33
ჰ. ბასტიანი — მაისის შროშანები (მოთხრობა, გერმანულიდან თარგმნა ვ. ჭანუყვაძემ) 35
უ. საროიანი — პიანინო (მოთხრობა, ინგლისურიდან თარგმნა გ. მაჭუტაძემ). . 37

კუგლიკაცია

ლ. გელაძე — ლექსები 40

დღეები და ადამიანები

ალ. ჩხაიძე — დამორჩილებული ჭოროხი. . 43

კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ვ. კიკნაძე — შენიშვნები ტრადიციულისა და ნოვატორულის შესახებ 48
ნ. დუმბაძე — ტიციან ტაბიძის პოეზიის ძირითადი მოტივები 54

აჭარის სახელმწიფო გამომცემლობა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ნანა გვარიშვილი

ჩემს აჭარის ზეცაზ

შენი ლამაზი თვალებით
მე სიზმარშიაც ვტკბებოდი,
ახლა შორს მიტომ წავედი,
რომ უფრო მომნატრებოდი.
გარს მეხვევიან ფარფატა
შენი ზღვის ლურჯი ნისლები.
დავუჩხვლეტივარ ხანდახან
ვარდს მისი ეკალ-ისრებით?
რა ვუყოთ, ძნელი ყოფილა
ტრფობა ბულბულის ჰანგებით.
არა გთხოვ მომეფერეო,
ჭირიმე შენი ვარდების,
ამითაც არ შეგაწუხებ,
ჩრდილი ვარ შენი ყვავილის,
შენი თოლიის ჩრდილი ვარ,
თრთოლვით ნაპირს რომ
ჩაივლის.

დერჩი, 1962 წ.

სისხამ დილით

რთველზე ფეხი დაუსველდა,
დასდევს ფოთოლს შმაგი ქარი,
ვენახებზე ყვითლად ბრწყინავს
ქარვისფერი ყელსაბამი.
ველს ჭაღარა მოსდებია,
ეს ყაყაჩოც სად წავიდა?
სცვივა თეთრი მარგალიტი
თავთუხს ყვითელ წამწამიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ჩვენს წინ ზღვა ისე ჩაჩუმებულა,
თითქოს თვლემს რთველში მთრთოლვარე ველი.
შორეთში გემი ქოხივით მოსჩანს,
შიგ კვლავ კანკალებს ერთი კანდელი.
შენს ხმაში ისმის ნაზი ვედრება:
— მომეცი შენი პატარა ხელი.

* * *

ო, რა ტკბილი გაქვს ჩხრიალი,
სოფლის პატარა ღელეო,
ბალახებს თავზე ევლები —
ერთხელ მეც მომეფერეო.

* * *

დაიმსხვრა ლურჯი ტბის სარკე ნიჩბით,
პატარა ნავის მიგვიძღვის ჩრდილი.
ვიღაც ლერწმებში მეძახის ჩუმად —
იყავი მუდამ მეფე სურვილის.
ჰო, ასე იყოს. ჩემო მეუფევ,
მე შენზე ფიქრის ჩავვარდე დილეგს,
ოღონდ შენ ერთმა მარწმუნე გრძნობა
და ჭაბუკურად მიავთანდილე.

* * *

ბროლის ლარნაკში იცინის
ორი ლამაზი თვალი,
პატარა იის ფერი აქვს
და მისი ნაპერწკალი.

შენი თვალების ფერი აქვს,
რატომღაც ასე მჯერა.
უცნაურია, რად ვდარდობ —
პირველი ვინ მოგეფერა?



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰარმენ რურუა

ღრუბელი ლურჯ ცაზე

ღრუბელი ლურჯ ცაზე
მე რას არ მაგონებს,
ის ცოცხალ არსებას
ჰგავს უფრო მგონია!
ღრუბელი ხან კაცის
ხატებას ატარებს,
ხან ფაფარაყრილი
მძვინვარე ლომია.
ღრუბელში მე ვხედავ
გოგონა ქოლგას შლის,
უკან კი მიყვება
მას ძაღლი ბროლია!

ვიღაც სივრცეში
ყალიონს აჩაღებს,
ყალიონს ეწევა
და ნისლის ბოლია.
ღრუბელი ათასგვარ
სახეებს ღებულობს,
ღრუბელი ყოველთვის
განცდების ზღვაშია!
სულ მიდის და მოდის,
ბინა კი არსად აქვს, —
საბრალო ღრუბელი
ყოველთვის გზაშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიდონ ხალვაში

უმიანი

პატარა ღელეს სოფელი ზუსტად შუაზე გაუყვია და მხიარულად მიჩხრიალებს ანკარა მთის წყალი შავ ლოდებს შორის თავდაღმა. იქ კი, ბარში, აჭარისწყალს ემატება, მერე ჭოროხს ემატება, მერე ზღვას ემატება...

სოფელს თაო ჰქვია, ნაკადულს — თაოსწყალი. სოფლის ბოლოს, ზეგ წყლისპირთან, პატარა ბექობზე ხის ახალაშენებული თეთრი ოდა-სახლი დგას.

აქ ყველაფერი ისე დიდებულია და ისე თავისებური იერი აქვს, რომ უთუოდ გულში გაგივლის: ამ სოფლის გარეშე ქვეყანა ვიწრო იქნებოდა, იმ თეთრი პატარა ოდის გარეშე სოფელი არ იქნებოდა, ხოლო თაოსწყლის გარეშე ზღვა დაშრებოდა.

რამდენადაც სოფლის შუაგულისაკენ წახვალ, სახლები თანდათან შავდებიან, განაპირა ადგილებში უფრო თეთრ-თეთრი ოდები შემოგხვდებიან. ეს იმიტომ, რომ სოფელი იზრდება, ფართოვდება. ახალი სახლები გარეუბნებში შენდება, შუაგულში სიძველით შავდებიან.

იმ პატარა ოდას, თაოსწყალთან რომაა ბექობზე, უმიანის სახლს ეძახიან.

მართალია, უმიანს ქმარიცა ჰყავს და ორი ბავშვიც, მაგრამ ჯელილი შარშან დაბრუნდა ჯარიდან და, რადგან სამ წელიწადს იმ პატარა საკარმიდამოში მარტო უმიანი ტრიალებდა, რადგან მოზიდული წაბლის მორები თვითონ დაახერხინა, უსტა მოიყვანა და ოდა მარტომ ააშენებინა, ხალხი ასე მიეჩვია: სახლს უმიანისას ეძახის.

ახლა სტუმარია მასთან. ორი დღეა, ქალაქელი ბიძაშვილი თამრო ამოვიდა. შემოდგომაზე ასე იციან ქალაქელებმა — ნათესავები გაახსენდებათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოდგომის დღე არაჩვეულებრივად თბილი იყო.

ქალები ეზოში ისხდნენ.

ორ სულ ერთნაირად შავტუხა თავგოროხა ბიჭს ნალიის ქვეშ სიმინდის ხვიტებით ხოხოლა აჰყავდა და ისევ ანგრევდა. ბიჭები ტყუპები არიან და არა მარტო შეხედულებით, ხმითაც კი ერთმანეთს გვანან.

თამროც აქაურია, თაოელი. ქმარი ქალაქში სამუშაოდ გადაიყვანეს. დიდი ხნის წინათ და თავადაც თანდათან გაქალაქელდა. კოხტად აცვია. აგურისფერ შალის კაბაზე კაპრონის ხრაშუნა საწვიმარი ნამდვილად უხდება. ფეხები? უმიანს კარგად ახსოვს, რაც იყო თამრო აქ ყოფნისას. ახლა თითქოს ფეხებიც დაწვრილებია, დათეთრებია. ხელები მთლად ბამბასავით აქვს. თმები მოკლედ შეუკრეჭია, უცნაურად გადაუჭიმავს თავზე და უკან დაუბულულებია.

სახე გაქარქალებული აქვს და აზიმზიმებული. ტუჩები თავიდან ძალიან თხელი ჰქონდა, ახლა რამ დაუსქელა ასე ძალიან, პირდაპირ უკვირს უმიანს. კარგად რომ დააკვირდა, მიხვდა: ისე ფართოდ შეეღება, რომ...

თვითონ?

იაზმით შეხვეული თავი. მარტო თვალები და ცხვირი უჩანს. ვითომ ჩადრს არ იხურავს, მაგრამ ჩადრია ეს, აბა რაა!

— ვერ გამოვყორეთ ერთი სახლი, აღარ გვეყო და... — ეუბნება თამროს.

სახლი ჯერ ისევ ბოძებზე დგას. ბოძებზე ხომ სულ არ იდგმება სახლი, ან კედელი უნდა აეგოთ ქვეშ, ან ყორე დაეყენებინათ. ქვები მოზიდულია, ნახევარი კიდეც გაუთლია ვიღაცას და აწყვია ახალგათხრილი გზის გაყოლებით. ელოდება ქვები კაცის ხელს, მაგრამ სადაა...

უმიანმა „აღარ გვეყოო“ რომ თქვა, თამრომ თავი მოაბრუნა და იფიქრა: ასეთი არიან სოფლელები, დაგინახავენ კარგად ჩაცმულს, ჰგონიათ, ფარა გოდრით გაქვს მიდგმული და შეგჩივლებს, ეს არაა, ის არაა.

სულაც არ შეუჩივლია უმიანს. ამით მან სულ სხვა რამე თქვა. ქმარზე უნდოდა ეთქვა ორი ღერი სიტყვა, მაგრამ ისე უყმურად მიაბრუნა თავი თამრომ, მაგი არცაა ღირსი ისეთი საიდუმლო გავუმხილო, როგორიც ქმრის საყვედურიაო, — იფიქრა.

ისე მართლაც სახსენებელია ჯელილი, აბა რაა!

ჯარში იყო, ქალმა სულ მარტომ ოდა ააშენა, ახლა შინაა და ყორეც ვერ აუყვანია.

— გამოყორავთ... ეს იმფერი გამომცხვარი ადგილია, რომ სიმინდი ძვალივით იქნება გამაგრებული...

„ჯანაბას, გავატან ნახევარ ტომარა სიმინდს“, — გაიფიქრა უმიანმა.

— კი, სიმინდი კოლექტივიდანაც მოვზიდე, ნალია ფეფენიკამდე აივსო. ნახევარი უკანვე გადმოვყარეთ, თვარა არ გახმებოდა ხეირიანად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი კარგად მოხვდესო გულზე თამროს, — და დაუმატა:

— წლეულს ამ ხაპებმა გადაირია თლათ. წაბლა ხაპებს კაცი ვერ გადაახტებოდა, იმხელვანი დაიზარდა. შეწვავ და — ფუნჩხი! ხელში ვერ დაიჭერ, დაგებნევა, ისე მშრალია. ერთი ვერ ჩამვედი ქალაქში, რომ წამომეღო. ახლა რაფერ დაგჭვირთო, თვარა გაგატან.

„არ იკადრებს წაღებას, თვარა მართლა გავატან“, — ფიქრობდა უმიანი.

თავსა და ყელზე მაგრად მოხვეულ იაზმაში განსაკუთრებულად ფართოდ მოუჩანდა თვალები. დიდი, ოდნავ მზემოკიდებული შუბლის ბოლოს ღუზღუზა შავ წარბებს გეგონებოდა ნახშირი გადაუსვესო. ლოყები სავსე ჰქონდა, მწიფე კახამბალივით ალაგ წითლად შეღაჟღაჟებული.

თამრო რა დღეს აყენებდა სახეს და მაინც ასე ვერ აღაჟღაჟებდა. მაგრამ რა საწყალია გლეხის ქალი, არ იცის, რა სილამაზეს მალავს. იმას რომ არ წავყოლოდი, მეც ასე არ ვიქნებოდი? — ფიქრობდა სტუმარი.

— მანქანები ბევრია, არ გამიჭირდება, — უპასუხა თამრომ. ესე იგი, თუ დამჭვირთავ, კი წავიღებო... — ერთი ჯელილაი მენახა მაინც.

— ნახავ რა, ამღამ ვინ გიშვებს ვითამ.

— აჰ, ამაღამ წავიდე უნდა.

„წახვიდე, თვარა დიდი ყანები არ გქონდეს მოსაფოცხი იმ შენ ხოკერ ოთახში“, — ფიქრობდა გაჯავრებული უმიანი. — რა უნდა, რომ მირბის. მე მკითხე, სახლს ვერ მოვცილებივარ, თვარა... ერთი ველარსად გავიხედე, დავები და დავები. ამას უყურე, დღენახევარია აქაა და უკვე მოწყინდა. მე მკითხოს ერთი. ყანა, ბაღჩა, ბოსტანი, სახლი, ძროხა, ქათამი მე შემომყურებს. ერთ დღეს რომ ეზო-კარი უჩემოდ დარჩეს, წყალი რაა, ისიც იხელთებს დროს, გასივდება რუში, გადმოხეთქავს და გადამიღვარავს ყველაფერს“.

— მეიცაი, თამრო, მართლა, ახლა ჯელილი არ ნახო, რაფერ იქნება.

— სადაა ამდენხანს?

— მოვა მალე.

ჯელილი ჯარიდან ჩამოვიდა თუ არა, ფიზკულტურის მასწავლებლად დანიშნეს. თოხს ნუ დააკავებინებ და თუ გინდა დილიდან საღამომდე აღმადაღმა აჭენე. ჭენება კიდევ კარგია, ჭენებაც ეზარება თორემ.

საშინლად ვერ იტანს ჯდომის მოყვარულ ხალხს უმიანი. პირველ ხანებში დიდი ჩხუბი ჰქონდათ. „რათ გინდა ფიზკულტურის მასწავლებლობა, — ეუბნებოდა, — მოდი აგერ, მოვეხმაროთ ერთმანეთს. მე მარტომ ავავსე აქაურობა და, შენ რომ ამომიდგე გვერდში, ვინღა დაგვეწევა“.

— არა, ვერ ვიმუშავებ მიწაზე, — ეტყოდა ჯელილი.

ჯარიდან ახალჩამოსული იყო, დაეხათრა უმიანს და დაუთმო.

ერთ დღეს სკოლის ეზოს ჩაუარა, შორი-ახლო გაჩერდა და ფიზკულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურის სათამაშოდ გამოყვანილ ბაღნებს უყურა. წინ მისი ჯელილი იდგა. ააშვერდა ხელებს აღმა, ააშვერდნენ მოწაფეებიც, დაუშვებდა, დაუშვებდნენ ისინიც. მერე ჯოხები ააშვერია ბაღნებს აღმა-დაღმა.

„მაგ ჯოხების ტყვილად აღმა-დაღმა ქნევას, — ფიქრობდა უმიანი, — თოხი მოიქნიეთ, თქვენც ივარჯიშებთ და მიწაც გაიხარებს". მაგრამ ეს აზრი ვერავის უთხრა, არ გამცინონო.

ჯელილს ყოველთვის მეხუთე ან მეექვსე გაკვეთილი ჰქონდა ჩასატარებელი. მაინც დილიდან მიდიოდა. გაათავებდა და საღამომდე არ ბრუნდებოდა.

— გაკვეთილის გეგმა მქონდა შესადგენი, — იტყოდა საღამოს.

„მომკლა იმის გეგმებმა. — ჯავრობდა გულში უმიანი. — ხელ-ფეხის აღმა-დაღმა ქნევას რა გეგმა ჭირია".

მაგრამ ბოლოს შეკითხვებსაც დაანება თავი. ტყუილად რაზე იშალოს ნერვები. არ უყვარს ჩხუბი, ზედმეტი ჭარტალი, როგორც ზოგიერთ ქალს.

ჯერჯერობით ჯანი ერჩის, წელი და მუხლი არ ტკივა, საკარმიდამოს უვლის, კოლექტივის ნორმას ასრულებს და ბაღნებიც წაბლა ხაპებივით დასუქებული ჰყავს.

იყოს ერთი, სანამდე გაუძლებს ამ სიზარმაცეს ჯელილი.

ნაფუზრ[illegible] ბოლოდან მანქანის ხმა გაიგონეს.

მალე ღობის გასწვრივ თეთრი მტვერი ავარდა.

იქით, ჭიშკართან, ოჩოფეხასავით მაღალზე შემდგარი „მოსკვიჩი" გაჩერდა. იმ წუთში კარი გაიღო და მძიმედ გადმოაბიჯა შავშლაპიანმა კაცმა.

— უყურე, ამომაკითხა... ა, ასე იცის. უჩემოდ არ შეუძლია... — მალული სიამაყით და სიხარულით წამოიძახა თამრომ.

ქმარი ამოვიდა ქალაქიდან. უსაშველოდ გასუქებულიყო შუქრი, ძლივს მოაბიჯებდა. „აბა, რას იპეჭავენ ამ მუცლებში, რომ ჩავლენ თუ არა ქალაქში, დაიბერებიან", — ამბობდა გულში უმიანი.

ნახევარი კი არა, მთელი ტომარა გაუვსო დაფშვნილი თეთრი ალაზანთი. წითელს ატანდა, მაგრამ თამრომ არ ქნა, ქალაქში წითელი ჭადი უხერხულიაო.

უმიანს ქვეშ-ქვეშ ჩაეღიმა და თან კიდეც გაუხარდა: წითელი ჯობია საჭმელად, გემოცა აქვს და ბარაქაც. მაგათ სილამაზე უნდათ მარტო.

კეჟერა ფხალიც მოუჭრა ბოსტანში, ცოტა შავშურა ლობიოც ჩაუყარა კალათში, ჭვირთი მანქანამდე თვითონვე მიაზიდვინა და გაისტუმრა.

მერე აქეთ-იქით მიმოიხედა და ეწყინა, რომ მეზობელი არავინ უყურებდა. დაენახათ ერთი. სულ რაღაც ორი-სამი წლის მოსახლეა და, მოსულს რომ ცარიელს არ უშვებს, დაინახონ ერთი...

— უმიან! — დაუძახა გადაღმიდან ბრიგადირმა. — დღეს კანტორაში ამოდი, პრემია მიიღე.

წელს, მართლაც, ორმაგი მოსავალი მიიღო. რაღაც სხვანაირად გადაბრია „სამსუნი“, დასქელდა, დაფართოვდა და ადრე დაიპარკა.

კვერცხის გულივით ყვითელი და მზიანი დღეები იყო და ისე დაამწიფა, ისე დაამწიფა თამბაქო, რომ შეტეხვას ვეღარ უთავდებოდა.

— კაი, ამოვალ. ბევრია, ნეტაი, ჭო?

— შენ გეყოფა და... — გადმოუგდო სიტყვა ბრიგადირმა.

ეწყინა, „შენ გეყოფა“, რატომ მითხრაო. მე რა, მშიერი ვარ, თუ?

ახლა ამ პრემიას შაურსაც არ მოაკლებს. შეინახავს. ქვის ოსტატს იქირავებს, ყორეს ამოაყვანიებს, აღარ აშტიქინებს ზამთრის ქარს სახლის ქვეშ.

ბიჭები რაღაცაზე საშინლად აწრიპინდნენ. მივარდა, გააჩუმა. თითო მოხარშული კარტოფილი გამოუტანა და მისცა. ერთიც გარეთ გამოსვლამდე თვითონ შეჭამა. მთელი სოფელი რომ მოიარო, კარტოფილი არავის უთესია. უმიანს დიდი ორმო სავსე აქვს. მონახა ერთი კუთხე საკარმიდამოში, დარგო და ახარა. უყვარს კარტოფილი. რამდენჯერ მოსულა მეზობელი, მასესხეო. მიუცია. კმაყოფილია, რომ უსესხებია, თუმცა იცოდა, აღარავინ დაუბრუნებდა.

სამი დერგი ჩამოატანინა შარშან კოლექტივის შოფერს შუახევიდან. ორში კეჟერას მჟავე ჩადო, ერთში — ჭარხლისა.

სახლის თავანში უამრავი ჩირის აკიდოები აქვს შენახული. საკუთარი ხმელი თამბაქოც იქაა, ფოთოლ-ფოთოლ დაწყობილი და ქუნჭლით შეკოჭილი. ზამთარში დააჭრევინებს ვინმეს და გაატანს გასაყიდად. ჯელილი არ იკადრებს წაღებას, თორემ...

„მაგისი არაფერი მინდა, ოღონდ დამიჯეროს, დამეთანხმოს, ხელს ნუ შემიშლის, — ფიქრობდა თავისთვის ქალი. — ახლა, აგერ, ასეთი ამობრუნებული ნაპირი მაქვს, ამას მარტო სიმინდისათვის და კეჟერასათვის გავაცდენ? დაარტყი ამას ბარი, გადააბრუნე და გააშენე ვენახი. მიღმა, ლეკის ხეზე ერთი ძირი ჩხავერი მივეცი, ისიც მე, ქალმა, და ვენახი ორ წელიწადში ხის წვეროში ავარდა. მტევნებს ძლივს ვიჭერ, იმხელვანი დაიზარდა. ჰოდა, აქ რომ ვენახი მქონდეს, ვიღან გამისწრებს ცხოვრებაში. არც გავყიდი და არაფერი. ჩემ საყოფ ფულს კოლექტივი მაძლევს, დანარჩენი აქედან მექნება და არც მოსულის შემრცხვება, არც წასულის. მაგრამ ეს ჩემი ქმარი ისე ზარმაცია, რომ დასამთქნარებლად პირის დაღებაც ეზარება და მიწა ხომ მისით არ გადაბრუნდება. არა უშავს, დავკრიჭავ კბილებს, ვიმუშავებ, ბრიგადირი ისეთია, ვინმეს მომახმარს და...

სახლში შევიდა.

სამზარეულოში, კედელზე ჩარჩომომძვრალი დიდი სარკე ჰქონდა ლურსმნებით მიმაგრებული. არ უყვარდა სარკეში ცქერა, მაგრამ ახლა უნებურად მიადგა, შეჩერდა, თავის თავს დააკვირდა.

ყელი, ნიკაპი, შუბლი, ყურები თითქმის არ უჩანდა, ისე ჰქონდა იაზმა შემოხვეული.

თამრო გაახსენდა და თავისთავზე გაჯავრდა,—იმაზე ნაკლები ვარ თუ?

მოიძრო იაზმა და სკამზე გადაფინა. გული გაუნათდა, ისეთი ეჩვენა საკუთარი თავი. შავი თმები უბრალოდ გადაევარცხნა და კაჩაში დაეხვია. ტუჩებზე მიდღემჩი საღებავი არ გაუსმია, მაგრამ მაინც წითელია. თავი, ფეხი, ხელი, ტანი? თამროზე რით ვარ ნაკლები? მე ვერ გავიარ, მე ვერ გამოვჩნდები? არა, აღარ დავიხურავ ამ იაზმას, კაბასაც ქალაქურად შევიკერავ, ფეხსაცმელსაც ვიყიდი უკეთესს, მაგის გასაჭირი რა მაქვს?!

ვინ გამიჯავრდება, ვინ გამცინებს.

ქმარს რომ კითხო, მე ვარ წინააღმდეგი, თორემ თვითონ სულ მეუბნება, მოიხადეო იაზმა.

მისმა თავმა მაგრემც... როდის მეუბნება ნეტავი! სხვას გონია, ჩვენ — აქაური ქალები ისე ჩამორჩენილი ვართ, რომ თვითონ შეგნებულ ქმრებსაც კი ვერ გამოვუყვანივართ ამ სიბნელიდან. ჩემზე შეგნებული ქმარი ახლა, კაცმა რომ თქვას, ვის ყავს? მითხრა ერთხელ, გამოდი სიბნელიდანო? აჰ, რომელი თქმა, პირიქით, იქითაც მიბიძგებს ხანდახან, რომ უფრო დავიმალო.

აღარ მინდა, არა, სული მეხუთება. მეც მინდა სული მოვითქვა, ქვეყანას ღია სახით შევხედო, სტუმრებთან შემოვიდე, სუფრაზე ჩემი ნახელავი მე მივართვა, ჩემი ბაღნები და სახლ-კარი ჩემ ოდაში დავალოციო და მე თვითონვე ვუთხრა მადლობა.

სარკეში თავისი სახე ვეღარ დაინახა, ლიბრი გადაეკრა, ცრემლები გაეჩხირა.

ჯელილი გვიან მოვიდა. კიბესთან ერთი ამოიგვნეშა, ვითომ დაღლილი ვარო, და საფეხურებს შეუყვა.

კარგად შებინდებულზე ბოსტნიდან ამოვიდა უმიანი, უკან ბიჭები მოყვებოდნენ ბრახა-ბრუხით.

თავზე წაკრული იაზმა სკამზე ისროლა, თმებზე ხელი გადაისვა გაჯავრებით, ცეცხლი მოანთო და თხელი თიხის კეცი მიაყუდა.

— კეცის გახურებამდე მოვალ, კანტორაში მეძახიან, — უთხრა ქმარს.

პირდაპირ კიბეზე გავიდა და ეზოში დაეშვა.

— უმიან, თავღია ხარ, გოვ! — აივნიდან გასძახა ჯელილმა. უმიანი შედგა, მობრუნდა, რაღაც დიდი რამის თქმა მოიწადინა, მაგრამ ვეღარ თქვა. ვიცი, უპასუხა მხოლოდ და გზა გაგრძელა.

გაოცდა ჯელილი, მიატოვა ბავშვები, კეციც და ქალს გამოუდგა. იფიქრა, რაღაც ცუდი ამბავია, ალბათ. არასოდეს ასეთი რამ არ ჩაუდენია უმიანს. ჭიშკარი გაირბინა, შარაგზას გაჰყვა და ილიასას სახლთან მისვლამდე დაეწია ცოლს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— რა გჭირს, მითხარი, რა დაგემართა?

უმიანი შეჩერდა, შემოხედა და უცნაურად გაიცინა.

— რამე მჭირს, თუ? რა უნდა მჭირდეს. კანტორაში მივალ, ფული უნდა ავიღო.

— კი მაგრამ, ასე, თავღია?

— ჰო, თავღია. აბა რა მჭირს ისეთი, პირი ვარიდო ხალხს. მეყო, ჯელილავ, მეყო, გესმის?

— ნუ გადაირიე ახლა, წამოდი შინ! რამ მოგაგონა ახლა მაგი!

— ახლა არ მომიგონია, კაი ხანია მახსოვს. ახლა გასკდა, იცი, გასკდა გული. რა მჭირს ისეთი, რომ პირი ვარიდო და აკოჭილ-შეხვეული ვიარო ქვეყანაზე!

— შენ მეტი აღარვინაა? რაღა შენ ატყდი. მობრუნდი ახლა, შინ წამოდი მალე!

— გამიშვი ხელი! არ ვიზამ, ჯელილავ, აღარ დავიხურავ ისე! მე შენ, მასწავლებელ ქმარს, არ გკადრებ და აღარ ავიხვევ ისე პირსახეს.

ცოტა აილეწა ჯელილი, თითქოს ყურისძირებში ცხელი სალტეები შემოუჭირეს. ერთხანს გაჩუმდა, თითქოს ენა ჩაუვარდა მუცელში.

— თამროზე ნაკლები ვარ?! შენ შუქრიზე ნაკლები ხარ?! მე შენთვის ვამბობ, ნუ ხარ ასე დაჩაგრული. რა იქნება ერთი ერთად გავიაროთ. გზა არი, სახლი, ჩასაცმელი, ხასიათი და ახალგაზრდობა.

— გეუბნები, მობრუნდი!

— კარგი. აჰა, მოვალ. იმ ფულს შენ არ მოგცემენ, მე კი თავდახურული და პირშეხვეული კანტორაში აღარ მივალ. არც კოლექტივში გავალ ცხვირპირახვეული, არც ნაფუზარში ჩავაბიჯებ ფეხს, არც ეზოში გამოვალ, არც ლობიოს მოვხარშავ, არც ჭადს გამოვაცხობ. ვნახავ ერთი, რით იცხოვრებ. თამროსთანა ქალებმა ჩემზე იცინონ ქვეშ-ქვეშ, შუქრისთანა გაბერილებმა ჩემი ქმარი არაფრად ჩააგდონ და მე კიდევ გარეთ გამოსაყოფი თავი მაქ? კაცი აქ ამოვდა მანქანით, იმდენი რამე გავატანე და ერთი არც მოგიცადა, რომ ტყვილად ენახე. შენ ქალიც ფეხებზე გკიდია და თავმოყვარეობაც. მე არ მკიდია ჩემი ქმარი ფეხებზე. მე შენი გულისთვის ვიხდი თავზე. ვიცი, შენ დაგცინიან. რომ არაფერი ვიცოდე ამ ქვეყნის, მაშინ კარგი. ჩავლუნავ თავს და დავმუწავ პირს, მაგრამ, როცა ვიცი რა დროში ვარ, არ შემიძლია ასე დავსაწყლდე.

სახლში შევიდნენ.

დაწოლამდე ჩხუბი ჰქონდათ. ბიჭები ადრე დააძინეს. ბოლოს ჯელილი ოდნავ მოტყდა, კიდეც მიეფერა ცოტა უმიანს.

უმიანი კი ვერ მშვიდდებოდა.

უცებ წამოვარდა, კარსუკან ძველი სკივრი ააღო, რაღაც ამოიღო და ჯელილთან მიიჭრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აჰა, აგერ ეს კომკავშირის ბილეთია. რათ მინდა მაგი? ... დებული, თუ კრებაზე არ წავალ, თუ ერთ ღერ სიტყვას მეც არ მათქმევინებენ. თუ დავჯექი კრებაზე, ვარ კუთხეში ჩუმად, არვინ არაფერს მკითხავს, არვის ჯერა, რომ ქალსაც უჭრის ჭკუა. აბა, თუ უჭკვო ვარ, რაფერ ავაშენე ეს სახლ-კარი?!

რამდენჯერ ვიყავ მაინც?! სულ ერთხელ გამიშვი კრებაზე, მეტი ხომ არა. მე ცხოვრება მინდა, ჯელილავ! ხალხში მინდა გავიდე, ჩემი ვუთხრა, მსთი გავიგონო. ასე ტყვილებ-ტყვილებით და მალვა-მალვით ვეღარ ვიქნები.

ჰო, ტყვილებ-ტყვილებით. ჰო, თქვენ, კაცებმა, დაგვაბლაყვეთ, თვარა არც ისე დაბნელებული ვართ აქაური ქალები. რამე თუ ითქვა, გაჩუმდებით. ანდა იტყვით: რა ვქნათ, ქალები ვერ გამოდიან, თვითონ იბურავენ პირზეო. გვეყო ამდენი ლანძღვა!

აჰა, აგერ ცხოვრება, აგერ ბაღნები, აგერ მე.

ჩემს ნამუშევარს არ გაყვედრი, მაგრამ თუ ეს სახლ-კარი, ბაღნები და მე გინდივარ, ჩემი გული და აზრიც უნდა გინდოდეს. ჩემი აზრი ანფერია!..

პირველად ნახა ასე აჯანყებული თავისი ცოლი.

პირველად დადგა ასეთი ამოცანის წინაშე ჯელილი.

გაღმა-გამოღმა დაწვნენ. უმიანი ბავშვებისაკენ გადაბრუნდა. დილამდე აღარც არაფერი უთქვამს, აღარც გადმობრუნებულა.

გამთენიას, როცა ფანჯრიდან რუხი ნათელი შემოიპარა და უმიანის საწოლთან კედელი გამოაჩინა, ჯელილმა საბნიდან ამოყრილი ცოლის თეთრი, სავსე მკლავები დაინახა. ცალ ხელში უმიანს რაღაც ეჭირა. კარგად დაინახა მოდრეკილი პატარა რუხი წიგნაკი.

ეს კომკავშირის ბილეთი იყო. ხელში შერჩენოდა და ისე ჩაძინებოდა. ბილეთი ახალთახალი იყო და ჯელილს უეცრად გაუელვა აზრმა, რომ სიცხვილია მის ცოლს ასეთი ტკიცინა, ხელშეუხები ბილეთი ჰქონდეს.

უმიანი უკვე პირაღმა იწვა. შავი თმები ეყარა თეთრ ბალიშზე, სქელი ტუჩები და დახუჭული თვალები რაღაც დიდი სურვილით ენთო, ხელები კი ისე გაეშალა, გეგონებოდათ, მთელ სამყაროს გულში იხუტებსო.

ჯელილი ადგა, ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში, რაღაც აწვალებდა. გული სხვანაირად დამძიმებოდა, თითქოს რაღაც მწარე დანაშაული ჩაედინოს და მხოლოდ ახლა ეგრძნო ეს.

და შემდეგ ისიც იგრძნო, თუ რისი პატრონიც იყო...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ჯაყელი

სევასტოპოლი

აქ ფართო თვალებით
  მიმზერს
    ისტორია.
ლეგენდა-ქალაქია
  ლეგენდის მომყოლი.
არ ვიცი როგორ ვთქვა:
  უბრალოდ —
    ის ტოლია
სევასტოპოლის!
და ამიტომ ჰქვია სევასტოპოლი.
ყველგან მიგაცილებს გმირთა
                  სახეები...
ყველგან,
  ყველაფერში
    ანთიან, იწვიან
აწვდილი თოფები,
ხიშტები, ხელები!

კედლებზე —
გიგანტური სასახლის კორპუსის
სახენი ინთება
    (თუ მელანდება?)
და არის გმირული ბრძოლების
                  პოლუსი
ეს მიწა,
ეს —
ხელის ერთი დადება.
ინთება, ქრება და ისევ ინთება
მრისხანე სახენი,
  თვალები, თითები,
იმათი შეტევა, ბრძოლა და
                  კირთები.
ანთია ცეცხლად მარადი
                  დიდების
...სევასტოპოლი!

ძეგლი გემების სასაფლაოზე

უფსკრული გმინავს წყვეტილ-წყვეტილად.
ბრუნავს შავი ზღვის შავი აუზი
და სადიდებლად ცად ასვეტილა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძეგლი გემების სასაფლაოზე.
ირგვლივ წყალია ქუში და შავი,
დუმილს სცოდნია ზიდვა დარდისა.
აქ მარტოობამ მოიკლა თავი,
აქ დაიღვენთა სუსხი ავდრისა.
აქ შეტორტმანდა ჩრდილი ანძათა,
დაქანდა მკერდი ქათქათა გემთა.
აქ დადიოდა ლანდი ცხრა ძმათა
ცხრა ლამაზ ქალის ფიქრებთან ერთად.
ცხრა წამოდგება ანძა ჩრდილებად,
აქ რომ ჩაივლის გემების წყება,
ცხრა წამოდგება ანძა ჩრდილებად
და მერე ისევ დუმილით წვება.
და ისმის გრგვინვა წყვეტილ-წყვეტილად,
დარდს თუ ინელებს შავი აუზი?
და სადიდებლად ცად ასვეტილა
ძეგლი გემების სასაფლაოზე.

სევასტოპოლი. 1962.

ჩემი ხელები

ჩემი ხელები, აწვდილები —
ეს არის ამწე,
ამწე, რომელიც უმაღლესი ტოლია ანძის.
გემი ვარ, გემი,
მივდივარ და გრიგალი მარწევს,
გულის ტრიუმით სიყვარულის ამომაქვს განძი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტონ რუსიძე

ორი მოქმედება

კიბის საფეხურები ბერიკაცივით სვენებ-სვენებით აითვალა. დერეფანში შეჩერდა. სული მოიბრუნა. ცალი ხელი აბაგბუგებულ მკერდზე მიიდო, მეორე თეთრსირმებშერეულ თმებზე გადაისვა. ვიდრე მუხლების კანკალი გაუვლიდა, პაპიროსს მოუკიდა და ნაფაზ-ნაფაზ გააბოლა, თან თავისთავს შეუწყრა — ასე რამ დამაგლახა, რომ მესამე სართულზე ასვლამ თითქმის წელში გამწყვიტაო. მართალია, იმ წყეული ავტომანქანის ავარიაში რომ მოჰყვა, ფეხზე წამოდგომის იმედი ბევრმა გადაუწურა, მაგრამ მთელ წელიწადს სიკვდილთან ჭიდილში გამარჯვებული გამოვიდა, დახეიბრებასაც გადაურჩა და უწინდელი საღ-სალამათიც დაუბრუნდა. არც ბებერი გახლდათ, მეხუთე ათეულში აგერ გუშინ გადააბიჯა. ეგებ ახალგამომცხვარ „ხაზეინზე“ დარხეულმა ცუდმა ხმებმა მის ყურამდეც რომ მიაღწია და ახლა სათხოვარზე მასთან შესვლა ჭირივით ეჯავრებოდა, ეს სჭრიდა მუხლებს?!. შესაძლო იყო. მაგრამ სამსახური ხომ უნდა დაეწყო? ისიც ადგა და ეახლა, თუმცა მოსაცდელ ოთახში კარგახანს ალოდინეს და გულიც სახეიროს არაფერს უთქვამდა...

— გამარჯობა, დიმიტრი ალექსანდროვიჩ!

„ხაზეინმა“ ფერადსურათებიან უცხოურ ჟურნალში ნახევრად შიშველ ქალებს ძლივს მოაშორა თვალი, შესულს ერთი ახედა და ნიჩბის ოდენა თათი მოწყალებასავით გაუწოდა:

— ო, გამარჯობა, კოტე, გამარჯობა!.. ა, აგერ დაბრძანდი!... რასა იქ, როგორა ხარ? რაზე გარჯილხარ? — სავარძლის საზურგულს ნებიერად მიესვენა და ღვინის კასრივით გამობერილ მუცელზე თითები გადაიჯვარედინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეთ თაკარა მზე აცხუნებდა და დარბილებულ ასფალტს ბუნ... დიოდა. ამ უზარმაზარ დარბაზში კი საოცრად გრილოდა. თუმცა... გრილოდა თუ ციოდა?!. კოტემ სკამი უხმაუროდ გამოსწია, ფრთხილად ჩამოჯდა, ტელეფონის მაგიდაზე თვითმფრინავის პროპელერივით მობზრიალე ვენტილატორს მიაჩერდა და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— არ ვყოფილვარ განწირული, გადავრჩი... ცოტა კი მინდოდა დამესვენა, მარა...

— მერედა, ვინ გიშლის, შე კაცო! — დიმიტრიმ სამკეც ღაბაბში ჩაიხითხითა. — ამ გაგანია სიცხეში აგარაკს რა სჯობია!

— ეხ, აგარაკის თავი ახლა სად მაქვს! — კოტე მოიქუფრა. — ჩემს ოჯახში ჩემს გარდა კიდევ ოთხი სულია, მათგან სამი მოსწავლე... და ყველა მე შემომყურებს ხელში, მე კი ამდენი ხანია ლოგინში ვიწექი, გახვრეტილი გროშიც არ შემიტანია სახლში... სამსახური თუ არ დავიწყე...

— მდა

ეროვნული

დიმიტრის მსუქან სახეზე ღიმილი მკვდრის მზის უკანასკნელი სხივ-მღამო შუქივით ჩაქრა. ეტყობოდა, გულწრფელი პასუხი მთხოვნელს უკმეხობად ჩაუთვალა, იწყინა და გაგულისდა.

— ჯერჯერობით ვერაფერს ვერ შეგპირდები, ამხანაგო ზოიძე, — გულგრილად ამოილაპარაკა მან და მსუქანი, ბალნიანი თითები პრიალა მაგიდაზე აათამაშა. — რა გიყო ახლა მე?! შემოიარე სხვა დროს. ვნახოთ.

— ხვალ თუ ზეგ?

— ასე ჩქარა არაფერი გამოვა.

— მაშინ ერთ კვირაში გეახლები!

— შენი ნებაა, — დიმიტრიმ მხრები აიჩეჩა და ისევ ჟურნალს დასწვდა, რითაც აგრძნობინა, დარბაზობა დამთავრდაო.

თითქოს ნაცემ-ნაბეგვი იყო, კოტემ ძლივს აიღო წელი. თქვენ იცით და თქვენმა კაცობამაო, „ხაზეინი“ სინდისზე შეაყენა და შალითაგადაკრული მძიმე კარი ფრთხილად გაიხურა.

მაშ, რა ექნა? ჩხუბი და აყალ-მაყალი რომ აეტეხა, რა სიკეთეს მოიმკიდა?! ცოტა კიდევ უნდა მოეთმინა. ისიც ითმენდა, თუმცა ექვსიოდე დღე საუკუნესავით გრძელი მოეჩვენა. თავს იმით ინუგეშებდა, რომ მალე საშველი დამადგება — ორშაბათ-სამშაბათიდან კვლავ სამსახურში ჩავდგებიო. ამ დაპირებისა ყველას სჯეროდა, გარდა ერთი მოხუცი, პენსიონერი კაცისა. კოტე მის ხელში კიდევაც დავაჟკაცდა და კიდევაც გაჭაღარავდა. საქმეც იმ კაცმა, ბიძია ალმასხანმა შეაყვარა. კოტეც სულითა და გულით უმადლოდა, აღმზრდელად, მასწავლებლად, მისაბაძ ადამიანად და მუშაკად თვლიდა. ჭეშმარიტად მისაბაძიც გახლდათ: ორმოც წელიწადს თავდადებით მუშაობდა და მთელ ქალაქში პატიოსანზე პატიოსანი კაცის სახელით სარგებლობდა. ბოლო ხანებში მთავარსამმართველოს განყოფილების გამგედ დააწინაურეს და პარტბიუროს მდივნადაც აირჩიეს. უცაბედად ის ოხერი დამბლა რომ არ დასცემოდა, პენსიაზე გასვლას ჯერ როგორ შეეგუებოდა, მაგრამ ერთბაშად ორივე ხელი წაერთვა და რაღა ეღონა! თვითონ ტანზეც ვერ იცვამდა. დილით რძალი კოხტად გამოაწყობდა, ასაუზმებდა და სასეირნოდ სუფთა ჰაერზე, ზღვისპირა პარკისაკენ გაისტუმრებდა, ის კი, ბიძია ალმასხანი, პარტიის საქალაქო კომიტეტის ღია ვარდისფერი შენობისაკენ გადააპირდაპირებდა ხოლმე. იმ შენობაში შესვლა-გამოსვლისას ორ-სამჯერ კოტემაც მოჰკრა თვალი. გაუკვირდა, დამბლადანაცემ კაცს იქ რაღა ესაქმებაო, მაგრამ როცა პირისპირ შეეყარა, ამაზე არა უკითხავს რა, მხოლოდ თავისი სატკივარი შესჩივლა. ბიძია ალმასხანმა გულისყურით მოუსმინა. ბოლოს დაარიგა: იმ დიმიტრის დახმარების იმედი მაინცადამაინც ნუ გექნება, ოღონდ რამდენჯერაც მიაკითხავ, რასაც გეტყვის, კაკალ-კაკალ მომიტანე და დანარჩენი ჩემზე იყოსო. კოტეს ესეც გაუკვირდა: დამბლადანაცემი პენსიონერი „ხაზეინს“ რას დააკლებს ან მე რით მომი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შართავს ხელსო, მაგრამ არც ამის თაობაზე არა წამოსცდენია რა. დათქმული ვადა სწორედ მეორე დღეს იწურებოდა და, კიდევ ერთი „თეთრი ღამე“ როგორც კი მიილია, კოტემ „ხაზეინისაკენ“ დილაადრიანად გასწია.

დიმიტრი უგუნებოდ დაუხვდა. სახე მოთენთოდა. თვალები დასწითლებოდა. ჩაციებულ ბორჯომის წყალს წრუპავდა. როგორც ჩანდა, გვიანობამდე იქეიფა, ხეირიანად ვერ გამოიძინა და ღვინო გამოჰყვა.

— აქ ხომ არ გაგითევია, შე კაცო?! — დიმიტრიმ რატომღაც ცარიელ ხელებში შეხედა და მერე შეუბღვირა: — ასე უთენია რა მოგარბენინებდა?

— გაჭირვება, დიმიტრი ალექსანდროვიჩ, გაჭირვება! — კოტე შორიახლო შედგა. — ჩემს საქმეზე შეგაწუხე...

— სამსახურის შესახებ?

— დიახ, დიმიტრი ალექსანდროვიჩ, — კოტემ თავაზიანად შეახსენა. — ერთი კვირა გავიდა და...

— მე არ დაგპირებივარ, ერთ კვირაში მოგაწყობ-მეთქი!

— გადაჭრით არ დამპირებიხარ, მარა...

— არც გადაჭრით და არც გადაუჭრელად! ეს შენ თქვი, ერთ კვირაში შემოგივლიო... რა გიყო ახლა მე?!

— რამე მომეხმარე, დიმიტრი ალექსანდროვიჩ!

— ბიჭოს, ამ კაცის საქმე მაკვირვებს! მოგეხმარები, მარა რით მოგეხმარო?! ყანაში ხომ არ გინდა მოხმარება! სამსახური გინდა! ადგილი გინდა!

— მე ხომ უბედური შემთხვევის გამო დავკარგე ადგილი, დიმიტრი ალექსანდროვიჩ! კაცმა რა იცის, რა შეხვდება...

— მართალი ხარ, მარა ჩემს ადგილას რომ იყო, შენ რას იზამ? ა? მითხარი!.. ცარიელი, ვაკანტური ადგილი არა მაქვს. გასაგებია? ჰოდა, რა გიყო ახლა მე?!

— გამოდის, არ ყოფილა საშველი და ესაა!

— უსაშველო ამ დალოცვილ ქვეყანაზე რაა, შე კაცო! მარა... ცოტა უნდა მადროვო.

— მაინც სანამდი, ალექსანდროვიჩ?

— მაგი ზუსტად რა ვიცი! ალბათ, გამოჩნდება რამე... აბა ასე უცებ რა გიყო ახლა მე?! შემოიარე ერთ კვირაში. ვნახოთ... თუ ძალიან გეჩქარება, სხვაგან დაიწყე მუშაობა. ჩვენს დაწესებულებაზე ჭიპი ხომ არ გაქვს მიჭრილი?!

კიდევ ერთმა კვირამ კი არა, მთელმა თვემ გაირბინა, მაგრამ „ხაზეინი“ კოტეს მუდამ ცივი უარით ისტუმრებდა — თავისუფალი ადგილი არა მაქვს და რა გიყო ახლა მეო. არადა ბიძია ალმასხანიც არა ჩანდა, წყალტუბოში გათხოვილ ქალიშვილთან ისვენებდა და მკურნალობდა. როცა მშობლიური ქალაქი მოენატრა და ჩამობრუნდა, უმალ კოტე მოიკითხა. კოტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც დაუყოვნებლივ მიაშურა. ბერიკაცი შესამჩნევად მომჯობინებულიყო. ცალ ხელს გვარიანად ხმარობდა, პირწმინდად გაპარსულ სახეზე ავადმყოფური სიყვითლე გაქრობოდა, თოვლისფერი წარბებით დაჩრდილული თვალები წინანდებურად უციმციმებდა და ათიოდე წლით გაახალგაზრდავებულივით გამოიყურებოდა. მან კოტე უმცროს ძმასავით მოისვა გვერდში, დაკვირვებით ახედ-დახედა, ჩემს მერე უფრო გამხდარა და გაჭაღარავებულაო, გულისტკივილით გაიფიქრა, მყინვარწვერივით თეთრი თავი უკმაყოფილოდ გააქნია და სტუმარს თანაგრძნობით კითხა:

— ისევ უსაქმოდ ხარ, ჩემო კოტე, ა?

— აბა რა, ბიძია ალმასხან! დიმიტრის „კიდევ ერთი კვირა“ აღარ გათავდა!

— ველოდი, ასე იქნებოდა. მაგ დიმიტრიმ სულ გაიტეხა იხტიბარი. რასაც მაგაზე ამბობენ, ხალასი სიმართლეა. მექრთამე და გამომძალველი რომ არ იყოს, რით აიგებდა, ჩემო კარგო, იმხელა ქარვასლას, რით შეიძენდა იმდენნაირ ავეჯს ან „ვოლგას“, ცალკე თავისთვის და ცალკე სიძისთვის?!. ქურდი და წამგლეჯია, ნამდვილი ქურდი და წამგლეჯი!.. მაგის დამწინაურებელს რა ვუთხრა!.. აგერ ახლა, ასე ქვია, ერთი უგემური მზარეული იყო, მერე მებუფეტე გახდა, რესტორანის დირექტორობას წაეპოტინა, იქ წანაგლეჯით ვიღაც-ვიღაცეებს პატივი სცა და უცებ... ხაზეინი!.. რავა, პატიოსანი კაცი დაილია თუ?! მაგაზე იმდენი საჩივარია, იმდენი, რომ... ერთი სიტყვით, მალე მოიტეხს კისერს და ახიც იქნება მასზე!.. შენ ის მითხარი, რაო, რას გეუბნება?

— სულ პირველად ხუმრობა დამიწყო, ახლა არითმეტიკაში ორი მოქმედებააო...

— ხა-ხა-ხა-ხა! — გულიანად გაეცინა ბერიკაცს. — მართლა?! სწორი ყოფილა, ორ-სამ საჩივარში რომ წერია!.. ორი მოქმედებააო, ა? ესე იგი მიმატება და გამოკლება მოიხსნა და დარჩა გამრავლება და გაყოფა!.. სხვანაირად რომ ვთქვათ, შენ შემოსავალი მაქინაციებით გაამრავლე და მერე მე გამიყავიო!.. კაი ხუმრობაა, მე შენ გეტყვი!.. უყურე ერთი, მაგ სინდისგარეცხილს!

კოტემ გაოცებისაგან პირი დააღო. იგი მხოლოდ ახლა ჩახედა ქარაგმის აზრს. ამ ხნის კაცი იყო, თავი გამოცდილებით დაყურულად მიაჩნდა და რა ვერ ამოუხსნია! თუმცა როგორ იფიქრებდა, ასეთ რამეს პირდაპირ, ჯიქურად, თვალის დაუხამხამებლად გამიბედავენო!.. მართლა სინდისგარეცხილი არ ყოფილა ის ოხერი?!. ოღონდ ამ ბერიკაცმა საიდან იცის, უსახელო წერილებში რა წერია?! ეს რომელი ზემდგომი ორგანო ნახეს, რომ მისთვის გამოეგზავნათ?!.

— მე, ჩემო კოტე, საზოგადოებრივი კონტროლის კომისიაში ვარ, — სტუმარს თითქოს გულში ჩახედა და ერთბაშად მიუხვდაო, ხმადაბლა ამც-

ნო ალმასხანმა. — ჰოდა, ახლა რასაც გეტყვი, ისე გააკეთე და შენს ბებერ საქმესთან ერთად მეორე, არაწაკლებ მნიშვნელოვანი საქმეც მოგვარდება! აიღე და მიეცი ორასი-სამასი მანეთი. ვნახოთ, რას იზამს.

— კი, მარა... — კოტე უხერხულად შეიშმუშნა. — ან ამდენი ფული სად ვიშოვო, ან...

— ფულს მე გასესხებ. სხვა რა გაწუხებს?

— რა და... გამოლმა რომ შემომედავოს?

— დარდი ნუ გაქვს, მე ვიქნები პასუხისმგებელი! გესმის?

— მესმის, ბიძია ალმასხან!.. — კოტეს გამხდარი, ფერდარეკილი სახე წამიერმა ღიმილმა გაანათა. — კაი, ასე ვიზამ... ხვალ დილას, ხომ?

— ჰო, ასე, ათ საათზე... ასწიე ახლა ეს ჭიქა, ჩემი ქალიშვილის მარნის ღვინოა!..

მეორე დღეს კოტემ ყველა მთხოვნელს დაასწრო მისვლა, „ხაზეინის" კაბინეტში თამამად შეაბიჯა, დიმიტრის ღიმილით მიესალმა, საწერი მაგიდის მარცხენა ზემოთა უჯრა უკითხავად გამოსწია, პალტოს ჯიბიდან ქაღალდის პატარა შეკვრა ამოიღო და უჯრაში ჩაუშვა.

— რაა, ჩემო კოტე, მაგი, ანდა ამ ჩემს უჯრაში რავა უნებართვოდ დაიწყე ოჯახობა? — დიმიტრიმ წარბშეკვრით კითხა, თუმცა თვალები მსუნაგი ძაღლივით გაუბრწყინდა. — ატომი არ იყოს, არ ამაფეთქო, შე კაცო!

— აქ მხოლოდ სამია, მარა ნუ მიწყენ, ჩემო დიმიტრი, — ნაძალადევი სიდინჯით მიუგო კოტემ. — სამსახურს რომ დავიწყებ, იმ თვეში მეტი თუ არა, ერთი ამდენი კიდევ ჩემს კისერზე იყოს!

— ოჰ, რას ამბობ, კაცო, შენ ჩემთან ასეთი რამეები რად გინდოდა! — ცალყბად იუარა დიმიტრიმ. — შენი სამსახურის საქმე ისედაც თითქმის მოგვარებული მქონდა... ჰოდა... მიდი, შენი ადგილი ჩაიბარე, ჩემო ძმაო!.. ხვალვე, გასაგებია?

— გასაგებია, დიმიტრი ალექსანდროვიჩ!.. დიდი მადლობა! — კოტე აჩქარებით დაემშვიდობა და კაბინეტიდან თითქმის სირბილით გავარდა.

დიმიტრიმ უჯრისაკენ წაიღო ხელი. ალბათ, უნდოდა ფუთა გაეხსნა და ფული დაეთვალა, ანდა სხვა უჯრაში გადაემალა, მაგრამ სწორედ ამ დროს ტელეფონი აწკრიალდა. საუბარს რომ მორჩა, კაბინეტის კარიც გაიღო და კოტე ისევ გამოჩნდა, ოღონდ მარტო კი არა, ბიძია ალმასხანთან და შავგვრემან, თმახუჭუჭა, რუხ კოსტიუმში გამოწყობილ ახალგაზრდა კაცთან ერთად. ამ უკანასკნელმა გულჯიბიდან წითელყდიანი პირადობის მოწმობა ამოიღო, გაშალა და დიმიტრის შიგ ჩაახედა.

— კი, მმარა... რრ... რრაშია საქმე?! — დიმიტრის გულმა ავი რამ უაზრა და ენა დაება.

ალმასხანმა ორი ნაბიჯი წინ წარდგა და ისეთი თვალებით შეხედა, თითქოს ეს-ეს არის დაეძგერება და კბილებით დაგლეჯსო.

— საქმე იმაშია, შე სინდისგარეცხილო, — ხმადაბლა, მაგრამ გულღვარძლიანად მიახალა ბერიკაცმა, — რომ ამ ორიოდე წუთის წინ შენ კოტე ზოიძისაგან სამასი მანეთი ქრთამი მიიღე სამსახურში მოწყობისათვის!.. გააღე უჯრა და ფული გადმოგვეცი!.. ახლავე აქტს შეგიდგენთ! დანარჩენს მართლმსაჯულება გეტყვის!

დიმიტრი მთვრალივით დაბარბაცდა. წაქცევისაგან ძლივს შეიმაგრა თავი. ზურგით კედელს მიეყრდნო, შიშისაგან გაფართოებული თვალები კოტეს უაზროდ მიაპყრო და მძულვარედ ამოილუღლუღა:

— გამომჭერი ყელი ხომ, შე ვერაგო!..

— გინდა ვერაგობა დაარქვი და გინდა სიყვარული, — ნიშნისმოგებით ჩამოუმარცვლა კოტემ. — შენ მაიძულე, ასე მოვქცეულიყავი!.. ალბათ, გახსოვს, ერთხელ რომ მითხარი, ახლა ბევრი რამე გამარტივდა, არითმეტიკაში, მაგალითად, ოთხის მაგიერ ორი მოქმედებაოო... მე გავითვალისწინე შენი ნათქვამი. ვინმესაგან რომ ფული სესხად ამეღო, მერე შუაკაცი მომეძებნა, იმას შენთვის ქრთამი გადმოეცა, შენ კი ჩემთვის სამუშაო მოგეცა, ნამდვილად ოთხი მოქმედება გამომივიდოდა, ახლა კი მხოლოდ ორი მოქმედება დამჭირდა: მოგეცი და გაგეცი!

ნირწამხდარმა დიმიტრიმ უმოწყალოდ მოიკვნიტა ბაგე, თუმცა ბაგის კვნეტა რაღას უშველიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა რუსთაველი

ავსწიოთ მაღლა გული მზესავით

საქართველოში რუსი პოეტების სტუმრობის გამო...

— კეთილი იყოს! — გული გეძახით.
მობრძანდით! — აგერ, ჩვენი მამული.
იხილეთ ჩვენი ლურჯი ვენახი,
ინებეთ ჩვენი ცა მოსარკული.
თქვენს შესახვედრად ერთხმად იჩქარის
ქალი ნაზი და კაცი ლომგული,
გაღებულია ფართოდ ჭიშკარი
და ხმლის მაგივრად გხვდებათ ჩონგური.
თქვენმა შაირმა ჩვენც გაგვიტაცა,
მიგიღეთ ხმატკბილ იადონებად,
კეთილი იყოს შოთას მიწაზე,
მგოსნებო, თქვენი ხმის გაგონება!
კეთილი იყოს! სიმღერით გავთბეთ,
რადგან ერთურთი ძმებად ვიცანით,
რადგან პოეტებს რუსსა და ქართველს
ერთი გვაქვს ძმობა, გზა და მიზანი!
და ცეცხლი, დღეს რომ ერთად შეგვყარა,
ავაჩახჩახოთ ძმებო, მგოსნებო,
გვაქვს ბოძებული დიდი ქვეყანა
ჩვენ სასიმღეროდ და სამლოცველოდ...
ვუთხრათ დიდება, ეს ძმობა წინათ
სისხლით მოიმკეს ჩვენმა მამებმა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ ის ბოლომდე დავიცვათ წმინდად,
მისთვის ხმები ნუ დაგვენანება...
კეთილი იყოს!..
ქართული დილა
გიცინით, ლაღობს ჩვენი ცისკარი,
თქვენი მოყვრული ხმა გვესმის ტკბილად,
გაღებულია ფართოდ ჭიშკარი...
ვართ მოკეთენი და ნათესავნი
და სიმღერებმაც ერთად შეგვყარა,
ავსწიოთ გული მაღლა მზესავით,
გულის სინათლით გათბეს ქვეყანა!

პოეტი

ეუძღვნი ნესტორ მალაზონიას

ავდარია თუ მზეა თაკარა,
თუ გაზაფხულის მწვანით ვირთვებით,
მოჩქეფს, ვით ბროლის წყარო ანკარა,
პოეტის გულის მარგალიტები.
მისგან დაძრული სიტყვა გვალაღებს,
მისი ლამაზი ელვა ფრთიანი,
სამშობლოს მინდვრებს, მთებს, იალაღებს
ედება სუნთქვა ზარნიშიანი.
ქართული ლექსის ადგილის დედა
დასაბამიდან ხალხის გულია,
მაგრამ იმ სიტყვას პოეტი სჭედავს,
პოეტის სისხლში გამოუვლია.
მაშ, ამოადნე ოქროს ზოდებად,
პოეტო, შენი გულის ქონება,
გეძახის, გელის დედა-სამშობლო
წინამძღვრად, მეკვლედ, შთამაგონებლად...



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი სანაღირაძე

სინაზე

ყოველ დღეობაზე ბიჭს აძლევდნენ ათ მანეთს. ბიჭს დაანგარიშებული ჰქონდა — სკოლის დამთავრებისას მოტოროლერს იყიდდა. მას ძალიან უნდოდა ჰქონოდა მოტოროლერი, თანაც ისეთივე, როგორიც აქვს ქვედა სართულზე მცხოვრებ მოკრივეს. მოკრივემ იცოდა, რომ ბიჭს სული მისდიოდა, როცა მანქანას გამოაგორებდა ეზოში. ხანდახან გაუცინებდა: „დაჯექი, გაგასეირნებ“.

ბიჭი მუდამ შორს დაიჭერდა თავს.

— მალე მეც მეყოლება. აი ნახავთ. მაშინ კი უსათუოდ გაგეჯიბრებით.

— რა თქმა უნდა, — იტყოდა მოკრივე.

ამ დღეობაზე ბიჭს ისევ აჩუქეს ათი მანეთი. როიალზე თაბაშირის დათუნა იდგა, სასაცილო, ყურწაკვნეტილი და რუხი. ბიჭმა ფული ოთხად გაკეცა. დათუნას ყურს ზემოთ პაწია ხვრელი ჰქონდა. ბიჭი ერთხანს დაყოვნდა, თითქოს ფიქრობდა ჩაეგდო თუ არა. მერე სკამზე შედგა, აიწია, ამ დროს ზარმაც დარეკა.

— ალბათ, სტუმარია, — თქვა დედამ.

— ალბათ. — თქვა ბიჭმა.

ბიჭი ძალზე გახარებული ჩანდა, ამდენი ხალხი არასოდეს ენახა მათ ოჯახში. მაგიდა ზანზარებდა. ბიჭი წამოდგა, კარებისაკენ წალასლასდა. არავინ დახვედრია. ბნელოდა. ბიჭმა დერეფანში გაიჭვრიტა. მერე მობრუნდა, კარის არალუღში გაჩრილი წერილი დაინახა.

ფოსტალიონი ყოფილა, გაუელვა. რა იცის ამ კაცმა, წერილს კარის ხვრელში გაარჭობს და მიდის.

ბიჭს არც დაუხედავს კონვერტისათვის, რამდენიმეჯერ შეატრიალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონვერტის ცალი კიდე არ იყო დაწებილი. ბიჭმა ფრჩხილი გაუყარა და ააძრო.

კარებში მამა აილანდა.

— რას უდგახარ? — თქვა მამამ.

— წერილი მივიღეთ.

— ვისგანაა?

ბიჭმა დახედა. სიბნელეში კარგად ვერ გაარჩია და სადარბაზო შესასვლელისაკენ შებრუნდა. იქ ნათურა ენთო.

— ვისგანაა-მეთქი? — გაიმეორა მამამ, — დაგავიწყდა კითხვა?

ბიჭმა თავი ჩაღუნა.

— არ ყოფილა ჩვენი.

— რატომ გახსენი მერე.

— მე მეგონა ჩვენი იყო, — თქვა ბიჭმა, — ჩვენ ხომ ხშირად ვღებულობთ წერილს. ეს კი სხვის სახელზეა. მე არ ვიცოდი, რომ სხვის სახელზე იყო. აბა, რად გავხსნიდი.

— მაჩვენე ერთი.

მამამაც ატრიალა ერთხანს. წერილი ბოცვაძის გვარზე იყო. მისამართი კი მათი სახლისაა. მამამ მხრები მოწურა. ოთახში შევიდნენ. დარბაზში რადიოლა უკრავდა. სტუმრები ცეკვავდნენ.

— რა ვუყოთ ახლა ამას? — თქვა ბიჭმა.

— დავწებოთ და ჩავაბაროთ ფოსტალიონს, თითონ მოძებნოს. ჩვენს სახლში ასეთ გვარს არც გაუჭაჭანებია. თუმცა...

— რა თუმცა? — კითხა ბიჭმა.

— არაა შენი საქმე! უმჯობესია სტუმრებთან გახვიდე.

ბიჭი მოიბუზა. იგი როიალთან მივიდა. იქ სახეაჭარხალებული ბუღალტერი იდგა, შამპანურით სავსე ბოკალი ორივე ხელით ჩაებღუჯა და ისე წრუპავდა.

— დამთვრალა, — გაიფიქრა ბიჭმა. — ორი ჭიქაც არ უნდა!

კარგა ხანს იდგა ასე გარინდებული. როიალის კლავიშებს დაჰყურებდა. კლავიშები ჭაღის სინათლეს ირეკლავდნენ.

ბოლოს ბიჭმა ცალი თვალი გააპარა კარებისაკენ, სადაც მამამისი იდგა.

მამა წერილს კითხულობდა. უცებ მობრუნდა, ვაჟიშვილი დაინახა. სახე წამოუწითლდა. შეკრთა.

— ხომ გითხარი, სტუმრებს მიხედე-მეთქი, — წაიბუზღუნა.

— უჩემოდაც ერთობიან, — თქვა ბიჭმა. თან გაიფიქრა, რად მოიწყინა მამამ? ალბათ, რაღაც ძალიან ცუდი წერია ბარათში.

— რას გაექეცით იმ ხალხს, — გაიკვირვა დედამ, როცა სამზარეულო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან გამოვიდა. ხელში შემწვარი ვაშლებით სავსე ლანგარი ეჭირა. ვაშ-
ლებს სასიამო ოხშივარი ასდიოდა. ბიჭმა წერილზე ანიშნა.

— საოცარია, — თქვა მამამ, — რა ხალხს არ წააწყდება კაცი. აჰა, წა-
იკითხე!

— ვისგანაა? — იკითხა დედამ ჩუმად.

— სხვისია, — თქვა მამამ, — მისამართი ჩვენია, მხოლოდ სხვისია. ამ
ღლაპს არც დაუხედია, ისე გახსნა.

— ღმერთო, მომკალი! ეს რა გიქნიათ, ხომ მოგვეჭრა თავი!

— საოცარი წერილია, — არ იტეხდა იხტიბარს მამა. — შენ დააყუ-
რე მხოლოდ.

დედაც კარგად აღზრდილი ქალი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ
წასძლია. მამამ წერილი ბიჭს ხელში შეაჩეჩა — წაუკითხეო, და თვითონაც
სმენად იქცა.

„— სალამი მამა“, — წაიკითხა ბიჭმა.

— ეს-ღა გვაკლია, რომ შენი წერილი აღმოჩნდეს, — ფერი წაუვიდა
დედას.

— ნუ უშლი, — ეწყინა მამას, — ხომ გითხარი, სხვისია-მეთქი.

ბიჭმა განაგრძო:

„— ალბათ, გამიჯავრდები, როცა ამ წერილს მიიღებ. ბებოც სულ იმას
მეუბნება, ნუ მისწერო. მაგრამ შენ ხომ ჩემი მამა ხარ. ყველა ბავშვს, რო-
ცა რაიმე უნდა, დედას სთხოვს, ან მამას. თუმცა მე ჩემთვის არაფერი მი-
ნდა“.

მამა დივან-კუშეტზე ჩამოჯდა. იგი ფიქრობდა: რა თქმა უნდა, ამ წე-
რილს პატარა ბიჭი ვერ დასწერდა თავისით. რა თქმა უნდა, მას დაეხმარ-
ნენ. მაგრამ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა.

— განაგრძე, — უბრძანა მან ბიჭს, — ოღონდ ნუ ჩქარობ.

— მე არ ვჩქარობ, — თქვა გოჩამ. — „ამ პენსიაზე ბებომ ძველი პალ-
ტო გადამიკეთა. და კიდევ მე ფეხსაცმელიც მაქვს. მე ბებოს მაგივრად
გთხოვ. შენ ხომ იცი, ბებოს პატარა პენსია აქვს. იგი ყველაფერს ჩემთვის
ყიდულობს“.

— საწყალი ბიჭი, — თქვა დედამ. ვაშლებს ისევ ასდიოდა სასიამო
ოხშივარი. გოჩამ ყველაზე შებრაწული ამოარჩია, თვალით აზომა და ნერ-
წყვი გადაყლაპა. მერე ისევ გაისმა მისი ტკბილი ხმა:

„— ბებო სულ ძველმანებში დადის. ამბობს, დავბერდი, არაფერი მჭი-
რდებაო. მაგრამ მე ვიცი, რომ ამას უფულობა ალაპარაკებს. შენ თუ შეგი-
ძლია, ძალიანა გთხოვ, გამოგვიგზავნე ცოტაოდენი ფული. იმდენი მაინც
გამოგვიგზავნე, რომ ბებოსთვის ბოტების ყიდვა შეიძლებოდეს. ახლა ჩვე-
ნთან თოვლია, ყინავს, ბებო კი ფეხსაცმლით დადის“.

— რა ჭკვიანი ბავშვი ყოფილა, — ამოიოხრა დედამ. თან გაიფიქრა,

რომ სტუმრები კარგა ხანია მარტო ერთობიან და, ვინმემ რომ შემოიხედოს, გაოცებული დარჩება, როცა მთელ ოჯახს წერილის კითხვით გართულს ნახავს. — მერე? — მოუთმენლად აუთამაშდა წარბი. — მერე?

ბიჭმა ჩაახველა.

— აქ მელანია დადღლაბული, ვერ ამოვიკითხე.

— გამოტოვე.

„— მე, მამიკო, ვსწავლობ კარგად. დედა არასოდეს არ მოდის ჩემთან. ამბობენ, ძია ვანო და დედა სადღაც შორს აპირებენ გამგზავრებასო, და კიდევ იმასაც ამბობენ, რომ მათ და შენც დამივიწყეთ. მაგრამ მე არ მჯერა. როცა მეოთხე კლასში გადავედი, დედამ ლამაზი სამელნე და კალმისტარი მიყიდა. მას ვუყვარვარ და, ალბათ, ოდესმე ისევ მოვა“... ბიჭმა წამით ასწია თავი. მამა თითებს იმტვრევდა. დედას აუდ-ჩაუდიოდა მკერდი, ღელავდა.

— ეს რა ამბავი ყოფილა, — წამოიძახა დედამ. — უჰ!

— ამას არ გეუბნებოდი?! — შეაწია სიტყვა მამამ, მანაც ამოიოხრა. — უპატრონოდ არ დაუტოვებიათ ბაღანა?! — თან გაიფიქრა, რა თქმა უნდა, ამ წერილს ბიჭი ვერ დაწერდა მარტო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბიჭს უჭირს. ეს ყველაფრიდან ჩანს, და კიდევ ის ჩანს, რომ ყველაფერი ეს სიმართლეა. წერილი რაც შეიძლება მალე უნდა ჩაბარდეს პატრონს. ეს, ალბათ, ის მაღალი, მხრებში ოდნავ მოკაკული მამაკაცია, რომელსაც ჩვენი ბინა ეჭირა წინათ. იგი სადღაც ამ ქუჩაზე უნდა მუშაობდეს. ჰო, დავით ბოცვაძე. წელს მას ახალი ბინა მისცეს ფურნის პირდაპირ.

დედას დაუძახეს. დედამ ლანგარი ასწია და ფრთხილად გაიარა დერეფანი. ოთახში ვაშლების სასიამო სურნელი დარჩა.

სტუმრები შეთვრნენ, ამღერდნენ.

„— იცი, — კითხულობდა ბიჭი თავისთვის,—ჩვენთან თითქმის ყველა ბავშვი დადის მუსიკაზე. მეც ძლიერ მომწონს, როცა ფორტეპიანოზე უკრავენ. მაგრამ ბებო რატომღაც ამბობს, შენთვის ეს არ შეიძლებაო. როცა დიდი გავიზრდები, მეც ვისწავლი დაკვრას — აი, ნახავ — შენც და დედიკოც კმაყოფილი დარჩებით. მე ძალიან მინდა, რომ შენაც მომწერო წერილი. გკოცნი მაგრად, მაგრად. შენი მერაბი“.

ბიჭი ერთხანს გაოგნებული დგას. სიბრალული თუ რაღაც ამის მსგავსი უთანაღრავს გულს. მერე ფანჯარასთან მიდის, წერილს სათუთად კეცავს და კონვერტში დებს. — წებო? ფიქრობს იგი. — დედას სადღაც გუმერაბიკი უნდა ჰქონდეს გადანახული.

ჯერ არ დაბნელებულიყო კარგად. მაღალი მთები მკრთალად იხაზებოდნენ ცის ფონზე. მამამ თქვა:

— იცი, სად ცხოვრობს ის კაცი?

იგი სულ არ უყურებდა ბიჭს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩამ თავი გაიქნია.

— ფურნე ხომ იცი? ფურნეს წინ მაღალი სახლია, იქ უნდა ცხოვრობდეს. დავით ბოცვაძეს იკითხავ. ჯერ კი წერილი დავწეროთ.

— ჰო, — თქვა გოჩამ.

ღილით წვიმდა. ბიჭი თავჩაქინდრული მიყვებოდა ნაპირს. ნაპირი სილიანი იყო, ყვითელი. ირგვლივ ხის ვეება კუნძები ეყარა, კაჯარივით გათლილი და გახეხილი. მოქცევის მერე კუნძები მუდამ ბლომად რჩებოდა ბოღაზში. კუნძებთან ერთად ათას რამეს გამორიყავდა ხოლმე ზღვა. მაგრამ ამჯერად მთელი ნაპირის გაყოლებით მხოლოდ კუნძები-ღა ჩანდა. მზეს წითლად აეფერადებინა ხეთა კატრები სილიან ბორცვებს იქით. ბიჭი დროდადრო შეჩერდებოდა. მოიხედავდა. თოლიები ჯგროდ ტრიალებდნენ მის ზემოთ. ცივი ქარი ქროდა. ქარი იკბინებოდა. ბიჭს ლოყები წამოწითლებოდა. თმები გაშლოდა. იმ წუთს იგი მუქ ღრუბლებს უყურებდა. ღრუბლები უძრავად იწვნენ თხემებთან. ბიჭმა უბიდან წერილი ამოიღო, შეტრიალდა. ნავების შემკეთებელ სახელოსნოს გვერდი აუარა და ღობეში გაძვრა. ფურნის წინ აღმოჩნდა. იქ ახალი ოთხსართულიანი სახლი იდგა. ვიღაც ბერიკაცი გააჩერა. ბერიკაცი ნასვამი ჩანდა. სახე ალაგ-ალაგ აწითლებოდა. მან გაიღიმა და თქვა, რომ ბოცვაძე მეოთხე სართულზე ცხოვრობს. თქვა და მეტი არაფერი. ღიღინით გაუდგა ყვითელი ფოთლებით მოფენილ ქუჩას. ბიჭი მეოთხე სართულზე ავიდა. ღილი მოძებნა. კარები ლამაზმა, საუცხოო ხალათში გამოწყობილმა ქალმა გააღო. უცნობი ბიჭი რომ დაინახა, რატომღაც მოიღუშა, ცალი ხელით თმა გაისწორა.

— მე დავით ბოცვაძე მინდოდა, — ძლივს ამოილუღლუღა ბიჭმა. თან ხელი მაგრად მოუჭირა წერილს.

— რად გინდოდა? — თმის სწორებისათვის თავი არ მიუნებებია, ისე კითხა ქალმა. ბიჭმა ოთახში შეიხედა. ოთახი საუცხოო ავეჯით იყო დახერგილი, ქორკანდელის სიდიდემ კი გააოცა. ასეთი ქორკანდელი გოჩას არასოდეს ენახა. ქალმა წარბები მოწკურა.

— ჩემი ქმარი არ არის შინ. — თქვა მან მჭახედ. — თუ ვინმემ რამე დაგაბარა, შეგიძლია მითხრა.

— მე... — ბიჭი დაიბნა, არ ელოდა ასეთ ცივ მოპყრობას. თანაც ქალის დიდრონი თვალები სულში უფათურებდნენ თითქოს, შეაძრწუნეს.

უცებ ოთახის სიღრმეში რბილი, შეშფოთებული ხმით იკითხა ვიღაცამ:

— ვის ელაპარაკები, მარგო?

ბიჭი უარესად დაიბნა. ერთი სული ჰქონდა, როდის მოშორდებოდა ამ ლამაზ ქალს, მაგრამ წინკარში მამაკაცი გამოჩნდა.

— ჰმ, — გაიქნია ქალმა თავი, შებრუნდა და ოთახში გაქრა.

— რა გინდოდა, ბიჭი? — კითხა მამაკაცმა. საოცრად გამხდარი იყო, თმათეთრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭმა გაუმეორა. მამაკაცმა კარები გაიხურა. მიიწია, შეშფოთებულ-ი დევაც.

— თქვენი წერილია!

მამაკაცმა ფრთხილად გამოართვა.

— ჰმ, — გაიკვირვა თითქოს, — შენთან როგორ მოხვდა?

— მისამართი ჩვენი სახლისა აქვს. — თქვა ბიჭმა, — მიტომაც მოიტანა ფოსტალიონმა, მაგრამ თქვენს სახელზეა. აქ გარკვევით წერია — დავით ბოცვაძე.

— ჰო, — ჩაახველა გამხდარმა, — კარგი კიდევ, რომ მე მომეცი. კიდევ კარგი... — მერე შებრუნდა, წერილი უბეში ჩაიდო და კარებში გაქრა. ბიჭი ერთხანს დაღვრემილი იდგა. საოცარი ხალხია,—ფიქრობდა. მერე კარები ისევ გაიღო. გამხდარი კაცი გამოჩნდა.

— ბიჭი, შენ ხომ არ გაგიხსნია წერილი?

— არა, — თქვა ბიჭმა.

— ყოჩაღ. გინდა, კამფეტს მოგცემ.

— გმადლობთ, არ მინდა!

ქუჩაში გამოვიდა. ცა კიდევ უფრო მოიქუფრა, ქარი ვეება ხეთა ტოტებს არხევს და საშინლად ცივა. ბიჭმა აიწია პალტოს საყელო, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და სანაპიროს გაჰყვა. ნაპირი სილიანი იყო, ყვითელი და ყველგან ხის კუნძები ეყარა, რომელიც მოქცევის მერე დარჩა ბოლაზში. იმ წუთს ბიჭი არაფერზე ფიქრობდა.

— მიუტანე? — კითხა მამამ, როცა შინ მივიდა.

— ჰო.

— მერე?

— არაფერი,—თქვა ბიჭმა. — უჟმური კაცია. სულ არ მიმეტანა ჯობდა.

მამამ გაკვირვებით შეხედა. მეტი არაფერი უკითხავს, მაგრამ ამის შემდეგ ოჯახში ყველა ფიქრობდა პატარა ბიჭზე, რომელიც დიდ ქალაქში ცხოვრობდა და რომლის ბებია ფეხსაცმლის ამარა დადიოდა თოვლში.

...გაზაფხულზე ხეები გაიკვირტა. ჰაერში იასამნის სურნელი დატრიალდა და გოჩა კეფალზე სათევზაოდ დაჰყვებოდა ქვედა სართულზე მცხოვრებ მოკრივეს. გოჩას ძალზე უნდოდა ჰყოლოდა მოტოროლერი. თაბაშირის დათუნა, სალაროს მაგივრობას რომ სწევდა, თანდათან მძიმდებოდა.

იმ დღეს ფოსტალიონმა ისევ მოიტანა წერილი. იგი ისევ გაარჭო კარების ხვრელში, ზარს ჩამოჰკრა და წავიდა.

ბიჭს ამჯერად არ გაუხსნია წერილი. მხოლოდ შეატრიალ-შემოატრიალა ხელში.

— რას უდგახარ მანდ? — კითხა მამამ.

— აქ წერილია, — თქვა ბიჭმა, — ისევ ბოცვაძის სახელზეა.

— მოიტა, — თქვა მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უნდა გახსნა? — შეკრთა დედა.

— რა თქმა უნდა, ერთი სული მაქვს გავიგო, დაეხმარა თუ არა ბავშვს ის კროჭა ინჟინერი.

დედამ გაიღიმა.

წერილი ფრთხილად გახსნეს. წაიკითხეს. მამა გაფითრდა.

„— მივიღე შენი ბარათი და ათი მანეთი,—წერდა ბიჭი, რომელიც დიდ ქალაქში ცხოვრობდა, — ბებო სამზარეულოში იყო ამ დროს და ატირდა. ალბათ, სიხარულისაგან...“

— რა უსინდისობაა, — თქვა დედამ.

მამა: ბოლომდე წავიკითხოთ?

დედა: რა თქმა უნდა.

მამამ ჩაახველა, მას გამოკვეთილი და სასიამო ტემბრის ხმა ჰქონდა. „ბებოს ისევ არ უყიდია თავისთვის ბოტები. ამბობს, დათბაო. იმ ფულით კი თეთრი პერანგი მომიტანა“.

დედა: რას იტყვი, ა?

მამამ მხრები მოწურა. შუბლის ძარღვი დაებურცა და დაულურჯდა.

დედა: როგორ შეიძლება ადამიანი ასეთი იყოს, ა? საწყალი ბიჭი...

გოჩა: ისევ უნდა წავიღო ეს წერილი?

მამა თითებს იმტვრევდა. სადღაც იყურებოდა, ფანჯრის მიღმა, თითქოს იქ, სადაც მისი მზერა წვდებოდა, რაღაც საწყენს ხედავდა და აღონებდა.

გარეთ წვიმდა. სარკმლიდან მოჩანდა ზღვა. ზღვა მუქი იყო და ღელავდა. ბიჭი ქუჩას გაჰყურებდა. ელექტრონის მავთულებზე წვიმის წვეთები მისდევდნენ ერთმანეთს. ტროტუარზე მოკრივემ გაიარა. მოტოროლერთან მივიდა. საწვიმარში ძლივს ეტეოდა მისი განიერი ბეჭები. მოტოროლერი დაიძრა და საბურავების კვალი დატოვა. კვალი თანდათან გამუქდა, გამოიკვეთა, მერე წვიმამ გადარეცხა და გააქრო. გოჩა ფიქრობდა. წვიმაში არც თუ ისე სასიამოვნო უნდა იყოს მოტოროლერით მგზავრობა. მოტოროლერი კარგი ამინდისთვისაა ზედგამოჭრილი. ჩვენთან კი მუდამ წვიმაა. უცებ მას ახალი აზრი დაებადა. ამან შეაკრთო. წამოდგა, მამას მიაჩერდა. მერე როიალთან მივიდა, ცალი მხარი განგებ წამოსდო თაბაშირის დათუნას და თვალები დახუჭა. დათუნამ საზარელი ზათქი მოიღო.

— როცა ოთახში დადიხარ, ხანდახან თვალებშიც უნდა გამოიხედო,— გაბრაზდა მამა.

— მაპატიე, — თქვა ბიჭმა, — მე ხომ შემთხვევით მომივიდა. — თან მუხლებზე ჩაცუცქდა. იატაკზე გაბნეულ ფულს აგროვებდა და ითვლიდა. უცებ იგრძნო, მამა თვალს არ აცილებდა. მოეჩვენა, მამას რაღაც ეკითხა უნდოდა თითქოს — თვალებში ნაკვერჩხლები ჩაცვენია და აუციმციმებია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე მამა დაიხარა. ბიჭს თმები აუწეწა. რაღაც დიდი, უზარმაზარი ხელი ახლდა ამ მოფერებას. ბიჭი გაიტრუნა.

— ახალი დათუნა უნდა ვიყიდოთ, — თქვა მამამ.

— რა საჭიროა, — თქვა ბიჭმა.

მამამ გაიღიმა. ისევ გაუწეწა თმები და სამზარეულოში გავიდა. სამზარეულოს კარები მჭიდროდ გაიხურა. უცებ ბიჭს ბუნდად ესმის, როგორ თქვა მამამ: — იცი, რაღაც მეეჭვება, რომ კროჭა ინჟინერს გაეგზავნოს იმ ბიჭისათვის ფული.

— ვითომ რატომ, — გაიკვირვა დედამ, — მე შენ გეტყვი და ბევრი გაუგზავნა?!

— ამიტომაც მეეჭვება.

დუმილი.

გოჩას ლოყები უხურს. ესმის როგორ მოწვეთავს ღარღანაში ჩარჩენილი წვიმის წყალი, ესმის როგორ გაჩერდა ქუჩაში მანქანა და როგორ გაიღო მძღოლმა კაბინის კარი. გოჩა წამოდგა. ფული მობღუჯა, მერე მაგიდაზე დაყარა.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი ეზოში დგას წვიმაში. წვიმა ასველებს. თმები ელიფება. პერანგი უმძიმდება. ახლად შეკვირტული ხეები საუცხოო საანახავია წვიმაში. გოჩა ფიქრობს: „გაივლის კიდევ რამდენიმე წუთი და დედა ძებნას დამიწყებს... მოტოროლერი წვიმაში მაინც არ ვარგა. როცა გავიზრდები, მანქანას ვიყიდი. ეს უკეთესი იქნება“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძე

მაღლა და დაგლა

„მაღლა მაღლა ნუ ადიხარ, გადმოვარდები“.

ხ ა ლ ხ უ რ ი.

შენ!..
მაღლა,
მაღლა ისე წახველი,
რომ დაგავიწყდა ჩემი სახელი
და დაიხლართა გზები ფერადი,
როგორც ხეებზე ქსელი ობობას,
და გაუვიდა ყავლი ყელამდი
ჩვენს მეგობრობას და ნაცნობობას.
და „გამარჯობა“,
თვალი ნათელი,
გულის დიდება, მკლავის დიდება,
ეს პურ-მარილი ყველა ქართველის,
სახლის გარეთ რომ გიმასპინძლდება,
შენ დაივიწყე, ვით ივიწყებენ,
სუფრის ბოლოში ნათქვამ სიმღერას,
და ახლა შენი დიდი სიფიცხე
ზევით ამ მაღალ კიბეს მიყვება.
მე კი ამ მიწით...
მისი ღადღადით
ვხარობ და ქარი ქროლვით მიმარხევს, —
და შენ კიბეზე ისე ამაღლდი,
მე დამაეჭვა შენმა სიმაღლემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე მივყვებოდი მზეში ხეთა რიგს
და მაღლა ასულს მუდამ გხედავდი.
ხომ იცი, ახლა დრონი მეფობენ,
დრონი თრობით და ჟინით მიმარხევს,
ქარში ერთხელაც არ მიმეგობრე,
მზეში ერთხელაც ვერ დამინახე.
მე, მინდობილი ლამაზ დღეთა რიგს,
მუდამ გხედავდი, მუდამ გხედავდი.
წუთისოფელის არის ავ-კარგი...
თუ ცხოვრებაში რამე გიყვარდა,
კიბემ, რომლითაც მე შენ დაგკარგე,
ისევე ჩემთან ჩამოგიყვანა.
როგორც ფოთოლი მაღალ ჩინარის,
ქარმა მოგწყვიტა, ქარმა წაგიღო
და სიზმარივით გაუჩინარდი.
მე ცხოვრებაში მიტომ მოვედი,
შენი დანახვა შევძლო ყოველთვის.
მიწა მიწიერ სურვილს შეიწოვს
მზის, ყვავილების და ცის თანაბრად
და ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვერ შევიძლო,
შენი მაღლა და დაბლა დანახვა.

თოვლში

თოვლი და ასეთი — ასეთი თბილი?..
ფანტელის შრიალი, შრიალში ხმა ბეღურის.
ქუჩაში ჩიტებივით გამოჩნდა დილით
შენი ბავშვური ლამაზი ნაფეხური.
გდიე და ვერსად გავექეცი სურვილს,
მერე ფანტელის თეთრად შრიალს დავაყურე
და შენს ნაფეხურებს ეგ ჩემი სული
ავიღე და მწვანე ფოთოლივით დავახურე.
ქუჩები გაერთნენ პერანგების წურვით...
აღარც თოვლის ცვენა, აღარც ხმა ბეღურის.
მოვედი, ისევ ისე დამიხვდა სული,
მაგრამ გამქრალიყო შენი ნაფეხური.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰორსტ ბასტიანი

მაისის ფროშანები

გზისპირა თხრილში ეგდო შავი, დამწვარი „ვეფხი“. გაზაფხულის ლაღ მზეს ჩრდილთა ცეკვა გაემართა ფოლადის ურჩხულის დაგლეჯილ, შლამში ჩაფლულ მუხლუხებზე. ზენა ქარი მახლობელი ცაცხვის ნორჩ ფოთლებს ატოკებდა. არ ისმოდა თვითმფრინავთა გრუხუნი, არც სირენთა გაბმული ღრიალი. ნუთუ მშვიდობამ დაისადგურა?

სად იყო და სად არა, გრიალით მოახლოვდა მწვანე მანქანა. უკანასკნელი ბრძოლა ორი დღის წინ დამთავრდა, მაგრამ მანქანაში, დამსხვრეულ ტანკს რომ გვერდით ჩაუქროლა, მწვავე ბრძოლა გრძელდებოდა...

საბჭოთა მეომრებმა გაათავისუფლეს აუსშვიცის საკონცენტრაციო ბანაკი და ამ ბანაკთან ერთად მძიმე ავადმყოფი ათი წლის ბავშვი. იგი საბჭოთა არმიის ერთ-ერთ ლაზარეთში მიიყვანეს. მდგომარეობა რთული იყო, ექიმებს ბავშვის გადარჩენის იმედი არ ჰქონდათ. საჭირო იყო უკანასკნელი ზომები. ამ მიზნით იგი 1945 წლის მაისის პირველ დღეებში პოტსდამში გაგზავნეს. პატარა გერმანელის სიკვდილ[illegible]ი სიცოცხლე საათებზე, წუთებზე ეკიდა. მძღოლი და მანქანა მწვავე გამოცდის წინაშე იდგნენ.

ბავშვს სახეზე ჯოჯოხეთური ტანჯვა ეხატა. მძღოლი, ხანშიშესული საბჭოთა ჯარისკაცი, შიშს გვრიდა ბიჭს. ჯარისკაცის თვალებში საშინელი ცეცხლი ენთო. მისი დაშვებული მხრები, წინ გადახრილი თავი, ყველაფერი აფრთხობდა ავადმყოფს. ალბათ, ყველას, ვინც ამ ჯარისკაცს ხვდებოდა, ბიჭივით ემართებოდა.

ბიჭს თავი მანქანის სვლის მიმართულებით ედო, მაგრამ მაინც გრძნობდა, მძღოლი ყოველ წუთს აბრუნებდა თავს და კაბინის პატარა ფანჯრიდან უყურებდა. ეს შეგრძნება ავადმყოფს აწვალებდა. ეშინოდა: მძღოლის, სიცოცხლის, სიკვდილის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზის მარჯვნივ და მარცხნივ ნანგრევთა გორები მიცურავდნენ. ბევრ-
რჩენილი სახლები ბავშვს ცარიელ ფანჯარათა ჯურღმულებიდან უყურებ-
ნენ. ერთ-ერთ აივანზე გასაშრობად გაეფინათ ჭრელი ქვედა საცვლები,
ერთობ ჭრელი ჭინჭები. შუადღის მზეს ბავშვისათვის თითქოს მცხუნვარე-
ბა დაკარგოდა. მას ციოდა, ხელის ზურგზე სილურჯე ეპარებოდა.

მძღოლმა ერთხელ კიდევ რომ მოიხედა უკან, შეშინებულმა დაასკვნა,
რომ ბიჭის აქამდე ისედაც გაფითრებული სახე სულ მთლად განაცრისფე-
რებულიყო. თავი უძრავად გადაეგდო გვერდზე. ჯარისკაცი მთელი ძალით
დააწვა გაზის პედალს, მაგრამ მანქანას სისწრაფე არ მომატებია. მძღოლის
სახეზე შეშფოთება აღიბეჭდა. კვლავ მოიხედა უკან. იგივე სურათი; მანქა-
ნის უკან გზას მტვრის ღრუბლები ფარავდა. გაზაფხულის ქარმა საყვირის
ხმა გაიტაცა.

საჭესთან მიმჯდარი ჯარისკაცი ფიქრებს ებრძოდა. საავადმყოფოს
გვიან მიაღწევს, მაგრამ შველა ხომ აუცილებელია, შესაძლებელიცაა.

გარეთ ისევ გაზაფხული იდგა. სიცოცხლე კვლავ ყველგან იღვიძებდა..
ბავშვი კი?..

...არა! მან უფრო გვიან ვერც კი წარმოიდგინა, რომ ეს „არა“ ხმამაღ-
ლა წამოიყვირა და მუხრუჭს დააჭირა, მანქანა თხრილთან მიაგდო. მძღოლ-
მა ყოველგვარი სიფრთხილე დაკარგა. ბიჭს ყვირილი რომ აღმოხდა, მაშინ-
ღა მიხვდა: ბავშვი ცოცხლობდა. არც თვით იცოდა, რას აკეთებდა. ეს იყო
უნებლიე მოქმედება ადამიანისა, რომელიც სიკვდილს არ ეპუება. იგი
გზის პირას მივიდა და ქვებშუა რაღაც ამოიღო. ავადმყოფი ბიჭი თვალს
ადევნებდა ჯარისკაცს, რომელიც კვლავ ავტოსთან მივიდა. ბავშვს თვალე-
ბი შიშისაგან უფართოვდებოდა. ჯარისკაცმა კარი გამოაღო და მისკენ დაი-
ხარა. ბიჭს ძლიერი ხმა მოესმა: „ერთი შეხედე, პატარავ, კვლავ გაზაფხუ-
ლია“. ეს სიტყვები ჯარისკაცმა წარმოთქვა. მის უხეშ, დაკოჟრილ ხელში
სამი თეთრი მაისის შროშანი ქათქათებდა. ხელი უთრთოდა. როგორ შეცვ-
ლოდა ამ წუთას თვალები. ბიჭმა იგრძნო, როგორ ჩაუდო მძღოლმა ყვავი-
ლები მარცხენა მუჭში. ავადმყოფმა ხელი ისე მოუჭირა, რომ წვრილი ღე-
როები გადატყდა. ჯარისკაცმა მიუალერსა ყვავილის თეთრ თვალებს და,
თითქოს შემთხვევით, ბავშვის ხელსაც შეეხო. მერე მყისვე ხმაურით მოი-
ხურა მანქანის კარი. მგზავრობა გაგრძელდა.

როცა მოგვიანებით მანქანა საავადმყოფოსთან შეჩერდა, ექიმებს შე-
ეძლოთ მიეღოთ პაციენტი, რომელსაც კრიზისი უკვე გადაეტანა.

გერმანულიდან თარგმნა **ვაჟა ჭანუყვაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უილიამ საროიანი

პიანინო

— ყოველთვის, როცა პიანინოს ვხედავ, საშინლად ვღელავ, — თქვა ბენმა.

— მართლა? რატომ? — კითხა ემამ.

— თვითონ არ ვიცი, — უთხრა ბენმა. — მოდი, შევიდეთ მაღაზიაში, ცოტას დავუკრავ.

— უკრავ? — კითხა ემამ.

— ჰო, ჩემს დაკვრას თუ დაკვრა ეთქმის, — უთხრა ბენმა.

— რას უკრავ?

— ნახავ, — თქვა ბენმა.

ისინი შევიდნენ მაღაზიაში და კუთხეში მიდგმულ მომცრო პიანინოსაკენ გაემართნენ. ემამ შენიშნა, რომ ბენი იღიმებოდა და გაოცდა. ასეთი ღიმილი არასოდეს ენახა მის სახეზე. ხშირად ხდებოდა ასე. ეგონა, კარგად იცნობდა ბენს და თურმე როგორ ცდებოდა. ბენი იდგა და თვალებით პიანინოს ელამუნებოდა. სადღაც, ალბათ, მოუსმინა პიანინოს და მის შემდეგ გულში ჩაუვარდა, — ფიქრობდა ემა. — ერთთავად კლავიატურა და პიანინოს მოხაზულობა უდგას თვალწინ, მოსმენილი მუსიკა თავში გაჯდომია და ჰგონია, მეც შემიძლია დაკვრაო.

— იცი დაკვრა? — კითხა ემამ.

ბენმა მიმოიხედა. გამყიდველებს მოცლა არ ჰქონდათ.

— არა, არ ვიცი, — თქვა მან.

ბენის თითები ნამდვილი პიანისტის თითებივით გადადიოდა თეთრიდან შავ კლავიშებზე. ემას საოცარი განცდა იპყრობდა. იგი გრძნობდა, რომ ბენი სწორედ ერთი იმათგანი იყო, ვინც თავისთავში ათასგვარ

საუნჯეს ინახავს და დიდხანს ამოუხსნელი რჩება. იგი სწორედ ისეთ ადგ
ეროვნული ბიბლიოთეკა
რომელსაც უნდა სცოდნოდა დაკვრა.

ბენმა რამდენიმე წყნარი აკორდი აიღო. არავინ არ მოდიოდა და არ თავაზობდა, იყიდე ესა და ეს ნივთიო. ბენი იდგა და იმასვე განაგრძობდა, რასაც, მისი თქმით, დაკვრა არ ეთქმოდა.

ყველაფერი ეს ემას საუცხოოდ ეჩვენებოდა.

ბენი მხოლოდ ნახევარ წუთს უკრავდა. მერე მან ემას შეხედა და უთხრა:

— კარგად ჟღერს!

— საუცხოოა! — დაუმოწმა ემამ.

— მე არ მითქვამს საუცხოოდ ვუკრავ-მეთქი, პიანინოა საუცხოო. მე პიანინო ვიგულისხმე. პატარა პიანინოს კვალობაზე კარგად ჟღერს.

ამასობაში შუახნის ნოქარი მიუახლოვდა მათ და მიესალმა.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ბენმა. — აი, ეს ზორბა რამეა.

— ძალზე მოხერხებული ინსტრუმენტია, — შეაქო ნოქარმა. — განსაკუთრებით კარგია საშინაოდ. კარგა ბლომად გავყიდეთ.

— რა ღირს? — კითხა ბენმა.

— ორას ორმოცდაცხრა დოლარი და ორმოცდაათი ცენტი. რა თქმა უნდა, განვადებითაც შეიძლება.

— სად აკეთებენ ამას? — ისევ კითხა ბენმა.

— კარგად არ ვიცი, — უპასუხა ნოქარმა, — მგონი ფილადელფიაში. გავიგებ.

— ნუ წუხდებით, — უთხრა ბენმა, — თქვენ უკრავთ?

— არა.

მან შენიშნა, რომ ბენს კიდევ უნდოდა დაეკრა.

— განაგრძე. — უთხრა მან, — დაუკარი კიდევ.

— მე არ ვუკრავ, — თქვა ბენმა.

— მე გისმენდით, — უთხრა ნოქარმა.

— ეს ხომ დაკვრა არაა, — თქვა ბენმა. — ნოტები არ ვიცი.

— მე მსიამოვნებდა, — უთხრა ნოქარმა.

— მეც, — დაუმატა ემამ. — რამდენია პირველი შესატანი?

— ორმოცი თუ ორმოცდაათი დოლარი, — უთხრა ნოქარმა. — განაგრძე, სიამოვნებით მოგისმენდით კიდევ.

— ეს რომ ბინა იყოს, მთელი დღე მივუჯდებოდი და ვუკრავდი, — თქვა ბენმა.

— დაუკარი კიდევ, — უთხრა ნოქარმა, — ვინ რას იტყვის.

ნოქარმა სკამი მიუჩოჩა. ბენი დაჯდა და დაიწყო ის, რასაც, მისი თქმით, დაკვრა არ ეთქმოდა. თხუთმეტ-ოც წამს თითებს ათამაშებდა, მერე რაღაც მელოდიას მიაგნო და ორ წუთს გააგრძელა. ირგვლივ სიჩუმე ჩამოვარდა. სევდიანი მუსიკა ყველაზე მოქმედებდა და ბენსაც თანდათან უფრო იპყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობდა სიამოვნება. ბენი უკრავდა და ამავე დროს ნოქარს ელაპარაკებო-და პიანინოს თაობაზე. მერე მან დაკვრა შეწყვიტა და წამოდგა.

— გმადლობთ, — თქვა მან, — ვიყიდი, თუ ფული დამირჩა.

— რისი მადლობა, — უთხრა ნოქარმა.

ბენი და ემა მაღაზიიდან გამოვიდნენ.

— მე ეს არ ვიცოდი, ბენ, — თქვა ემამ.

— რა?

— შენზე.

— რა ჩემზე?

— რომ ასეთი იყავი, — უთხრა ემამ.

— ახლა ჩემი საუზმის დროა, — თქვა ბენმა, — საღამოობით კი მარ-ტო იმას ვფიქრობ, ნეტავ პიანინო მაინც მომცა-მეთქი.

ისინი პატარა რესტორანში შევიდნენ, დახლს მიუსხდნენ და სენდვიჩი და ყავა შეუკვეთეს.

— სად ისწავლე დაკვრა? — კითხა ემამ.

— ჯერ-ჯერობით არ მისწავლია, — უთხრა ბენმა, — თუ კი სადმე პიანინოს წავახელთებდი, მივუჯდებოდი. ეს იყო და ეს. ასე ვიქცეოდი, რაც თავი მახსოვს. როცა ფული არ გაქვს, სხვანაირად შეუძლებელია.

მან შეხედა ემას და გაიღიმა. იგი ახლა ისევე იღიმებოდა, როგორც მაშინ, როცა პიანინოსთან იდგა და კლავიატურას უყურებდა. ემას საოცრად ეამა ეს ღიმილი.

— როცა ფული არ გაქვს, — თქვა ბენმა, — ადამიანი ბევრი ისეთი რამისაგან იკავებ თავს, რაც კანონით უნდა გეკუთვნოდეს.

— ჰო, ასეა, — უთხრა ემამ.

— პიანინო ერთსა და იმავე დროს კარგიცაა და არც არის კარგი, — თქვა ბენმა. — კაცმა რომ თქვას, საშინელიც კია.

მან კვლავ შეხედა ემას და ისევ გაუღიმა. ემამ შეხედა და ღიმილი და-უბრუნა.

ისინი რესტორანიდან გამოვიდნენ, ორი უბანი გაიარეს და უნივერმა-ღისაკენ წავიდნენ, სადაც ემა მუშაობდა.

— აბა, ნახვამდის, — უთხრა ბენმა.

— ჯერ-ჯერობით, — თქვა ემამ.

ბენი ქუჩას დაუყვა, ემა კი მაღაზიაში შევიდა. მას მტკიცედ სწამდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბენი იყიდდა პიანინოს და ყველაფერ დანარ-ჩენსაც.

ინგლისურიდან თარგმნა **გიორგი მაჭუტაძემ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან გელაძე

გამარჯობა

გამარჯობა, მშობლიურო ოდა-სახლო,
შენს კედლებში დამეკარგა ჩემი ყრმობა!
გამომიტყდი, ვინმემ ხელი ხომ არ გახლო?
ხომ არ გიმძიმს მუდამ ჩემი შინ არყოფნა?

გამარჯობა, ჩემო ცეცხლის მეზობელო,
წითელ მამალს კვლავ საჩხუბრად ნუღარ გეშავ.
შენც გეყოფა, მეც მეყოფა ეს სოფელი, —
ერთმანეთი ვანუგეშოთ.

მამა-პაპის საფლავებო, გამარჯობა!
არ ღირს ახლა გარინდება და დუმილი,
ფხიზლად უნდა ამ ცხოვრებას დარაჯობა,
უნდა ჰქუხდეს ახლა თვითონ დავრდომილიც.

გამარჯობა, გატეხილო საძმო კეცო,
ჩემსკენ იშვერს დედა შენზე დამწვარ ხელებს.
აქ გაზრდილი, როგორ მოვკვდე არ ვიკაცო, —
ამ ყველაფერს ერთხელ მაინც ვასახელებ.

გამარჯობა, თოვლიანო მწვერვალებო,
ე, მაგ ნისლებს თავშალივით ნუ იფარებთ!
თქვენს წინაშე ბევრი რამე მევალება,
თქვენს უბიდან ბევრი რამე მოვიპარე.

---

* ეს ლექსები ლევან გელაძემ გამოსაქვეყნებლად გადმოგვცა მიმდინარე წლის იანვარში. მაგრამ ბრმა შემთხვევამ უდროოდ შეწყვიტა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტის სიცოცხლე და იგი ვეღარ მოესწრო მათ დასტამბვას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შევარდენი

იელვა და გაანათა ხევები,
იშექა და კლდეებს გააზრიალა,
შიშისაგან აკანკალდნენ ხეებიც,
მდინარემაც მწარედ დაიღრიალა.
სადღაც, მაღლა, ცის და მიწის მიჯნაზე,
შევარდენი დაენარცხა მიწაზე.
იქუხა და შევარდენი შეტოკდა,
კლდეს მიასო მან ბრჭყალები ალმაცრად,
დაუარა ელვა დაჭრილს, მომაკვდავს, —
უთანაბრო შერკინებამ დაზაფრა.
ცას მიბჯენილ ღრუბლებს შურით შეხედა
და საომრად კვლავ აფრინდა მეხებთან.
იშექა და შებარბაცდნენ გორები
და ძირს მთების ნამტვრევები დაცვივდა,
მწვერვალებსაც დაუფხრიწა თორები,
მთების გულში მეხი ისევ გაცივდა.
შევარდენი აიფოფრა ნაპრალთან,
ფრთა ფრთას დაჰკრა, გასაფრენად გამართა,
კვლავ მოუნდა შეჯახება მეხებთან,
ლეგა ღრუბლებს ისევ რისხვით შეხედა.
ფრთა ფრთას დაჰკრა, შეუპოვრად აფრინდა,
უცებ შურით მთა ოქროსფრად გაბრწყინდა,
გაქრა ბინდი და მზემ გადმოიხედა
და ნისლები ალაგ-ალაგ შეჯარდნენ.
ფრთებდალეწილს და ნაომარს მეხებთან
ზეცა დარჩა სანავარდოდ შევარდენს.

ნესტორ მალაზონიას

ვერ მოასწრებ მთაზე ასვლას,
დრო შეგაფრქვევს თმებში ფიფქებს.
რა კაცი ხარ, თუ ყოველ წამს
შენს მამულზე არ იფიქრე?!
რა კაცი ხარ, თუ ეს მიწა
ყველგან უბით არ ატარე,
თუ მამულის სიყვარული
ერთხელაც არ აგატირებს?!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ ამ მიწის სუნთქვა გათბობს,
სტრიქონებში მოსჩქეფს წყარო,
მინდა წლები უთვალავი
ცამ ვარდებად დაგაყაროს.
შენ ამ მიწას ეღვენთები
სიყვარულად და რითმებად,
რა ვიღონო,
რა ვიღონო,
ყველაფერი არ ითქმება.
ერთ სიცოცხლედ ის ღირს მარტო,
მზე აჩვენე გულიზარებს,
შიშველ ფეხზე მიწის დაყრა
ერთხელაც არ დაიზარე,
ერთხელაც არ წაეტანე
დასამტვრევად ხეთა რტოებს, —
რაც გაგაჩნდა, მოიტანე,
მოიტანე და დატოვე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ჩხაიძე

დამორჩილებული ჭოროხი

გასული წლის სექტემბერში კოკისპირულმა წვიმებმა გადაუარა აჭარას. რომ იტყვიან, ცა ფეხად ჩამოვიდაო, ისეთი ღვართქაფი მოდიოდა რამდენიმე დღის განმავლობაში. ყველაფერი წყლით დაიფარა. უწყინრად მორაკრაკე რუ და ღელე ერთ დღე-ღამეში მდინარედ იქცა, მდინარეები კი ზღვასავით მოაგორებდნენ მღვრიე ზვირთებს, კალაპოტში ვერ ეტეოდნენ.

ზღვის სანაპიროზე პირველი არ იყო ბუნების ასეთი ჭირვეულობა. ამიტომ ხალხი მარჯვედ დახვდა სტიქიონს, ადამიანები მხარში ამოუდგნენ ერთმანეთს და ხელისუფლების ორგანოების დახმარებით თავიდან აიცილეს მოსალოდნელი ზარალი და უბედურება.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში მომიხდა გამგზავრება და რუსთველის პროსპექტზე ჩემს ძველ ნაცნობს ინჟინერ დავით ჟღენტს შევხვდი. ერთმანეთის მოკითხვა არც კი დაგვემთავრებინა, რომ მაშინვე წვიმებზე ჩამოაგდო სიტყვა. იმ წყალდიდობის დროს ჭოროხზე თუ იყავით, დაინტერესდა. მივუხვდი, რაც აწუხებდა. ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა როდი იყო, როცა ნაცნობები შეხვდებიან ხოლმე ერთმანეთს და იქაურ-აქაურს ამინდის ამბავს მოაყოლებენ. დავით ჟღენტი რამდენიმე წელი მუშაობდა „ჭოროხმშენის“ უფროსად, მისი ხელმძღვანელობით მაგრდებოდა მდინარის ორივე ნაპირი, შენდებოდა ჯებირები, წყალამრიდი დეზები, რომ წყალდიდობას ზიანი ვეღარ მიეყენებინა მოსახლეობისათვის.

და აი ეს კოკისპირული წვიმები ერთგვარი გამოცდა იყო იმ ადამიანებისათვის, რომლებიც წლების მანძილზე ამაგრებდნენ ჭოროხის ნაპირებს.

— მინდოდა, ჩამოვსულიყავი და საკუთარი თვალით მენახა იმ დროს ჭოროხი, მაგრამ ვერ მოვახერხე, საქმე აქაც ყელამდეა, — თქვა დავითმა.

ვუამბე, რაც ვიცოდი. იმ დღეებში სხვებთან ერთად მეც შევყურებდი, როგორ ბობოქრობდა ჭოროხი, საკუთარ ტანში ვერ ეტეოდა, მხრების გაშლას ლამობდა; მღვრიე ტალღები მძლავრად უტევდნენ რკინა-ბეტონის ჯებირებს, მაგრამ ამაოდ, მშენებლებს იგი საიმედოდ ჰყავდათ გამომწყვდეული და მდინარესაც აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, რომ დამორჩილებოდა ადამიანის ნებას და გაეგრძელებინა თავისი დაუსრულებელი დინება შავი ზღვისაკენ.

ვუამბე დავითს საკუთარი თვალით ნანახიც და მოსმენილიც, ზოგი რამ მასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

წაეკითხა გაზეთებში. ამ დროულმა კაცმა ბავშვივით გაიხარა, მეც რომ დავუდასტურე, გაუძლო ჭოროხის ნაპირებმა წყალდიდობას-მეთქი.

— იცი, — მითხრა, — ამ წყალდიდობამ ერთი მხრივ სასარგებლო საქმეც გაიკეთა — ახლა თამამად შეიძლება იმ მიწების გამოყენება, ჭოროხს რომ გამოვტაცეთ. ჯერ მშენებლობა არც გვქონდა დამთავრებული, რომ მდინარის ყოფილ კალაპოტში უკვე შეიქმნა პირველი მეურნეობები. ახლა შევიტყვე, დიდი სამუშაოები დაუწყიათ ამ მხრივ.

თბილისიდან დაბრუნებულმა ერთხელ კიდევ მოვიარე ჭოროხის ტაფობი. საგრძნობლად შეცვლილიყო იქაურობა. მდინარის ხმაურს აღარ ფარავდა ბულდოზერების, სკრეპერებისა და ტრაქტორების გუგუნი. თითქმის მთელ კილომეტრზე გადაჭიმულ კალაპოტში სულ მცირე ადგილი დაეთმოთ ჭოროხისათვის და ისიც თვინიერად მიედინებოდა ზღვისკენ. ორივე ნაპირზე კი, სადაც უამინდობის დროს თავისუფლად ბობოქრობდა აწყვეტილი მდინარე, მშენებელთა ნაცვლად მოსულიყვნენ სოფლის მეურნეობის მუშაკები, ჭოროხისაგან განთავისუფლებული ოთხასი ჰექტარი რომ მოეხმარათ სასარგებლო საქმისათვის.

* * *

...ჭოროხი ოდესღაც მოედინებოდა ბათუმის ახლანდელ ტერიტორიაზე. შემდეგ მდინარემ თანდათან გადაინაცვლა მარცხნივ, წაწყდა წინააღმდეგობას გონიოს მთის სახით და ისევ ქალაქს შემოუტია: ჭირვეული და უხვწყლიანი მდინარე განსაკუთრებით საშიში ხდებოდა წყალდიდობის დროს, რადგან მისი კალაპოტი კახაბრის ველზე მაღალი იყო და დინებით ერთთავად მარჯვნივ ინაცვლებდა. ამის გამო გადაწყდა აეგოთ სანაპირო ნაგებობანი, რაც სამუდამოდ მოსპობდა წყალდიდობისა და ნაყოფიერი მიწების წალეკვის საშიშროებას.

პარტიამ და ხელისუფლებამ დახმარების ხელი გაუწოდეს ხალხს და 1954 წელს ჭოროხთან საომრად კახაბრის ველისაკენ დაიძრა მძლავრი ტექნიკა. ჭოროხის ავი შხუილი დაფარა ექსკავატორების, ბულდოზერების, ტრაქტორების, ავტომანქანების მძლავრმა გუგუნმა, ამუშავდა საველე ელექტროსადგურები, ბეტონის ქარხნები, წყალსაქაჩავი ტუმბოები.

ამ ტექნიკით მოვიდა აქ საქართველოს წყალთა სამინისტროს „კოლხიდმშენის“ სამშენებლო-სამონტაჟო კანტორის კოლექტივი, რომელსაც შემდეგ ეწოდა უფრო მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი სახელი — „ჭოროხმშენი“.

მართალია, მშენებლებს საირიგაციო მუშაობის, ჭაობების ამოშრობის და ტყეების გაყვანის მდიდარი გამოცდილება ჰქონდათ, მაგრამ ჭოროხი სულ სხვა იყო. კოლხიდაში ისინი ებრძოდნენ ჭაობს, მცირეწყლიან მდინარეებს, აქ კი მათი მოწინააღმდეგე იყო წყალუხვი, ბობოქარი და დაუნდობელი ჭოროხი, რომელიც დღემდე ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა ადამიანთან ბრძოლაში.

ეს კარგად იცოდა მშენებელთა მთელმა კოლექტივმა. იცოდნენ და მაინც ღრმად სწამდათ, რომ ამ საპატიო და პასუხსაგებ სამუშაოს პირნათლად, ღირსეულად გაართმევდნენ თავს.

სამუშაოთა მასშტაბზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, ავამეტყველოთ ციფრები: შესრულებულია ერთი მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის, სამოცდაათი ათასი კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოები. ამასთან ამ მშენებლობას აჭარისათვის სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა — ეს იყო დიდი სკოლა ახალგაზრდებისათვის, რომლებიც მშენებლობის პროცესში დაეუფლნენ მებეტონის, მექანიზატორის, ჰიდრომშენებლის, დურგლისა და სხვა პროფესიებს. ისინი უმეტესად აჭარის ახლომახლო სოფლებიდან ჩამოსული კოლმეურნეები და დემობილიზებული ჯარისკაცები იყვნენ. ბევრ მათგანს არასოდეს არ ჰქონია საქმე რთულ ტექნიკასთან, მაგრამ სამაგიეროდ ჰქონდათ მუშაობის დიდი სურვილი, ხოლო ამ სურვილს წინ თვით ჭოროხიც კი ვერ აღუდგა.

შარშან გაზაფხულზე მშენებელთა ერთი ჯგუფი, რომელმაც განსაკუთრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიჩინა თავი, დააჯილდოვეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო ცოტა მოგვიანებით „ჭოროხმშენის“ ყოფილ უფროსს დავით ერმალოს-ძე ყენტს მრენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული ინჟინრის წოდება.

გადაიჭრა უპირველესი და მთავარი პრობლემა — ჭოროხი ახლა უკვე წალეკვით აღარ ემუქრებოდა ახლომდებარე სოფლებს, მაგრამ დარჩა მდინარისაგან გამოტაცებული ვრცელი ფართობი — ოთხასი ჰექტარი მიწა, რომელსაც ხალხმა „ბათუმის ყამირი“ შეარქვა.

ჯერ კიდევ მშენებლობის დროს ნაკალაპოტარში მოეწყო ბათუმის რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მეღორეობის ფერმა. პირველსავე წელს სახელმწიფოს ჩაბარდა ორას ცენტნერამდე ხორცი. იქვე გაკეთდა ხელოვნური გუბურები და ტბები, რომლებშიც დაიწყო იხვებისა და თევზების მოშენება.

პირველმა ცდამ სასურველი შედეგი გამოიღო და არსებული მეურნეობის ბაზაზე შარშან ივლისში აქ შეიქმნა ბათუმის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, რომლის დირექტორად დაინიშნა დავით ლეკვეიშვილი.

* * *

დავით ლეკვეიშვილთან ერთად დილაადრიანად გავედით ქალაქიდან. გზაში დირექტორის მოადგილე და მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი ვასო შენგელია დაგვემგზავრა. ადგილზე ჩასვლამდე საკმაო დრო გვქონდა სასაუბროდ, მაგრამ სანამ პირველი შეკითხვით მივმართავდი მათ, საუბარი მოულოდნელად ტაქსის მძღოლმა წამოიწყო:

— პატივცემულო დავით, — მიუბრუნდა იგი ლეკვეიშვილს, — როდის ეღირსება დამთავრება კომბინირებული საკვების ქარხანას? რაღაც ძალიან გაჭიანურდა მშენებლობა!

ტაქსის მძღოლები ყოვლის მცოდნენი არიან, ყველას იცნობენ. როგორც მისი სიტყვებიდან ჩანდა, იგი ბევრჯერ ყოფილა ქარხნის მშენებლობაზე, დავით ლეკვეიშვილსაც კარგად იცნობდა და ისიც იცოდა, ახლად შექმნილი მეურნეობის დირექტორს ძალიან რომ აფიქრებდა კომბინირებული საკვების ქარხნის მშენებლობის ასეთი გაჭიანურება.

— მოსახლეობამ უკვე იცის, რომ ჭოროხის პირად დიდი მეურნეობა გაშენდა და ქალაქი უკვე ელის მეტ რძეს და ხორცს, — განაგრძობდა მძღოლი. — ვიცი, რომ პირუტყვისათვის მთავარი საკვებია, ჰოდა, საკვები რაც ადრე გვექნება აგერ, ყურისძირში, მით უფრო მეტ პროდუქტებს მიიღებს ქალაქი.

— სწორია, ჩემო გიორგი, სწორია, — თქვა დავითმა, — ახლა რასაც მე მეუბნები, თუ სადმე შეგხვდნენ, აჭარის პურეული პროდუქტების ბაზისა და მეხუთე საშენებლო ტრესტის ხელმძღვანელებს უთხარი. — შემდეგ მომიბრუნდა და მითხრა: — ეს ქარხანა რომ აშენდება, საკონლის გამოკვების მთავარი პრობლემა გადაიჭრება — კომბინირებული საკვები ადგილზე გვექნება. ახლა კი ყველაზე ახლოს ასეთი ქარხანა მახარაძეშია და თითქმის ყოველდღე გვიხდება მანქანისა და ხალხის გაგზავნა საკვების ჩამოსატანად.

— შარშან სამი ვადა დაწესეს მშენებლობის დასამთავრებლად, — ჩაერია საუბარში მთავარი ზოოტექნიკოსი, — სამივეჯერ გატეხეს სიტყვა მშენებლებმა. მეტისმეტად გაჭიანურდა რკინიგზის შტოს გაყვანა. ამ რკინიგზამ, სხვათაშორის, ხორცკომბინატის ტერიტორია უნდა გაიაროს, მასაც ძალიან შეუწყობს ხელს იგი. მერე კი კომბინირებული საკვების ქარხნამდე გაგრძელდება.

დავით ლეკვეიშვილმა დაუმატა:

— საკვები რომ ახლოს გვექნება, ხარჯებსაც შევამცირებთ, ამით პროდუქციის თვითღირებულებაც შემცირდება და მოსახლეობა უფრო იაფად მიიღებს რძისა და ხორცის პროდუქტებს.

ჩვენი „მოსკვიჩი“ გასცდა ქარხნების უბანს, ქალაქის ფარგლებს და სოფელ მეჯინისწყალთან გზატკეცილის მარჯვნივ ჩაუხვია. მოშორებით გამოჩნდა რამდენიმე მოგრძო შენობა. ეს ასფალტირებული გზაც ახალია. ამ მიწაზე ოდესღაც მდინარე მოედინებოდა, ახლა კი ჭოროხი

ეროვნული

სადღაც ძალიან შორსაა, აქედან არც კი მოჩანს.

მანქანა პატარა, ნახევრად ფიცრულ შენობასთან შეჩერდა.

— ჯერჯერობით ესაა ჩვენი კონტორა,— თითქოს მოიბოდიშა დირექტორმა და ოთახში შეგვიძღვა.

დავითმა სეიფიდან დაკეცილი მოცისფერო ქაღალდი გამოიღო და მაგიდაზე გაშალა.

— ეს მომავალი მეურნეობის გეგმაა. „საქგიპროსოფლმშენის“ საპროექტო ინსტიტუტმა დააპროექტა. ის, რასაც თქვენ გარშემო ხედავთ, მცირე ნაწილია იმისა, რაც საერთოდ უნდა გაკეთდეს უახლოეს დროში. — საჩვენებელი თითი ქაღალდზე მოძრაობს. დირექტორი მომავალ ობიექტებს ჯერ ქაღალდზე გვიჩვენებს, ხოლო შემდეგ — ფანჯრიდან ჯერ კიდევ ხელუხლებელი ადგილებისაკენ გვითითებს: — აი, იქ, გზატკეცილთან ახლოს, პირველ რიგში ავაგებთ ორ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს, სასადილოს, საბავშვო ბაღს, მაღაზიას, აბანოს, სხვადადასხვა სამეურნეო ნაგებობას: ავტოგარაჟს, სასოფლო-სამეურნეო მანქანების ფარდულს, სახელოსნოს, საწყობებს. ავაშენებთ კონტორის შენობასაც. მაგრამ ცოტა მოგვიანებით, ჯერჯერობით კაბინეტებისათვის არა გვცალია.

ჩვენი საუბრის დროს დირექტორთან შემოდიან მეურნეობის მუშაკები. მთავარ ბუღალტერს რამიზ მიქელაძეს ხელმოსაწერად შემოაქვს ბანკში წასაღები საბუთები. როგორც ყველა ბუღალტერი, ისიც ზედმიწევნით ზუსტია ციფრების დასახელებაში. მოდიან მომმარაგებლები. ისინი იღებენ სათანადო დავალებას და მიემგზავრებიან ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქების ჩამოსატანად. მარტო კომბინირებული საკვები ხომ არ ეყოფა საქონელს. საჭიროა სილოსი, თივა, მწვანე მასა და მეურნეობაში უკვე მზადდება, ნოყიერდება ნიადაგი, რომ ათობით ჰექტარზე დაითესოს სიმინდი. ყველაფერი ეს კეთდება ჭოროხის კალაპოტში, მდინარის ფსკერზე და რა გასაკვირია, რომ მიწა აქ ჯერჯერობით ქვა-ღორღიანია. სულ მალე აქაურობაც ისე აყვავდება და [illegible] ბა, როგორც გზატკეცილის მეორე მხარეს — საკოლმეურნეო ბაღებსა და პლანტაციებში. მეურნეობის ძუშები ხეხილსაც კი რგავენ; გზის ორივე მხარეს ცოტა ხანში აყვავილდება ვაშლი და მსხალი.

გარეთ გამოვდივართ და მივემართებით დაბალი და გრძელი შენობისაკენ.

გზადაგზა დავითი მოგვითხრობს:

— ეს საძროხე შარშანვე, როგორც კი ჩამოყალიბდა მეურნეობა, დაკვრითი წესით ავაშენეთ. ძროხებიც შევიძინეთ ადგილობრივი კოლმეურნეობებიდან. წითელი ველის ჯიშის ძროხებია. უკვე ნამატიც მივიღეთ — თვრამეტი ხბო.

საძროხეში ზოოტექნიკოს პაშა ხურცილავას შევხვდით. ახლად მოწველილი რძის ცხიმიანობას ამოწმებდა. ჩვენც დავინტერესდით.

— ცხიმიანობა ნორმალურია — 3,6-3,7. თუმცა უფრო მაღალიც შეიძლება, უკეთესი საკვებით რომ გვამარაგებდნენ. შეხედეთ, როგორ თივას ვაძლევთ საქონელს, — სინანულით გვითხრა ხურცილავამ.

მართლაც, ძროხებს ძალიან უხეში თივა ეყარათ წინ.

— წელს, ადგილობრივ საკვებ ბაზას რომ შევქმნით, მდგომარეობაც გამოსწორდება, — თავს იიმედებს ზოოტექნიკოსი და გვაცნობს საქონლის მომვლელებსა და მწველავებს.

აქ უმეტესობა ახალგაზრდობაა. დიდი ხანი არ არის, რაც ახლო მდებარე კოლმეურნეობებიდან მოვიდნენ სამუშაოდ. იქ ჩაის კრეფდნენ, აქ კი ძროხებს უვლიან და, უნდა ითქვას, ახალ საქმესაც ჩინებულად ართმევენ თავს.

მესამე თვეა მწველავად მუშაობს მეჯინისწყლელი ნაზიკო თურმანიძე. მისი ქმარიც — რიფათ თურმანიძეც აქ მუშაობს. ტრაქტორისტია. რიფათის და ჰურიეც მწველავად მუშაობს რძალთან ერთად. თვითეულს თექვსმეტ-თექვსმეტი ძროხა აბარია მოსავლელად.

სულ ახალგაზრდები არიან ფატი და ნათელა პაპიძეები. დები მეჯინისწყლის კოლმეურნეობიდან მოვიდნენ აქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძლივს დავათმობინე ეს ქალიშვილები მეჯინისწყლის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შოთა აბულაძეს, — ღიმილით გვეუბნება ლეკვეიშვილი. — კარგი ჩაის მკრეფავები არიან და ენანებოდა გაშვება. მაგრამ ბოლოს დავარწმუნე, რომ აქაც დიდი და სასარგებლო საქმე კეთდება.

როგორც ჩანს, ახალგაზრდა მწველავებიც კმაყოფილი არიან, დაკისრებულ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებენ, თუმცა... საქმე ისაა, რომ დავით ლეკვეიშვილის თქმისა არ იყოს, საძროხე „დაკვრითი წესით", ცოტა არ იყოს, ნაჩქარევადაა აშენებული და სამუშაოთა მექანიზაცია ჯერჯერობით ჩამორჩება. ამას მასპინძლებიც გრძნობენ და უკვე სახავენ მთელ რიგ ღონისძიებებს საქმის მოსაგვარებლად, მით უმეტეს, რომ წელს კიდევ უნდა აშენდეს ერთი დიდი საძროხე, აგრეთვე სახბორე.

ახლა საძროხეში ასი ძროხაა და თვითეულ მათგანს თავისი სახელი ჰქვია: ლამაზა, ფორთოხალა, უცნობა, წაბლა, კუდმელა, კაზმულა, კოკინა, ნიკაპა... კარგი იქნება, ისე როგორც ეს სხვა კეთილმოწყობილ ფერმებშია, აქაც თვითეულ სადგომთან მიმაგრდეს პატარა დაფა, რომელზეც აღნიშნული იქნება ძროხის სახელი, წონა და წარმადობა, მომვლელის ვინაობა.

მეცხოველეობის გარდა შემდგომ გაფართოვდება სხვა დარგებიც, სახელდობრ, აიგება ვოლიერი, რომელშიც მოაშენებენ ოთხი ათას ფრთა კვერცხმდებელ ქათამს. მარტო წელს სახელმწიფოს ბარდება სამოცდაათი ათასი ცალი კვერცხი. კეთილმოწყობა და გაფართოვდება თევზის მეურნეობაც.

დავით ლეკვეიშვილი ქაღალდზე რაღაცას გულმოდგინედ ანგარიშობს და ამბობს:

— საქონლის, ღორის და ფრინველის ხორცის გარდა წლის ბოლოსათვის მარტო ჩვენი მეურნეობა ყოველდღიურად ქალაქის მოსახლეობას მისცემს ტონნახევარ რძეს.

გამომშვიდობებისას სიტყვა შარშანდელ წვიმებზე ჩამოვარდა.

— საიმედოდაა გამომწყვდეული ჭოროხი ჯებირებში. ქების ღირსი არიან მშენებლები. ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებიან, ასეთი წყალდიდობა კარგა ხანია არ გვახსოვსო. ჰოდა, ჩვენც გულდადებულად, იმედიანად ვაშენებთ ჩვენს მეურნეობას, წყალდიდობის აღარ გვეშინია.

...- ახლა კახაბრის ველზე ადრიანი გაზაფხულია. მიწას უკვე შეუდგა სითბო და ტრაქტორისტ რიფათ თურმანიძეს თავისი „ბელარუსით" პირველი ხნული გაეკვლა ჭოროხის ყოფილ კალაპოტში. გვერდით, სულ ახლოს, რკინა-ბეტონის ჯებირს იქით ხმაურობს ჭოროხი, მაგრამ უკვე აღარავის აშინებს მისი მღვრიე ტალღები. ერთ გოჯ მიწასაც ვერ წალეკავს იგი, ერთ ნერგსაც ვერ მოგლეჯს და ვერ ჩაიტანს ზღვაში.

ჭოროხი დამორჩილდა საბჭოთა ადამიანის ნებას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასილ კიკნაძე

შენიშვნები ფრაღიციულისა და ნოვატორულის შესახებ

კარგად მოიქცა „ლიტერატურული აჭარა“, კამათი რომ დაიწყო „ნამდვილი და ყალბი ნოვატორობის შესახებ“. დღეს, ალბათ, არ არის მეორე საკითხი ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრებისა, რომ ასე აქტუალური იყოს.

ამხანაგ ილიჩოვის მოხსენებაში ხაზგასმით სწორედ ნამდვილი და ყალბი ნოვატორობის შესახებ არის ლაპარაკი. აბსტრაქციონიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არსებითად ცრუნოვატორობის წინააღმდეგ ბრძოლაც არის.

კაცმა რომ თქვას, ნოვატორობის იმგვარი პრეტენზია, რომელიც უკანასკნელ წლებში გაჩნდა, სრულიადაც არ არის ახალი, ფაქტიურად ეს არის ძველის, განვლილი მცდარი გზის რესტავრაცია (თუ მისი ცდა). განა ოციან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში, ცოტა იყო მოდური ფსიქოლოგიზმის ან იაპონური იმპრესიონიზმის თუ სხვა „იზმების“ განახლების ცდები? იყო და საკმაოდ მძლავრადაც იყო, მაგრამ დრომ გაწმინდა მისგან ჩვენი ხელოვნება. იგი დააყენა დიდი რეალიზმის გზაზე, ხალხის სამსახურის გზაზე. ყველაფერი ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხრივ, არ შეიძლება თვალები დავხუჭოთ და არ დავინახოთ ის მძლავრი და ჯანსაღი ტენდენცია, რომელსაც მოაქვს ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრების განახლებისა და გადახალისების პათოსი. ეს (და არა მარტო ეს) პროცესი განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში გახდა თვალსაჩინო და აქტიური. ჩვენი საუკუნის 50-იანი წლებიდან დაიწყო დიდი სულიერი მოძრაობა. პიროვნების კულტის ლიკვიდაციამ ლოგიკურად დააყენა ზოგიერთი მხატვრული მოვლენის ღირებულებათა გადასინჯვისა და გადაფასების საკითხი. როგორც ვთქვით, ამ ტენდენციაში არის ჩვენი კულტურის წინსვლისა და განახლების კეთილი საწყისი.

ხომ ფაქტია, რომ წლების მანძილზე ქებათაქება და საყოველთაო „აღიარება“ ჰქონდა ზოგიერთ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც არაფერს არ მატებდა ჩვენს სულიერ კულტურას, არც არაფრით არ იყო საინტერესო და ამაღელვებელი. ასეთი ნაწარმოებები ფასდებოდა როგორც

* განხილვის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური რეალიზმის პრინციპით დაწერილი. ამ იარლიყის შემდეგ შეუძლებელი ხდებოდა მისი კრიტიკა. ასე ფარავდნენ უფერულსა და უსიცოცხლო ნაწარმოებებს (და ეს მაშინ, როცა სწორედ სოციალისტური რეალიზმია მრავალფეროვანებათა საფუძველი, სწორედ ის არის ყოველგვარი უსახურობისა და პრიმიტივიზმის წინააღმდეგ მებრძოლი). ვინ მოსთვლის, რამდენი სუსტი ლექსი დაწერილა და მერე შექებულა იმის გამო, რომ იგი მაღალიდეურ ნაწარმოებად მიჩნეულა? მერე და ვის უნდა ისეთი იდეურობა, რომელიც მხატვრული სიცხოვლით არ არის სავსე? ან რა ზემოქმედება შეიძლება ჰქონდეს მას? საქმე ისაა, რომ ეს „იდეურობა“ მოჩვენებითია და არა ნამდვილი. იგი პრიმიტიულია და, მაშასადამე, არც შეიძლება მას რაიმე მხატვრული ღირებულება ჰქონდეს.

განა იგივე არ ხდებოდა თეატრშიც? აიღეთ თუნდაც სტანისლავსკის სისტემის მაგალითი. რატომ გაისმა უკანასკნელ წლებში ასე მკაფიოდ კრიტიკული გამოსვლები საკავშირო პრესასა და ცალკეულ თათბირებზე ამ სისტემის წინააღმდეგ? ეს ხომ არ არის შემთხვევითი? მას თავისი მიზეზი აქვს. ერთია, როცა მოკამათე არ არის სწორი და მეორე—რამ განაპირობა კამათის ამგვარად წარმართვა. რა თქმა უნდა, სტანისლავსკის სისტემის მოწინააღმდეგენი ცდებიან. ისინი დოგმატურად ეკიდებიან საკითხს და აქ არის მათი შეცდომაც, მაგრამ თვით ამ ფაქტს ხომ აქვს თავისი ლოგიკა? საიდან წარმოსდგა იგი? ვფიქრობთ, რომ სკეპტიკურ პოზიციას ხელი შეუწყვეს ისეთმა დამცველებმა, რომელთაც მიაჩნდათ, რომ სტანისლავსკის სისტემა თითქოს „თეატრალური კანონია“, რომ სტანისლავსკის მეთოდი თითქოს მარქსიზმია თეატრში და ა. შ. ასეთ ვულგარიზატორულსა და დოგმატიკურ პოზიციას არ შეიძლებოდა მძიმე შედეგებიც არ მოჰყოლოდა. და აი, ერთმა ნაწილმა ამ სისტემის მკაცრი კრიტიკა, ხოლო მეორემ მისი ჯიუტად დაცვა და კანონიზირება არჩია, რასაც ლოგიკურად მივყავდით „მხატვრობის იმიტაციამდე“. იკარგებოდა ეროვნული ფერების სპეციფიკა და, რაც ყველაზე საყურადღებოა, ეს პროცესი ძირეულად ეწინააღმდეგებოდა თვით სტანისლავსკის სისტემის არსს. თითქმის იგივე მანკიერება მოიტანეს მხატვის მოწინააღმდეგეებმა. მათ უარყვეს სტანისლავსკის სისტემა და გაჯიბრებით დაუპირისპირეს ხაზგასმულად განსხვავებული მანერა.

ასეთ ატმოსფეროში წარმოიშვა სიახლეთა ის ტენდენციაც, რომელიც ვითომდა უპირისპირდება სტანისლავსკის სისტემას. ნამდვილად კი ფორმის სიმკვეთრე და პოეტური ამაღლებულობა არამც თუ უცხოა სტანისლავსკისათვის, არამედ მისი შემოქმედების განუყოელი თვისებაცაა.

ზოგს ავიწყდება, რომ სტანისლავსკი ნამდვილი ნოვატორი იყო თავისი ბუნებით. განა ნოვატორული არ იყო მისი შემოქმედება დასაწყისიდანვე? მან ხომ საოცარი რეფორმა მოახდინა რუსული თეატრალური აზროვნების ისტორიაში! რეფორმა იყო არა მარტო აზრის, არამედ სცენური ფორმის სფეროშიც (იმის მიუხედავად, მოგვწონს თუ არა ის), მაგრამ მისი მაძიებელი სული მუდამ ადამიანის შინაგანი სამყაროს სცენური გახსნისაკენ ისწრაფოდა. იგი ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ სპექტაკლის მხოლოდ ფორმალურ მიღწევებს, ყალბი ნოვატორობის ცდუნებას უდიდესი ზიანის მოტანა შეუძლია. რად არის მოსაწყენი ფორმალისტური თეატრი? — კითხვას სვამდა სტანისლავსკი და თვითონვე უპასუხებდა: „იმიტომ ხომ არა, რომ გარეგანს, თუმცა ლამაზსა და ფორმით მახვილს, არ შეუძლია თავისთავად იცოცხლოს სცენაზე? გარეგანი შიგნიდან უნდა იყოს გამართლებული და მხოლოდ მაშინ გაიტაცებს იგი მაყურებელს... სხეულს უსულოდ სიცოცხლე არ შეუძლია“.

ასე, რომ ახალ თეატრალურ ძიებებში არის როგორც ჯანსაღი ტენდენცია, ისე მავნე და უკუსაგდები. ზოგჯერ ორივე ერთ მიზანს ისახავს — ახლებურად თქვას სათქმელი, მაგრამ სხვადასხვაა მისი გამოხატვის საშუალებანი, უფრო სწორად, მიზნისაკენ ლტოლვის შედეგი.

ჩვენ სავსებით მართებულად მიგვაჩნია ვ. გაბესკირიას თქმა, რომ ნამდვილი ნოვატორი იყო „მუსიკაში ზაქარია ფალიაშვილი, მხატვრობაში ლადო გუდიაშვილი, პოეზიაში—გალაკტიონ ტაბიძე“. უნდა დავუმატოთ: თეატრში სტანისლავსკი, ახმეტელი, დეკორატულ მხატვრობაში ირ. გამრეკელი და სხვ. (ყველას როგორ ჩამოვთვლი!). დიდი ადამიანები ყოველთვის იყვნენ ნამდვილი ნოვატორები. მათ კრიტიკულად აითვისეს წარსული და ახლებურად განავითარეს იგი. მათ ჩინებულად იცოდნენ, რომ არ შეიძლება სიახლით სპეკულაცია, არ შეიძლება ნოვატორობის იმიტაცია...

კ. სტანისლავსკის, კ. მარჯანიშვილის, ს. ახმეტელისა და სხვა დიდ ნოვატორთა წარმატება იმან განაპირობა, რომ თავიანთ ძიებაში ისინი ეროვნულ ნიადაგს ეყრდნობოდნენ. წარსულის დიდი მონაპოვრის ღრმად შეცნობა და მისი განვითარების კანონზომიერებათა ცოდნა აძლევდა მათ სტიმულს ეძიათ ახალი. ლ. ტოლსტოი შენიშნავდა, რომ „წარსული ცხოვრების საქმენი მიმართულებას აძლევენ აწმყო ცხოვრებას“. ბაირონის თქმით, „მომავლის საუკეთესო წინასწარმეტყველი წარსულია“. ცოდნა და შეგნება დიდი წარსულისა მძლავრი იმპულსია ახლის შესაქმნელად. არ შეიძლება ძველის უარყოფა. იმიტომ, რომ იგი ძველია და ახლის მიღება იმიტომ, რომ ის ახალია. ახალი ყოველთვის პროგრესული როდია და ძველი ყოველთვის ჩამორჩენილი. სამწუხაროდ, ასე კი ფიქრობენ ხშირად. ავა გადავხედოთ ჩვენს დრამატურგიას ამ თვალსაზრისით. როგორია სურათი? თითქმის ყველა პიესის მოხუცი გმირი (თუ კი არის პიესაში ასეთი) ჩამორჩენილი და კონსერვატორულია, ახალგაზრდა კი ნოვატორული და მოწინავე. მერე და რატომ? ცხოვრებაში ხომ მუდამ ასე არ არის? განა ცოტაა ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც მოკასინებიც აცვია, ვიწრო შარვალიც, მოდურადაც ცეკვავს, მაგრამ ყოველივე ამის იქით ძველისა და ჩამორჩენილობის ფსიქოლოგიაა? დიდი ხანი არ არის, რაც თეატრალურ წრეებში კამათობდნენ, რომ თითქოს არაბუნებრივი იყო, ფრ. ხალვაშის პიესის („ვაჟის ტირილი“) მოხუცი გმირი ასე ჯანსაღად რომ აზროვნებდა და ასე გაბედულად სძლევდა ტრადიციას, იბრძოდა ძველთა-ძველი ადათების წინააღმდეგ. თითქოს ეს ახალგაზრდას უფრო შეეფერებოდა. რა არის ეს, თუ არა ცოცხალი შემოქმედების დოგმატური განსჯა?

„საჭიროა ლამაზი შევინარჩუნოთ, — ამბობდა დიდი ლენინი კლარა ცეტკინთან საუბარში, — ავიღოთ ის, როგორც ნიმუში, დავეყრდნოთ მას, თუნდაც ის „ძველი“ იყოს. რატომ უნდა შევაქციოთ ზურგი ჭეშმარიტად მშვენიერს, უარვყოთ ის როგორც გამოსავალი პუნქტი შემდგომი განვითარებისათვის მხოლოდ იმ საბუთით, რომ ის „ძ ვ ე ლ ი ა ო“? რ ა ტ ო მ უ ნ დ ა მ ო ვ ი ხ ა რ ო თ ქ ე დ ი ა ხ ლ ი ს წ ი ნ ა შ ე, რ ო გ ო რ ც ღ მ ე რ თ ი ს წ ი ნ ა შ ე, რ ო მ ე ლ ს ა ც მ ხ ო ლ ო დ ი მ ი ტ ო მ უ ნ დ ა დ ა ვ ე მ ო რ ჩ ი ლ ო თ, რ ო მ „ ე ს ა ხ ა ლ ი ა“? უ ა ზ რ ო ბ ა ა, ს რ უ ლ ი უ ა ზ რ ო ბ ა“ (ხაზი ჩვენია — ვ. კ.).

ეს არის გენიალური ანალიზი ძველისა და ახლისა, იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა ვარჩევდეთ ახალსა და ძველს, როგორ უნდა გვესმოდეს იგი.

აქვე უნდა გავიხსენოთ მ. გორკის სიტყვებიც: „რისთვის გვჭირდება ჩვენ უარვყოთ ჭეშმარიტი მშვენიერება, როგორც შემდგომი განვითარების წერტილი — მარტოოდენ იმიტომ, რომ იგი ძველია?“

ჩვენ აქ აღარ გავიმეორებთ ილიას დიდებულ სიტყვებს, ვ. გაბესკირიას რომ მოჰყავს თავის წერილში. თქმულიდან ისედაც ნათელია, არ შეიძლება „ძველისადმი“ ზერელე, დოგმატური დამოკიდებულება, არ შეიძლება ახლის ფეტიშიზაცია.

ახალი შეიძლება იყოს ნამდვილი და ყალბი. თითქოს უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ძველსაც ხშირად სწორედ ეს ყალბი სიახლე უპირისპირდება და არა ნამდვილი. ეს უკანასკნელი იმ ძველიდან გამოდის, იქ იღებს სათავეს და მერე უც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლის მას ფორმას ისე, როგორც ეს უკეთ უპასუხებს დროს. ყალბი კი ხელაღებით უარყოფს ტრადიციას და ყველაფრის მამამთავრობას იჩემებს.

ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია სტანისლავსკი, არც ქართული თეატრის საქებო ადამიანები მოვიგონეთ სხვათაშორის. დღეს ძალიან ბევრი რამ არის სალაპარაკო და საკვლევი ქართულ თეატრში. საკამათოა და დასადგენი, თუ რა არის ნამდვილი სიახლე და ნოვატორული, და რაა მოჩვენებითი ჩვენს თეატრში. ეს არც თუ ისე ადვილი საკითხია. სირთულე იმაშიცაა, რომ ხშირად ყალბი უფრო ადვილად იკვლევს გზას და უფრო მეტ ეფექტსაც ახდენს მაყურებელზე, თუმცა დროებით. იგი მალე წყინდება აუდიტორიას, მალე იქცევა ტრაფარეტად. ამ უკანასკნელიდან გაქცევის სურვილი საოცრად მძლავრია ყოველ ადამიანში. ტრაფარეტი ხომ მოწყენილობაა და ვის არ აწუხებს ეს კოშმარული განწყობა? ამიტომ არის, რომ კინემატოგრაფიული სისწრაფით იცვლება ხოლმე მოდა, სტილი. ამ პროცესს მისდევს კვალდაკვალ ხელოვნების მოჩვენებითი სიახლეც.

აქვე იბადება ნიჰილიზმის საკითხი.

ნიჰილიზმი პირდაპირ უკავშირდება ცრუ და ნამდვილი ნოვატორობის პრობლემას. სიახლის წყურვილით გატაცებულნი ხშირად ივიწყებენ წინაპართა მონაპოვარს. პირველ რიგში კი ზერელედ, ცალმხრივად უყურებენ ეროვნული კულტურის შემონაქმედს, ელტვიან ზოგადსა და განყენებულს, რომელსაც საბოლოო ჯამში კოსმოპოლიტიზმამდე მივყავართ. ამიტომაც ხდება, რომ ხშირად სიახლის იმპულსის ცემა ეროვნული ნიადაგიდან კი არა, გარედან ისმის. რაოდენ ნიჭიერადაც არ უნდა იყოს შესრულებული ესა თუ ის ნაწარმოები, რაოდენ ლამაზი ფორმებითაც არ უნდა გვხიბლავდეს იგი, მაინც არ დარჩება ისტორიაში, არ იქნება ჭეშმარიტად დიადი და ნოვატორული, რადგან მას ფესვები თავის ხალხში არ აქვს განფენილი.

„დიადი ადამიანი, — წერდა ბელინსკი, — მუდამ ნაციონალურია, ისე როგორც მისივე ხალხი, რადგან ის სწორედ იმიტომაა დიადი, რომ თვით წარმოადგენს თავის ხალხს“. დიდებულად არის თქმული. აი, აქედან წარმომდგარი, ხალხის გულიდან გამოსული ნოვატორია ჭეშმარიტი და უკვდავი...

როცა ვაკრიტიკებთ ცრუ ნოვატორობას, ერთი მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ. სახელდობრ, არ შეიძლება მისი ადმინისტრირება, არ შეიძლება იმგვარი მეთოდებით ვებრძოლოთ მას, რომ ნებით თუ უნებლიეთ ხელი შევუშალოთ ნამდვილ სიახლეთა განვითარებასაც. ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ ერთიანი პროცესია. იქ, სადაც არის ნამდვილი ნოვატორობა, არის ყალბიც და პირუკუ. აქ დაახლოებით ისეთივე პროცესია, როგორიც საერთოდ ხდება ლიტერატურაში. იწერება ბევრი და რჩება ცოტა, მაგრამ ჩვენ უნდა შეგვეძლოს ერთმანეთისაგან გავარჩიოთ კარგი და ცუდი, ნამდვილი და ყალბი. ეს არის კრიტიკის ამოცანაც.

ხდება ხოლმე, ახალგაზრდა რეჟისორი რაიმე უცხოურ ფილმს, ან სპექტაკლს ნახავს და მერე ასოციაციის გზით ანალოგიურს წარმოსახავს ახალი მიზანსცენისა თუ დეტალის სახით. საკმარისია შეამჩნიონ ეს დეტალი, რომ იწყება მისი საოცარი გაკილვა, იწყება კრიტიკა მარცხნიდან მარჯვნივ. შეშინებული ახალგაზრდა ჰკარგავს ძიების (სწორედ ძიების!) სურვილსა და ინიციატივის უნარს. მას აღარ უნდა გაიხედოს სხვაგან, დაინახოს, ისწავლოს, იკეტება თავისი ფანტაზიის ორბიტაში და საბოლოოდ ეშვება ტრაფარეტამდე.

კრიტიკის ვალი ის არის, რომ არ დაანშინოს ახალგაზრდა შემოქმედი, არ ჩაუკლას „ფანტაზიის გაფრენის“ სურვილი, არ მოუდუნოს ნებისყოფა. დაე, ხელოვანმა ნახოს ყოველივე, რაც მისთვის მისაწვდომია, ეძებოს კარგი ყველგან და ყოველ სფეროში, მაგრამ სადაც არ უნდა იყოს, რა ფორმებსა და საშუალებებსაც არ უნდა პოულობდეს, მთელი თავისი **შემოქმედება საკუთარ გულისთქმაზე უნდა იყოს ნაშენი და არა სხვათა განცდიდან წარმოსახული!** ჩვენ აქ სავსებით ვიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

არებთ ვ. გაბესკირიას აზრს, რომ „ნოვატორად ვერ ჩავთვლით იმ შემოქმედს, რომელიც ახალ ფორმაში არა თავისას, არამედ სხვებისაგან ნასესხებ განცდებს მოათავსებს. ლადო გუდიაშვილი იმის გამო კი არ მიგვაჩნია ნოვატორ მხატვრად, რომ ახალი, რეალისტი მხატვრებისაგან განსხვავებული მანერით ხატავდა, არამედ იმის გამო, რომ მან თავისი განცდების, საგნების თავისებურად ხილვა და მოვლენების თავისებური აღქმა გვაგრძნობინა. ნოვატორ შემოქმედს შეუძლია ძველი ფორმა ისესხოს, მაგრამ სხვისი აზრების, განცდების სესხება შეუძლებელია“.

ჩვენ აქ გვაგონდება არა ერთი მაგალითი უკანასკნელი წლების თეატრალური სეზონებიდან. შორს ნუ წავალთ, ჩვენი, ქართული სინამდვილე გავიხსენოთ.

შარშან რუსთველის თეატრში დაიდგა კ. გოლდონის „სასტუმროს დიასახლისი“ (რეჟ. მ. თუმანიშვილი). ნიჭიერმა რეჟისორმა სცადა ახლებურად დაენახა ძველი პიესა. მას სურდა ისე წარმოედგინა გოლდონის პიესის მხატვრული სამყარო, რომ უაღრესად თანადროული ფორმა ჰქონოდა. და აი, დაიწყო იმ ელემენტების კონცენტრაცია, რომელთაც ეს სიახლე უნდა შეეტანათ ფორმის სფეროში. სცენაზე იყო უამრავი ოთხკუთხა ყუთი, შეღებილი „თანამედროვე სტილში“. ეს ნივთები ცალკე მართლაც რომელიმე მოდურ სპექტაკლს უფრო შეეფერებოდნენ, ვიდრე გოლდონს, მაგრამ მოხდა სასწაული. სპექტაკლში მათ ვერავითარი სიახლე ვერ შეიტანეს. ისინი თავს ისე უცხოდ გრძნობდნენ, როგორც დაუპატიჟებელი სტუმრები.

რა არის ეს? ნოვატორობა? ფორმის სიახლე და კლასიკური პიესის თანადროულობა? არც ერთი და არც მეორე. ეს იყო ტიპიური ცდუნება ყალბი სიახლისა. საქმე ისაა, რომ რუსთველის თეატრში ამგვარი ხერხი უკვე იყო გამოცდილი, მაგრამ ის იყო ორგანული და მხატვრულად ძლიერი (მოიგონეთ „ყაჩაღები“), ისევსავე მოძრაობაში მოყავდა მასას ის ნივთები „ყაჩაღებშიაც“, როგორც ამ სპექტაკლში, მაგრამ, ვიმეორებთ, აქ სულ სხვა იყო მისი მხატვრული ფუნქცია და შედეგიც სხვაგვარი მივიღეთ (კარგი და ცუდი).

„დიასახლისის“ დეტალის მსგავსი ცრუნოვატორობის რეციდივები ცოტა როდია ჩვენს თეატრალურ პრაქტიკაში.

არის კარგისაც და, მე ვიტყოდი, ძალიან კარგისაც. მაგალითად, იმავე მ. თუმანიშვილმა დადგა „როცა ასეთი სიყვარულია“. ეს არის ნამდვილად ძლიერი, შინაგანად სავსე, ფორმის მხრივ საინტერესო და ახლებური სპექტაკლი. სიახლე აქ არა მარტო ნაწარმოების სტრუქტურაშია, არამედ თვით ურთიერთობის ხასიათშიც. ის სცენური პირობითობა, რომელიც ამ სპექტაკლის ფორმის მთავარ ელემენტად იქცა, წარმოადგენს ორგანულსა და მხატვრულად სრულქმნილს. ჩვენ არ გვეუცხოება, როდესაც მსახიობი იატაკზე აკაკუნებს და სახლის კარებს კი გულისხმობს. არ გვეუცხოება იმიტომ, რომ იგი ბუნებრივია, დამაჯერებელი და სწორად გამომხატველი გმირის სულიერი ზრახვისა.

ჩვენ ტრადიციისა და თანამედროვეობის მხატვრული ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად „ბახტრიონი“ მიგვაჩნია რუსთველის თეატრში. სპექტაკლი ემყარება ახმეტელის შემოქმედების გმირულ-რომანტიკული სტილის ტრადიციას. მაგრამ იგი აქ არ ჩერდება. ტრადიციის ხაზგასმით გამოყენება კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის იმ სიახლესაც, წარმოდგენაში რომ არის. მხედველობაში მაქვს ფსიქოლოგიური ნაკადის შერწყმა რომანტიკულთან. მართალია, ახმეტელის თეატრის ესთეტიკა გმირულისა და ფსიქოლოგიურის ერთიანობას ემყარებოდა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ იყო სავსებით მიღწეული შემოქმედების პირველ ეტაპზე. ამას ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზი.

ვ. გაბესკირია სამართლიანად წერს, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ფორმა, რომელიც უკვე სახეზეა, არ შეიძლება ძიებად იქნეს მიჩნეული, არ შეიძლება. რად-

ვან იგი „უკვე ნაპოვნის გასხივოსნებაა, მისი გამოვლინებაა“.

პირადი ნაზრის გარდა, გაბესკირიას პიკასოს მაგალითიც მოჰყავს. პიკასო წერს: „მე ხშირად მდებენ ბრალად სხვადასხვა ცოდვას, მაგრამ ამ ბრალდებათაგან ყველაზე დაუსაბუთებელია ის, რომ თითქოს ჩემი მუშაობის მთავარი მიზანი იყოს ძიება. როცა ვხატავ, მინდა ვაჩვენო ის, რაც აღმოვაჩინე და არა ის, რასაც ვეძებ“. ეს ასეა და ამ მხრივ არ ვდაობთ.

და მაინც, ჩვენ ძიების საკითხი საერთოდ ცოტა სხვაგვარად წარმოგვიდგება. ვფიქრობთ, რომ არ შეიძლება ძიების, როგორც ასეთის, უარყოფა. ძიებანი ხდება შემოქმედებითი სტილის ჩამოყალიბების, მხატვრული სახის გარკვევის დროს. ავიღოთ თუნდაც თეატრის მაგალითი. ვიდრე თეატრი გაარკვევს თავის მხატვრულ პროფილს, ვიდრე მონახავს მისთვის შესატყვის ყველაზე ორგანულსა და საინტერესო ფორმას, მანამდე იგი აწარმოებს გარკვეულ ექსპერიმენტულ მუშაობას. ეს არის ძიებითი პროცესი. ალ. ახმეტელი წერდა, რომ „ჩვენი თეატრი — თეატრია ძიებისო“, და მართლაც, დაუღალავმა შემოქმედებითმა ძიებამ მიიყვანა თეატრი თავისი მხატვრული სახის გარკვეულობამდე. შესაძლოა თქვენ მოგწონდეთ ან არ მოგწონდეთ ეს სახე და ამ ძიებათა ხასიათი, მაგრამ იგი ობიექტურად არსებობს და მას ვერ უარვყოფთ.

ერთი ლექსის მაგალითი, ან სურათისა რამდენადმე სხვაა. მაგრამ როცა მთლიანად შემოქმედებაზე, რომელიმე მხატვრულ ორგანიზმზეა ლაპარაკი, ვფიქრობთ, რომ არ იქნება სწორი ძიების როლისა და მნიშვნელობის უარყოფა. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეძებს ის, ვინც ვერ მონახა ფორმა (ზოგჯერ ასეც ხდება). შესაძლოა ერთ სპექტაკლში მოლაპარაკიდეც იგი, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა მეორე, მესამე, საჭიროა იმდენი, რამდენსაც თეატრის მხატვრული პროფილის განსაზღვრა და ჩამოყალიბება შეუძლია და, ვიდრე მიღწეული არ იქნება ეს მიზანი, თეატრი მანამდე ეძებს. ამას გვასწავლის თითქმის ყველა დიდი თეატრის პრაქტიკა. თვით სამხატვრო თეატრმაც კი განვლო შემოქმედებითი ძიების რთული გზა. როცა მხატის შემოქმედებაში თავი იჩინა კრიზისულმა მოვლენამ (მხედველობაში მაქვს 1914-1915 წელი) ესთეტიკურ აზროვნებაში, თეატრის ხელმძღვანელებმა მოწინააღმდეგე ბანაკიდან მიიწვიეს მხატვარი ალ. ბენუა. იგი მიიყვანეს თეატრის მუშაობაში ახალი პოტენციური ენერგიის საპოვნელად, თეატრის საძირკველის განახლების სურვილით. ეს იყო ძიება. ამ გზას ვერ ასცდა ვერც ერთი თეატრი. უფრო მეტიც, თეატრი შეწყვეტს წინსვლას. თუ იგი მუდმივ ძიებასა და განახლებაში არ არის. მაგრამ ეს არ არის ძიება მოპოვებულის წინააღმდეგ, წინააღმდეგ ტრადიციისა და იმ მხატვრულ-ესთეტიკური იდეალებისა, რომელთაც ელტვოდა იგი თავიდანვე.

ვფიქრობთ, ასე მრავალმხრივია ძიების საკითხი. უფრო ზუსტად, იგი ერთია ლექსის შემთხვევაში და ასე თუ ისე მაინც მეორე — თეატრის პრაქტიკაში.

ნოვატორობისა და ტრადიციის საკითხი უღრმესი და ურთულესი საკითხია. სწორედ ახლაა ყველაზე მეტად საჭირო ფიქრი და კამათი ამ პრობლემაზე.

ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ მომენტს შევეხეთ, ისიც გაკვრით, იმის სურვილით, რომ დისკუსია გაღრმავდება და შემდეგშიაც გვექნება უფრო ცხოველი კამათის საშუალება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელი დუმბაძე

ტიციან ტაბიძის პოეზიის ძირითადი მოტივები

ტიციან ტაბიძემ შესანიშნავი ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა და, ეჭვი არაა, იგი გაცილებით უფრო მდიდარი იქნებოდა, პოეტისათვის რომ სიცოცხლე ნაადრევად არ მოესპოთ პიროვნების კულტის ბატონობის პერიოდში გამეფებული თვითნებობის შედეგად. ოცდაათიანი წლების დამლევისათვის ტიციანს უკვე დაძლეული ჰქონდა წინააღმდეგობანი და, სიმბოლისტურ-დეკადენტური ესთეტიკის ჩიხიდან თავდაღწეული, შეჰხაროდა ცხოვრებას, ახალ ნაწარმოებებს ჰპირდებოდა ხალხს, სამშობლოს. დღედღეზე უნდა გამოსულიყო პოეტის ლექსების ახალი კრებული, რომლის შესახებ 1936 წელს იგი წერდა: „ბოლო დროს ძალიან ბევრს ვმოგზაურობ. განსაკუთრებით მიზიდავს შავი ზღვისპირეთის სუბტროპიკული კულტურების ზონა, სადაც აშრობენ ორასი ათას ჰექტარ ჭაობიან მიწას და აშენებენ ციტრუსების ბაღს. ბევრი ვიმოგზაურე საბჭოთა კავშირშიც — ბევრჯერ ვიყავი მოსკოვში, ლენინგრადში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, ჩრდილოეთ კავკასიასა და შუა აზიაში, ვეცნობოდი სოციალიზმის მშენებლობას, ახალ ხალხს, მათ შორის — პოეტებსაც“. დღეს ტიციან ტაბიძეს კვლავ დაუბრუნდა უსამართლოდ აყრილი მოქალაქეობრივი უფლება და პოეტმა დამსახურებულად დაიკავა ერთ-ერთი საპატიო ადგილი ქართულ საბჭოთა პოეზიაში.

ტიციან ტაბიძის პოეზიის გაზაფხული ოცდაათიანი წლებიდან დაიწყო. მანამდე კი პოეტმა რთული, წინააღმდეგობით სავსე გზა გამოიარა. პირველი იმპერიალისტური ომისა და საქართველოში მენშევიკების ბატონობის ხანაში იგი ქართველ ცისფერყანწელებთან ერთად სავსებით ეზიარებდა დასავლეთ ევროპისა და რუსი სიმბოლისტების მცდარ ესთეტიკურ დებულებებს. ტიციანი იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი ახალგაზრდა პოეტთა ჯგუფისა, რომელმაც 1915 წელს ქუთაისში ჩამოაყალიბა სიმბოლისტური სკოლა უცნაური სახელწოდებით „ცისფერი ყანწები“. „მე მომიხდა ორი მანიფესტის დაწერა, — იგონებს ტიციან ტაბიძე, — ჟურნალს „ცისფერი ყანწები“ ვუწოდე და წლების განმავლობაში ვრედაქტორობდი გაზეთ „ბარიკადს“ („ბარიკადი“ ცისფერყანწელთა გაზეთი იყო და გამოდიოდა თბილისში 1920, 1922, 1924

წლებში — ნ. დ.), მოწყვეტილი ვიყავით რეალურ სინამდვილეს და უუნარონი აღმოვჩნდით სწორად გავრკვეულიყავით სოციალ-პოლიტიკურ ამბებში“.

ტიციან ტაბიძე შედარებით გვიან განთავისუფლდა სიმბოლიზმის ტყვეობიდან. 1928 წელს ლექსში „ნუ გაიკვირვებ“ მან ხაზი გადაუსვა ადრინდელ უიდეო, „სისხლით ნაწერ“ თავის ლექსებს:

> დაფასთან ვდგევარ და ვშლი ძველ
> ლექსებს,
> ცარცით კი არა, სისხლით რომ
> ვწერდი,
> საბჭოთა მიწა! გიკოცნი ფესვებს,
> ახალ ცხოვრების ვარ ალავერდი.[1]

ტიციან ტაბიძე ჩვენს ლიტერატურაში შემოვიდა როგორც ღრმა განცდის პოეტი. მისი ლექსები გამოირჩევა დიდი ემოციურობით, შინაგანი ლირიკული ძლიერებით. ისე როგორც საერთოდ სიმბოლისტებმა, ტიციან ტაბიძემაც პოეტურ ფორმათა შორის უპირატესობა ლირიკულ ჟანრს მიანიჭა. საზოგადოებრივი ცხოვრებიდან განდგომილი, თავის ლექსებში იგი უხვად აქსოვდა მარტოობისა და უიმედობის გრძნობებს, მთელი სამყარო ეჩვენებოდა მგლოვიარედ. ლექსში „პრინცი მაგოგი“ პოეტი ხატავს სურათს, რომლის მიხედვით სამშობლოს — საქართველოს ნაღველი შავ თოვლად დაჰფენია, ტურები, ჭინკები, ღამურები და ბუები გაჭაღარავებულ ბუნებას დაპატრონებიან და სიჩუმის შავი რაში სდევნის პოეტს, აფრთხობს და აშინებს. ის ნატრობს სიჩუმეს, რომელსაც „გულში ეხატა სევდა“. ამ შემზარავი სინამდვილისაგან დამფრთხალი პოეტი განმარტოებულია, დაუფლებია ინდივიდუალიზმისა და მარტოობის გრძნობები. ყველაფერი ეს გვაგონებს ფრანგი და რუსი სიმბოლისტების ცნობილ მოტივებს.

ფრანგ და რუს სიმბოლისტებს ტიციან ტაბიძე სხვა მოტივებითაც უახლოვდებოდა. „როდესაც ჩვენი უფერული, დაკნინებული, ულამაზო თანამედროვეობისაგან იღლები, — წერდა ცნობილი რუსი სიმბოლისტი კ. ბალმონტი, — ...მოა მოგონებით მაინც გაქანება სხვა ქვეყანაში, სხვა ხანაში“ (ჟურნ. „ვეხი“, გვ. 13, № 1, 1905 წ.). ტიციან ტაბიძეც ამავე მიზეზით ისწრაფოდა სხვა ხანასა და სხვა ქვეყანაში, მას ხიბლავდა ძველი ქალაქი ქალდეა. „ძველი ქალდეა სწვავს ოცნებას და ეძახის სულს, ოქროს ლექსებში მე ვუმღერებ დიდებულ წარსულს“ („ქალდეას მზე“).

ტიციან ტაბიძის პოეზიისათვის ამ პერიოდში უცხო არ არის არც რელიგიური ცრურწმენა, ლოთობისა და სიკვდილის აპოლოგია. ლოთობა თავდავიწყების საშუალებად გადაქცევია ცხოვრებით უკმაყოფილო პოეტს. ლექსში „დასაბამიდან“ ტიციანი წარსულის შორეულ ლანდებს მიმართავს, იგონებს საქართველოს მტერთან მებრძოლ წინაპარს, რომელიც ომში წასვლის წინ ღვინოს ზედიზედ სვამდა, რომ „შემდეგ თათრებს უტიროს დედა, დაატრიალოს ხმალი სიმკაცრით“. კიდევ მეტი, ის თვითმკვლელობის გამართლებასაც ცდილობდა ლექსში „მეარღნეები და პოეტები“ (1927 წ.). ნახეთ, რა შორს დგას ამ ლექსის ავტორი ახალი ცხოვრებისაგან; ალიონზე თეთრ დუქანთან მტირალი არღანი, შეზარხოშებული პოეტი, მეარღნეები ვერცხლის ქამრებით, დროს ტარება თავდავიწყებამდე, და ბოლოს:

> უბრალოდ ვკვდებით მეარღნეები
> და პოეტები,
> მაგრამ ჩვენ ალბათ თავის მოკვლაც
> გვეპატიება.

სწორედ რომ უბრალოდ, უსახელოდ მოკვდებოდა სიმბოლისტური პოეზიის ტყვეობაში ეს შესანიშნავი პოეტი, რომ მას თვითონ ღრმად არ ეგრძნო საჭიროება თავი დაეღწია შემოქმედებითი ჩიხიდან და დაეღწია კიდევაც. „თუ თვალს გადავავლებ განვლილ გზას, — წერს ტიციანი ავტობიოგრაფიაში, — უნდა ვთქვა, ჩვენი ჯგუფი „ცისფერი ყანწები“ წარმოადგენდა ტიპიურ ესთეტურ შეზღუდულ მიმართულებას. იმ წლებში ჩვენ, ახალგაზრდა ქართველი პოეტები, მეტისმეტად დიდ ხარკს ვუხდიდიდ არაჯანსაღ, ბო-

---

1 ლექსები ციტირებულია წიგნიდან „ტიციან ტაბიძე“, 1960 წ

ჰემურ არტისტიზმს, ვქადაგებდით „ხელოვნებას ხელოვნებისათვის“, მხატვრულ შეზოქმედებას ვაფასებდით მცდარად — როგორც რაღაც თვითსაკმარს — ძალიან ბევრი გვქონდა წინააღმდეგობანი“.

1928 წელს ტიციან ტაბიძემ დაბეჭდა პირველი საბჭოური ლექსი „რიონი — პორტი“. პოეტი შენიშნავს: ორპირის ბუნების ფონზე, სადაც ხალხი გადაგვარდა ტროპიკული მალარიისაგან, მე აღვწერ საბჭოთა ხელისუფლების გიგანტურ სამუშაოებს, რომლებმაც ახალ, სოციალისტურ საფუძველზე შეცვალა ქვეყნის სახე და ცხოვრება“.

რას წარმოადგენს ეს ლექსი? როგორც პოეტი ამბობს, ლექსი „რიონი — პორტი“ სოფლად სოციალისტური მშენებლობის აღწერაა. იმ დროს ტიციან ტაბიძე ჯერ კიდევ არ მონაწილეობდა ახალი ცხოვრების მშენებლობაში. ის მოვლენათა მჭვრეტელის, გარედან მაყურებლის როლშია. ამის გამო ლექსს აკლია განცდათა სიღრმე, ემპირულია:

ახალ ცხოვრების და ოქტომბერის
მაცოცხლებელი ტრიალებს ქარი.
თავის ბედს ხალხი თვითონვე
მართავს,
გუშინ უმწეო და შესაბრალი
ბედნიერების დამდგარა კართან.

პოეტი სინანულით შენიშნავს, „თუმცა საგრძნობი არ მიმიძღვის თქვენთან ამაგიო“, მაგრამ ამ ლექსში მაინც გამოხატა ხიხარული, რაც სოფლის სოციალისტურ საწყისებზე გადასვლას მოჰყვა. ლექსის ყოფითი სურათები რეალისტურია და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ახლის უპირატესობაზე.

ახალმა ცხოვრებამ ახალი თემა შთააგონა პოეტს, თუმცა ლექსში „რიონი — პორტი“ მან ვერ მიაგნო თემის შესატყვის ახალ პოეტურ ფორმას. საერთოდ პოეტური ფორმის საკითხი იმ პერიოდში განსაკუთრებით მწვავედ იდგა. იდეურობით გატაცება აფერხებდა ახალი, სოციალისტური შინაარსის შესატყვისი პოეტური ფორმის ძებნის დადგენას. ტიციანიც ვერ ასცდა ამას. უფრო გულ. მომდევნო პერიოდში კი იგი უფრო გულმოდგინედ მოეკიდა პოეტური ოსტატობის დახვეწას და მიზანსაც ბრწყინვალედ მიაღწია. ამისათვის აუცილებელი იყო აქტიური მონაწილეობა სოციალისტურ მშენებლობაში. მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა წარსულის ბუნდოვანი და განყენებული სახეების შეცვლა მაღალიდეური, დახვეწილი პოეტური სახეებით. ერთი სიტყვით, საჭირო იყო სულიერი ძალების გადახალისება და მობილიზაცია. ტიციან ტაბიძემ ლექსში „გულდაგულ“ გამოხატა საბჭოთა პოეტის დევიზი:

თუ სინამდვილე არ აგამღერებს
და გული გრძნობით არ აგევსება,
ნუ გაიკვირვებ — გული გაგიხმეს,
ნურც იმას, თვალი რომ დაგევსება.

ტიციან ტაბიძის საბჭოთა პერიოდის „ვაჟკაცის ხელით ნათალი“ ლექსები პოეტის წრფელი გულისა და ღრმა განცდების შედეგია, მაგრამ სანამ მათ განვიხილავდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ტიციან ტაბიძის თვალსაზრისს შემოქმედებით პროცესზე. შემოქმედებითი პროცესი პოეტმა შეადარა წარღვნას, მეწყერს:

მე არ ვწერ ლექსებს... ლექსი
თვითონ მწერს,
ჩემი სიცოცხლე ამ ლექსს თან
ახლავს,
ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ
მეწყერს,
რომ გაგიტანს და ცოცხლად
დაგმარხავს.
(„მეწყერი“)

აქ პოეტურ სახეებში იგივე აზრია გატარებული, რაც მ. გორკიმ დამწყებ პოეტებს ურჩია, სწერეთ მაშინ, როცა დაუწერლობის მოთმენა აღარ შეგეძლებათო. მაშასადამე, ჭეშმარიტი პოეტური ქმნილება შედეგია ღრმა განცდისა, როცა იდუმალი და ჩაუქრობელი ცეცხლი, მოჭარბებული გრძნობა მეწყერივით მოვარდება და გადმოიღვრება:

არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,
მხოლოდ იმისთვის, ლექსი რომ
მეთქვა,

როცა ბწკარები ბწკარებს სდევნიან,
საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა...
(„ლექსის დაბადება“)

განცდა საფუძველია ლექსის შექმნისა, მაგრამ, როგორც პოეტი ამბობს, „ლექსი ლექსია, მაგრამ იმატებს, თუ სიყვარულის ბოლმა გამურა. თვითონ ვერ იცნობ შენს ბაიათებს, დაუტაცნია ხალხს სალამურად“. სიცოცხლის, ცხოვრების სიყვარული ისევე აუცილებელია ხელოვანისათვის, როგორც ჰაერი ადამიანისათვის. ხელოვნების ყველა კლასიკური ქმნილება ადამიანისა და სიცოცხლის სიყვარულის, უკეთესისაკენ სწრაფვის შედეგია. ასე სწამდა ტიციანსაც, რადგან ესაა ხელოვნების ჭეშმარიტი მიზანი.

პოეტის ღრმა რწმენით, შემოქმედებითი პროცესი რთული და ყველაფრის შემწირველია. ამაზეა ნათქვამი, ის „გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავსო“. პოეტი სიმონ ჩიქოვანი შესანიშნავად გვიხატავს ამ პროცესს ტიციანის შემოქმედებაში. „ლექსის წერის დროს იგი (ტიციან ტაბიძე — ნ. დ.) თითქოს სისხლიდან იცლებოდა და ყველა ჭრილობას პირი გახსნილი ჰქონდა, სიხარულის ყველა თასი დაცლილი იყო. თუ საჭირო იყო საკუთარი იდეალის წინაშე თავგანწირვა და დამორჩილება, ამას იგი გულმოდგინედ ასრულებდა“. საგულისხმოა, რომ იდეალის წინაშე თავგანწირვა, დრამატიზებული პოეტური ხმა ტიციან ტაბიძეს როგორც პირველი, ისე მომდევნო, საბჭოური პერიოდის ლექსებს ერთნაირი სიძლიერით ახასიათებს. თუ ცხოვრებაზე გულგატეხილი პოეტი უმიზნოდ, მაგრამ თავგამეტებით რგავდა „ბესიკის ბაღში ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“ და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული შემართებით გაიძახოდა: „ბედო, მიხმარე თვითონ კამათლადო“, შემდეგ, როცა მიაგნო ცხოვრების ნამდვილ მიზანს, ჭეშმარიტ ხელოვნებას აღთქმა მისცა: „ათასი გული ერთად რომ მქონდეს, ათას გულს ერთად ამოვიჭრიდი“ და „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“.

სწორედ რომ მეწყერივით მოვარდნილი გრძნობები იღვრება ამ სტრიქონებიდან, იმდენი უანგარობა, ყოვლისშემწირველობა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული მათში. ტიციანის აზრით, ლექსი ერთი, ამოსუნთქვით უნდა იშვას და ხელუხლებელი დარჩეს. მისთვის პოეზია იყო გაუთლელი ლერწამი, რომელიც „ტუჩმიუდებლად იკოცნება“:

მივალ, მივდივარ და მივიმღერი,
თან საქართველოს მიმაქვს ოცნება,
ვარ გაუთლელი ლერწამის ღერი,
ტუჩმიუდებლად რომ იკოცნება.
(„რია-რია“)

საგულისხმოა, რომ „გაუთლელი ლერწმის ღერი“ — პოეტური ლირა აუცილებელია გამოსცემდეს ხალხისა და სამშობლის საჭირო და სასიქადულო ხმებს; პოეტი ხომ „ერის მისანია“:

აქედან ვიცი, მე რომ მოკვდები,
ამ ლექსს რომ ვამბობ, ესეც დარჩება,
ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება
და ეს ეყოფა გამოსარჩლებად.

ჭეშმარიტი პოეტური სიტყვა მართლაც უკვდავია. ის გზას უნათებს მომავალს.

ტიციან ტაბიძემ ღრმად აითვისა მხატვრული ლიტერატურის კლასიკური ტრადიციები — ჰუმანიზმი, პატრიოტიზმი, და არა მარტო აითვისა, არამედ წინ წასწია, განავითარა ისინი:

იტყვიან ასე: იყო საწყალი,
ორპირის ფშანზე გაზრდილი ბიჭი,
ლექსები იყო მისი საგზალი,
არ მოუცვლია ერთი ნაბიჯი.
და აწვალებდა მას სიკვდილამდე
ქართული მზე და ქართული მიწა,
ბედნიერებას მას უმალავდნენ,
ბედნიერება მან ლექსებს მისცა.
(„მეწყერი“)

აქ ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიშიცაა. პოეტი ერთხელ კიდევ თვალს ავლებს განვლილ გზას და სინანულით შენიშნავს, რომ „ბედნიერებას მას უმალავდნენ“, მაგრამ საბჭოთა სამშობლომ ის ბედნიერი გახადა და პოეტმაც „ბედნიერება ლექსებს მისცა“, ესე იგი ისეთი პოეზია შექმნა, რომელიც არასოდეს არ კვდება, რადგანაც შექმნილია ამაღლებუ-

ლი პატრიოტული მოტივებითა და ჰუმანიზმით.

ტიციან ტაბიძის პოეზიის ძირითადი მოტივი პატრიოტიზმია. პატრიოტულ მოტივზე დაწერილი ლექსები „მაშ გამარჯობა“, „ახალი მცხეთა“, „სამშობლო“, „რიონი — პორტი“, „გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“ და სხვ. შთაგონებულია საბჭოთა საქართველოს სიყვარულით და მკითხველებს აღაფრთოვანებენ სამშობლოსათვის თავდადების სულისკვეთებით. საქართველოს დიადი ბუნება ამ ლექსებში ნატიფი პოეტური სახეებითაა გამოძერწილი:

მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზი,
დიდხანს გადარეს მგოსნებმა ედემს.
გახედავ, და თვალს აბრმავებს ვაზი,
გახედავ, თვალი ვერ ატანს ქედებს!
ღამეა — თეთრი ირმის ნაწველი,
დღე — შინდისფერი ვარაყიანი,
ჩერქეზის ქალებს უჭირავთ ცელი,
სუქდება მიწა ბარაქიანი...

(„სამშობლო“)

ტიციანის პატრიოტული ლექსების ღირსება მარტოოდენ ის კი არ არის, რომ მან პირველმა უთხრა საბჭოთა საქართველოს „მთაც ლამაზი გაქვს, ბარიც ლამაზიო“. პოეტმა იცის, რომ ყველაფერი ხალხის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია, რომ თავისუფალმა შრომამ დაამშვენა სამშობლო. საქართველოს მომხიბლავი ბუნება იმიტომ იტაცებს პოეტის თვალს და იპყრობს გულს, რომ ახალი ადამიანის, საბჭოთა ქვეყნის მშენებლის საკუთრებაა და ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაშია ჩართული. უკვდავია მშობელი ქვეყანა და ხალხი, რაკი ბუნებას სძღევს:

ახედე მაღლა იალბუზის ბჭეს,
არც მყინვარია მასზე დაბალი,
მაგრამ ორივეს გადააბიჯებს,
რაკი გაუხსნეს ხალხს მომავალი.

(„სამშობლო“)

თავდავიწყებამდე იტაცებს ტიციან ტაბიძეს საბჭოთა საქართველო. მისი სიყვარულის ცეცხლის ღადარი სწვავს პოეტის მთელ არსებას და ამ წვაშია ნეტარება:

ნეტა, სადა აქვს ამ ზვარებს ბოლო,
ვინ დარგო ერთად ამდენი ვაზი.
სჯობს აღარ გქონდეს სულაც
სამშობლო,
ანდა არ იყოს ასე ლამაზი!

საბჭოთა საქართველოს სიმღერებში პოეტმა განსაკუთრებული სიყვარულით ადიდა მშრომელი ხალხი, უწოდა მას „ჯარი მამაცი“, რომელსაც უნარი შესწევს სასწაულები სინამდვილედ აქციოს, ახალი ცხოვრების ლელო გაიტანოს და კაცობრიობის ისტორიაში პირველმა იდღესასწაულოს დიადი გამარჯვებები:

დგას მშრომელების ჯარი მამაცი,
ყველა ოფლს იწმენდს — ქალი და
კაცი,
რომ გაიტანოს ეს დიდი ლელო,
მუდამ ჰყვაოდეს ეს საქართველო...

(„სამშობლო“)

კანონიერი სიამაყის გრძნობით უმღერის პოეტი საბჭოთა სამშობლოს, ახალი სოციალისტური ქვეყნის შემქმნელ ხალხს და მის ბელადს — ვ. ი. ლენინს. დიდი საბჭოთა ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ახლა ორპირი და კოლხიდაც გამხდარა, სადაც წინათ „იდგა ჭაობი დაუშრობელი, ქარი რიონზე ტირიფებს ხრიდა“. საბჭოთა სოფლიდან — ორპირიდანაც შესანიშნავად ხედავს პოეტი მთელ საბჭოთა მხარეს. ორპირი და კოლხიდა მთელის ნაწილია და „შეკრულია ერთი ცის თაღით“, თანაბრად განათებულია ცხოველმყოფელი საბჭოთა მზით. ასეთ ქვეყანაში კი პოეტს სიმღერისათვის მეტი ეშხი და ძალა სჭირდება და სრულიად ბუნებრივად მიგვაჩნია, რომ ტიციან ტაბიძე უხმობს ახალ ორთეოსს, მითურ მომღერალს, მგოსან-გმირს, რომლის ლექსებსა და სიმღერებს თურმე ისეთი ჯადოსნური თვისება ჰქონდა, რომ კლდეებს ამოძრავებდა და გარეულ მხეცებს იმორჩილებდა:

ახლა სიმღერა ხომ დამიჯერე,
პალიასტომი წალკოტად მორთეს.
ახლა შენია სიმღერის ჯერი —
გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს.

(„გელის კოლხიდა ახალ ორფეოსს“)

ტიციან ტაბიძე არასოდეს არ ჩაკეტილა ვიწრო ნაციონალისტური გრძნობების ნაჭუჭში. მას შესანიშნავად ესმოდა მნიშვნელობა და საჭიროება ქართველი ხალხის კავშირისა მოძმე ერებთან, იცოდა, რა ძალა და გავლენა აქვს ერთა ურთიერთთანამშრომლობას. ამიტომაა, რომ ხალხთა მეგობრობისა და ძმობის თემას ტ. ტაბიძის პოეზიაში დიდი ადგილი უკავია. ამ მოტივზეა შექმნილი შესანიშნავი ლექსები „დაღესტნის გაზაფხული", „ბაღდადის ზეცა", „ვლადიმერ მაიაკოვსკის დედა და დები", „ალექსანდრე პუშკინს" და სხვ. პოეტს ახარებს, რომ მისი სანუკვარი სამშობლო — საქართველო კუნძულივით როდია გარიყული, მას ბევრი მეგობარი ჰყავს, გარშემორტყმულია მოძმე ერებით და მათთან მეგობრული თანამშრომლობით აშენებს დიად ცხოვრებას. დღეანდელი საქართველოს ძლიერება სწორედ ხალხთა ძმობისა და კავშირის შედეგია. მეგობართა შორის ტიციანი განსაკუთრებით გამოყოფს რუს ხალხს. ლენინისა და პუშკინის სამშობლოსთან მეგობრობა უპირველესია მისთვის და ჩვეულებრივი მგზნებარე სიყვარულითა და გულწრფელი პოეტური გრძნობით უმღერის ხალხთა ძმობასა და მეგობრობას:

საბჭოთა მიწის დაილოცოს ყველა
მტკაველი,
იყოს უკვდავი ვით პუშკინი და
რუსთაველი.
განუყოფელი, ბედნიერი ორი გენია,
ორი მზე ერთად ანთებული გულის
საკირე,
ხალხის ოცნება პოეზიას აღუდგენია
და პოეზიაც უკვდავებას ხალხით
აპირებს.

(„ალექსანდრე პუშკინს")

საინტერესო და ორიგინალურია ტიციან ტაბიძის სატრფიალო ლექსები, რომლებშიც იგრძნობა პოეტის რომანტიკული გატაცებანი, შეყვარებულის სინაზეც და რაინდული მოკრძალებაც. მათში ცოცხლდება სიყვარულის ქარიშხლისაგან სულაწეწილი, მაგრამ მაინც სათუთი გრძნობებით შეპყრობილი, ყველაფრის მპატიებელი და შემწირავი მიჯნურის [illegible] მენტური სახე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სატრფიალო ლექსებს ტიციან ტაბიძე შემოქმედების პირველ პერიოდშიც წერდა, მაგრამ მაშინ მას იტაცებდა სიყვარულის საბედისწერო ავადმყოფური ენებები. ეს ცხადად სჩანს „ფატმან ხათუნსა" და „ქალდეა ბალაგანში", სადაც პოეტს სიყვარული მარტოოდენ ხორციელ ლტოლვად ესახებოდა. მაგრამ ამ ავხორცობაშიც კი პოეტი თავისი ინტიმის შინაგან ძალაში დარწმუნებული იყო და სატრფოს ერთგულებას ეფიცებოდა.

ვერ ნახავ რაინდს, ჩემზე უფრო
რომ უერთგულოს
შენს წამებულ სულს, კოლომბინა,
შენს ტუბერკულოზს.

ტიციან ტაბიძის სიმბოლისტური სატრფიალო ლირიკის ერთ-ერთი ძირითადი მოტივი იყო აგრეთვე სიმახინჯის აპოლოგია. სიმბოლისტები საერთოდ ქადაგებდნენ სიმახინჯის კულტს. „სიმახინჯე ჩვენ გვესმის როგორც სიმბოლო და ირონია. — წერდა ცისფერყანწელთა თეორეტიკოსი ვალერიან გაფრინდაშვილი.— ჩვენ არ გვიტაცებს ის, რაც პირდაპირი სახით გვევლინება — ჩვენ გვინდა ნიღაბი... ჩვენი ცხოვრება მახინჯი ანარეკლია მეორე იდეალური სამყაროსი... ახლა რომ პოეტმა ქალი შეიყვაროს, მას უთუოდ უნდა ჰქონდეს ერთი ხელი, როგორც ლუვრის ვენერას. ის უნდა იყოს ან კოჭლი, ან მუნჯი, ან ელამი, რადგანაც მხოლოდ მახინჯ ქალს შეუძლია აამღეროს პოეტი და ათქმევინოს გედის სიმღერა" („მეოცნებე ნიამორები", № 1, 1921 წ.).

და თუ ლექსში „ქალს ჩაჯენილ თვალით" ვალერიან გაფრინდაშვილი უგალობდა „ყალბად მხიბლავ" ხელოვნურ თვალს, ტიციანიც ეტრფოდა ფეხმოტეხილ სატრფოს და სიკვდილამდე ერთგულებას ეფიცებოდა მას, მზად იყო სიცოცხლეც კი შეეწირა მისთვის:

გარჩენილი ვარ ქვაზე კალმახი
და ახეული მაქვს ლაყუჩები,
შემართულია ფეხზე ჩახმახი
და უსიკვდილოდ ვერ გადურჩები.

ტიციან ტაბიძის ლირიკაში არ არის ვარდბულბულიანი პოეტების ხმა და ინტონაცია, მაგრამ არის სიყვარულის ტრაგედია. პოეტის სულში სატრფოს კვალი ღრმადაა აღბეჭდილი. მისი სიყვარულის გრძნობები საზღვარ მიჩენილი არ არის და ამასთან ისე უანგაროა, რომ არც ერთ შემთხვევაში შურისძიებისა და ეგოიზმის ნატამალიც არ ახლავს თან. ამის საუკეთესო ილუსტრაციაა ლექსი „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“:

წამექცა თავზე ცა გარღვეული,
და ცაზე კიდევ სხვა მყინვარის ცა,
და დარიალით გადარეული
თვალებს ცრემლების თერგი
მირეცხავს.

იქნებ იმიტომ არის პოეტი ასე უბედური, რომ სატრფომ უღალატა?

ჯერ, ვინც არ უნდა იყოს სატრფო, მოღალატე თუ გულქვა, სულერთია, მაინც ერთგულებას, სიყვარულს და თავგანწირვას პირდება პოეტი:

მინდა მოვირთხა ამ შარაგზაზე,
მინდა გავიხსნა გული ალალი,
მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე,
შენ ჩემს სიკვდილში არ გიდევს
ბრალი.

სწორედ რომ უაღრესად კეთილშობილ ადამიანს შეუძლია იყოს ასეთი უანგარო და ყველაფრის შემწირავი. სიყვარული ტიციან ტაბიძისათვის კანონდაუწერელი გრძნობაა და ამიტომაც მასზე მსჯავრდება შეუძლებლად მიაჩნდა. მას სწადდა, რომ სიყვარული ძალად არ მოვა, და როცა მოვა, აღარ მიდის, სამუდამოდ რჩება. „რა მოკლავს გულში პირველ სიყვარულს?..“—კითხულობს პოეტი და დარწმუნებული, რომ სიყვარული არასოდეს არ კვდება. მგოსანი არც ტრფობის მიზეზს ეძებს: „სად შემიყვარდა, რად შემიყვარდა? მე არ ვკითხულობ, არც მსურს გაგება“.

ტიციან ტაბიძეს არ დასცალდა თავისი გრძნობების დადუღება. არც ერთ მის განცდას წერტილი არ უზის. ეს გრძნობები და განცდები „ღელვა-დუღილის“ პროცესში დარჩა. პოეტის მღელვარე პოეზიიდან გვესმის შემოქმედის წვა, დავა ყოველგვარ ძველთან, დრომოჭმულთან და დახავსებულთან, დაუღლელი მგზნებარე სულის უკეთესის ძიება.

სწორედ მაშინ, როცა ცხოველმყოფელი მოტივები მომძლავრდა ტიციან ტაბიძის პოეზიაში (ეს კი შინაგანი მწვავე ბრძოლების შედეგად ხდებოდა), დადუმდა პოეტის ლირა. საქართველოს წარსულთან და აწმყოსთან განუყოფელად დაკავშირებულ ტიციან ტაბიძეს სამშობლოს სიყვარულისაგან „არ მოუცლია ერთი ნაბიჯი“. ამიტომ უკვდავია იგი. მისი „საგზალი ლექსები იყო“ — სავსე სიცოცხლის, ადამიანისა და სამშობლოს სიყვარულით.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული კალენდარი

ალ. ჩავლეიშვილი

მზიანი დღის მეკვლე

„საქართველოს მოამგის“ გამოცემის ასი წლისთავის გამო

გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს.

ნ. ბარათაშვილი.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ახალდაარსებული ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ პირველი ნომერი ილია ჭავჭავაძემ გახსნა ნ. ბარათაშვილის ლექსით „შემოღამება მთაწმინდაზე“. ეს ბრწყინვალე ნაწარმოები ბოლოვდება დიდი ოპტიმისტური განწყობილების გამომხატველი ტაეპით. ნ. ბარათაშვილს სწამს, რომ „გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს“. ასეთი მზიანი დილის მეკვლედ გვევლინება ქართველი ინტელიგენციის პირველი დასის (თერგდალეულთა) ის ბეჭდვითი ორგანო, რომელიც „საქართველოს მოამბის“ სახელწოდებით არის ცნობილი და რომლის პირველი ნომერი 1863 წლის იანვარში გამოვიდა. მზიანი დილის გათენება ამ შემთხვევაში ახალი პროგრესული საზოგადოებრივი ურთიერთობის წარმოშობის სინონიმია და უნდა ითქვას, რომ თერგდალეულების მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ დიდ ისტორიულ ეპოქასთან, რომელიც 60-იანი წლების დამდეგს დაიწყო. მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ისტორიაში ეს წლები იყო ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების შედეგად ბატონყმობის გადაგდების ხანა, ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი გაქანების პერიოდი.

ამ ახალი საქმის შესასრულებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბეჭდვითი ორგანოს დაარსებას და თერგდალეულთა მედროშემ ილია ჭავჭავაძემ უპირველესად მის მოგვარებას მოჰკიდა ხელი. 1862 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა შემდეგი ცნობა: „მომავალ 1863 წლის იანვრის თვიდან გამოიცემა თბილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე“. ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები: წმინდა სალიტერატურო, ისტორიული, საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია, კრიტიკა და ბიბლიოგრაფია, სხვადასხვა ანბავი, დამატება... რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებასა, ამაზე არაფერს ვიტყვით. ჩვენ ვარჩევთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი. თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ. ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა. სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და თუ ღონე შეგვეწევა და ცოტათი მაინც ავასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევსძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია".

იმ დროს კავკასიაში მეფის ნაცვლის თანამდებობას ასრულებდა ცნობილი პოეტი გრიგოლ ორბელიანი და მისი დახმარებით მიღებულ იქნა ჟურნალის გამოცემის ნებართვა, მაგრამ იმ პირობით, რომ მასში არ დაბეჭდილიყო „არავითარი პოლიტიკური ცნობები და მსჯელობანი". იმთავითვე ჟურნალი ცენზურის საშინელ არტახებში მოექცა. ამის გამო „მოამბისტებს" ძლიერ მოქნილი და ქარაგმული ხერხების გამოყენება უხდებოდათ, რათა გაეტარებინათ რევოლუციური აზრები და პოლიტიკური შეხედულებები. როგორც პროფ. პ. გუგუშვილი აღნიშნავს, „საქართველოს მოამბის" „მიზანდასახულობა და ამოცანები ილია ჭავჭავაძის მიერ, მეტისმეტი მკაფიობით და მისთვის დამახასიათებელი სიღრმით, გამოთქმულია პუბლიცისტურ საპროგრამო წერილში, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალის პირველსავე ნომერში" (ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, 1941 წ., გვ. 309). ამ მოწინავე სტატიას ეწოდება „საქართველოს მოამბეზედ", რომელიც თერგდალეულთა მანიფესტის ერთ-ერთ ვრცელ დოკუმენტს წარმოადგენს. ჟურნალის მთელი სამოქმედო პროგრამა აქ ზუსტად არის ფორმულირებული და ამიტომ მისი მოკლედ გაცნობა საჭიროდ მიგვაჩნია.

თავის სარედაქციო წერილს ი. ჭავჭავაძე იწყებს იმაზე მითითებით, რომ „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა" (ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. III, 1953 წ., გვ. 56). ამ უპირველესად ხაზგასმულია მოძრაობა-ცვალებადობა, რომ ეს არის ცხოვრების მარადიული კანონი. ამით ილია იმთავითვე დაუპირისპირდა „ცისკრის" ირგვლივ შემოკრებილ კონსერვატორებს, რომლებიც არ სცნობდნენ ცხოვრების განვითარებას, წინმსვლელობას. ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ გააჩინა ღმერთმა და მასში ცვლილებების შეტანა ღვთაების წინააღმდეგ ბრძოლაა, ამბობდნენ ისინი (ბ. ჯორჯაძე, რევაზ ერისთავი, ე. წერეთელი და სხვ.) ილიას გაგებით, მოძრაობის შინაარსს შეადგენს ბრძოლა ძველსა და ახალს შორის, მომაკვდავსა და მზარდს შორის და, რაც მთავარია, ახალი ამარცხებს ძველს. ახალი დაუძლეველია და ასე ხორციელდება წინმსვლელობა: „მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი" (იქვე, გვ. 58). მაშასადამე, განვითარება და წინმსვლელობა არ არის სუბიექტური მოვლენა. იგი ობიექტურია და მისი ფესვები ცხოვრებაში მარხია: „თითონ ცხოვრება აღმშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა". მაგრამ ამ კანონების განხორციელება როდი გამორიცხავს სუბიექტურ ფაქტორს. საჭიროა ადამიანებმა ხელი შეუწყონ ამ კანონების განხორციელებას: „მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ, გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა არ შეაყენოს" (იქვე, გვ. 67).

უპირველეს ყოვლისა, ამ მისიის შესრულებაში დიდია გენიოსის მნიშვნელობა. გენიოსი „გულ-უშიშრად მიდის წინ, როგორც ბელადი წინ მიუძღვის ხალხს და უნათებს თავის ჭკუის სხივებით გზასა. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ჩვენ ამით ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციდამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის დროებისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწიფებული. ის თავისი ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თითონ ცხოვრებაშია" (იქვე, გვ. 57). კაცობრიობის

ბენია გონიერების საუნჯეს აწყობს ხოლმე ორ მარად დაუქცეველ სალაროში, როგორიცაა მეცნიერება და ხელოვნება. ესენი ახსნიან ცხოვრების მოთხოვნილებას, ცნობაში მოიყვანენ მათ და „ამათ შემწეობით გადადის ეს „ახალი“ ისევ ცხოვრებაში და სცვლის ცხოვრებასა. აი, როგორ შევიძელით ვაჩვენოთ, რომ ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ აღმოსული შტოები არიან“ (იქვე, გვ. 62).

მეცნიერებამ და ხელოვნებამ ხელი უნდა შეუწყონ ცხოვრების გაუმჯობესებას. „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, — ამბობს ილია, — როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა“ და ამ ამოცანას ისინი მხოლოდ მაშინ შეასრულებენ წარმატებით, თუ ხალხის ცხოვრებას შეისწავლიან. კერძოდ, ხელოვნება უნდა „ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ-მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა და მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“.

„საქართველოს მოამბეს“ სწორედ ეს დიდი ისტორიული საქმე დააკისრა ილია ჭავჭავაძემ. ბრძოლა სიკეთის განმტკიცებისათვის, ბოროტების განადგურებისათვის, რადგან მისი საშუალებით შეიძლებოდა ახლის გამარჯვება, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება, ხოლო „ჩვენი საქმე, — წერდა ილია, — საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“ (იქვე, გვ. 66).

ისტორიამ გვიჩვენა, რომ „საქართველოს მოამბემ“ და მისი რედაქტორის ი. ჭავჭავაძის ირგვლივ შემოკრებილმა ინტელიგენციამ (გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, ს. ბარათაშვილი, დავით ყიფიანი, პეტრე ნაკაშიძე, მიხ. ყიფიანი და სხვ.) პირნათლად შეასრულეს განახლებული ცხოვრების მოთხოვნილება. ესენი [illegible] დიდი პროგრესულ-დემოკრატიული [illegible] ვაწეები, რომლებიც განიცდიდნენ რუსი რევოლუციონერი დემოკრატების ბ. ბელინსკის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლუბოვის ჯანსაღ გავლენას. ისინი ეყრდნობოდნენ ორიგინალური ქართული კულტურის ჯანსაღ ტრადიციებს და, სარგებლობდნენ რა რუსი რევოლუციონერი დემოკრატების გამოცდილებით, წარმატებით იბრძოდნენ საქართველოს ცხოვრების განახლებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, მათ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს ბატონყმობას, როგორც დიდ სოციალურ ბოროტებას. ამის პირდაპირ თქმა მაშინ ძნელი იყო და ამიტომ ღრმა მეცნიერული არგუმენტაციით ასაბუთებდნენ ცხოვრებაში ცვლილებათა აუცილებლობას. ძველის შეცვლა ახლით ცხოვრების კანონიაო და, მაშასადამე, აქედან თავისთავად გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ბატონყმობაც უნდა შეცვლილიყო.

ამასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძის წერილებთან ერთად ყურადღებას იპყრობენ გ. წერეთლის სტატია „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, დავით ყიფიანის „სხვადასხვა ამბავი“ და სხვ. ეს უკანასკნელი დაიბეჭდა ჟურნალის მეოთხე ნომერში. ამ წერილში ავტორი განიხილავს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ისტორიას, მისი ფორმების ცვალებადობას და ამტკიცებს, რომ ცხოვრება წინ მიდის განუწყვეტლივ, რომ იქ, სადაც ხალხი დაჩაგრულია და მისი მდგომარეობა აუტანელი ხდება, ხალხი ჯანყდება, როგორც მოხდა, მაგალითად, საფრანგეთში. „რაკი საზოგადოებაში უსამართლობა, დაწყობილობის ურიგობა იქამდინ მივიდა, რომ ხალხს თავის დამონებაში ლუკმა პურის მოგების ღონისძიება აღარ ჰქონდა, — მაშინ მოხდა ფრანციელების აღრევა, რევოლუცია“. შეცდომა იქნება თუ ვიტყვით, რომ დავით ყიფიანი მხოლოდ უცხო ქვეყნის ბედით იყო და-

ინტერესებული. პირიქით, როგორც პროფ. პ. გუგუშვილი შენიშნავს, დავით ყიფიანი აფრთხილებს მკითხველს, რომ როდესაც იგი განიხილავს „სხვადასხვა ქვეყნისა და დროების მდგომარეობას, ყოველთვის პირდაპირ თუ არაპირდაპირ მხედველობაში ეყოლება ქართველობა". სწორედ ამიტომ იყო, რომ დავით ყიფიანი მიმართავდა მკითხველს: „შენ მოიფიქრე ხოლმე შენს ქვეყანაზე, ქართველობაზე, იმის მდგომარეობაზე, იმის თანამედროვე მაცოცხლებელსა, თუ მომაკვდინებელ აზრებზე... და ნუ შეგეშინდება, იმ შენმა თავისუფალმა ფიქრებმა სინამდინაც მიგიყვანონ. არა მგონია კი, რომ არ შეგეშინდეს, თუმცა ხანჯალიც კიდევ გარტყია ხოლმე და თოფ-იარაღსაც თვეში ერთხელ გაწმენდავ ხოლმე. იქნება შენი უწინდელი, ძველებური, ჩვენებური მამაცობისაგან მარტო ეგ გარეგნობა, ტრაბახობა-ღა დაგრჩენია". აშკარაა, რომ ცენზორის თვალის ახვევის მიზნით ავტორმა დახლართულად და მოხერხებულად უთხრა ხალხს, რომ ფრანგების მსგავსად იარაღი გამოიყენე და აჯანყდი ბატონყმობის წინააღმდეგო.

ამასვე ამბობდნენ „საქართველოს მოამბის" მწერლები სახეობრივი აზროვნების საშუალებით. ამის კლასიკური ნიმუშია ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!," რომელიც პირველად „საქართველოს მოამბეში" დაიბეჭდა. აქ ბატონყმობა მხილებულია, როგორც ყმაგლეხების რბევა-აწიოკების სოციალური წყობილება.

„საქართველოს მოამბე" იბრძოდა ენის დემოკრატიზაციისათვის, მან დაგმო ანტონ კათოლიკოსის სქოლასტიკური გრამატიკა. ენის დაცვა ხომ ეროვნული ინტერესების, პატრიოტიზმის გამოვლენის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია. „მოამბისტები" ამხილებდნენ ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას და აღიარებდნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. აქ იმაზეც უნდა მივუთითოთ, რომ „საქართველოს მოამბე" ყველა საკითხს ოდი სწყვეტდა სწორად. გარკვევით უნ-ითქვას, რომ თერგდალეულები გადაჭარბებულად აფასებდნენ განათლებასა, ცოდნის როლს. ამ ფაქტორებს [illegible] დამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდნენ საზოგადოების განვითარებაში. „რა აახლებს, რა სცვლის და — თუ ცხოვრება ჯანმრთელია — რას მიჰყავს წინ?" — სვამს საკითხს ილია ჭავჭავაძე და იქვე უპასუხებს: „ცოდნასა და მეცნიერებასა, რომელნიც თვით ცხოვრების ნაყოფნი არიან" (თხზ., ტ. III, გვ. 59). მართალია, ჭეშმარიტი ცოდნა და მეცნიერება ცხოვრების ნაყოფია, მაგრამ იგი მაინც არ არის ისეთი ყოვლისშემძლე ნაყოფი, რომელიც განსაზღვრავდეს ცხოვრების წინმსვლელობას. საზოგადოების განვითარებას უფრო ღრმა ფაქტორები განაპირობებენ. კერძოდ, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა ქმნის საზოგადოების საფუძველს და აქ მდებარეობს მისი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები.

„მსგავსად რუსი მატერიალისტებისა, „საქართველოს მოამბის" თანამშრომლებმა ბოლომდე ვერ განავითარეს თავისი მატერიალისტური თვალსაზრისი და, მიუხედავად ცალკეული გენიალური დაკვირვებისა, საზოგადოების ისტორიის ახსნისას თანმიმდევრულად მატერიალისტურ თვალსაზრისზე ვერ დადგნენ. მართალია, მათ საზოგადოების ისტორია გაიგეს როგორც პროგრესული პროცესი, გაიგეს ისიც, რომ ამ პროცესს განსაზღვრავს არა ღმერთი ან სხვა რაიმე ფანტასტიკური ძალა, არამედ ეს განვითარება, მათი აზრით, თვით ცხოვრების „საჭიროებიდან" წარმოდგება, მაგრამ ეს უკანასკნელი აზრი სათანადოდ ვერ გაშალეს და, ამიტომ, საზოგადოების განვითარების ნამდვილი არსიც ვერ გაიგეს" (ვ. გაგოიძე, „საქართველოს მოამბე", 1956 წ., გვ. 136).

მიუხედავად ამისა, თერგდალეულები და მათი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს მოამბე" ჩვენი ერის ისტორიაში ხელმძღვანელობდნენ დიდ პროგრესულ-დემოკრატიულ გარდაქმნებს. შევნებული

ჰქონდათ ხალხის ძალა ისტორიაში და დიდ წარმატებებსაც აღწევდნენ ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვების საქმეში. ამიტომ მარად უკვდავი იქნება „საქართველოს მოამბე“.

* * *

დასასრულ, გვსურს ყურადღება გავამახვილოთ ერთ გარემოებაზე. როგორც ცნობილია, ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ დღეს ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. იგი ფართო მასობრივი მკითხველისათვის მიუწვდომელია. ამიტომ ძალზე კარგი იქნებოდა, თუ სათანადო საგამომცემლო დაწესებულებები **განმეორებით გადმობეჭდავენ „საქართველოს მოამბის“ ყველა ნომერს.** ამ საქმეს ააადვილებს ის გარემოება, რომ აღნიშნული ჟურნალი მხოლოდ ერთ წელს გამოდიოდა (1863 წ.) და სულ თორმეტი ნომერი გამოიცა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოვლენა ახალი არ არის. იგი პირველად წამოიწყო „საისტორიო მოამბემ“, რომელმაც 1952 წელს განმეორებით გამოსცა ჟურნალი „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“. „საქართველოს მოამბის“ ამგვარი განმეორებითი დაბეჭდვა იქნებოდა ამ ჟურნალის დაარსების ერთი საუკუნის საიუბილეო აღნიშვნის ერთ-ერთი დიდი მაჩვენებელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პავლე ჯორბენაძე

პოეზი-მოქალაქე

ნესტორ მალაზონიას დაბადების 70 წლისთავის გამო

ხალხმრავალ ქუჩაში მხნედ მიაბიჯებს ხანდაზმული მამაკაცი. გამვლელები მოწიწებით ესალმებიან და გზას უთმობენ მას, ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ ბათუმელს. ეს გახლავთ ჩვენი ღვაწლმოსილი პოეტი ნესტორ მალაზონია, რომლის დაბადების 70 წლისთავი ამას წინათ ფართოდ აღნიშნა აჭარის საზოგადოებრიობამ.

ლექსს ბევრი წერს, მაგრამ ხალხის მგრძნობიარე გული ყველა პოეტს როდი იკარებს. ნ. მალაზონიას პოეზიამ კი თავიდანვე ღრმა ფესვი გაიდგა ხალხის გულში. სამოცდაათწლიანი ცხოვრების დიდი შარაგზა პოეტმა მხნედ გაიარა. არასდროს ჩაუმუხლებია, კაცობისათვის არ უღალატნია.

დაიბადა ნესტორ მალაზონია 1892 წელს გურიის პატარა სოფელ მამათში, შრომისმოყვარე გლეხის ოჯახში. მრავალშვილიან ხელმოკლე მამას ძალზე უჭირდა ოჯახის გატანა. შრომა არც ერთ შვილს არ დაზარებია, მაგრამ ღარიბი გლეხის ოჯახში დოვლათს რა დააგროვებდა! შრომაში გაბმულ ბავშვებს სწავლაზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ. მაგრამ ქართველმა გლეხმა ყოველთვის იცოდა განათლების ყადრი და გაგებაც. ამიტომაც იყო, რომ მამამ პატარა ნესტორი სოფლის ორკლასიან სასწავლებელში მიაბარა, შემდეგ კი ხარაზობის შესასწავლად ოზურგეთს გაგზავნა. სახარაზოდან გაქცეული შეგირდი, ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებელში მოეწყო, მაგრამ მისი დამთავრება არ დასცალდა. სასწავლებელში გამეფებულ მკაცრ რეჟიმს, მასწავლებელთა თვითნებობას მოსწავლეებმა გაფიცვით უპასუხეს. აღშფოთებულმა ადმინისტრაციამ გაფიცული მოსწავლეები დაითხოვა. ნ. მალაზონია იძულებული გახდა დაბრუნებულიყო მშობლიურ სოფელში, სადაც იგი წერილების დამტარებლისა და შიკრიკის მოვალეობას ასრულებდა და თანაც ემზადებოდა საოსტატო (სამასწავლებლო) სემინარიაში შესასვლელად. მუყაითმა მეცადინეობამ შედეგი გამოიღო: 1911 წელს მან წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა ხონის საოსტატო სემინარიაში. მაგრამ სასწავლებლის დამთავრება აქაც არ დასცალდა უკვე დავაჟკაცებულ ნესტორს. მას მიატოვებინეს მშობლიური მხარე და მეფის ჯარში გაწვეული შორეულ რუსეთში, ტამბოვში გადახიზნეს. მალე იქედან იგი გერმანიარუსეთის ფრონტზე მოხვდა. 1915 წელს პოლონეთში მდინარე ბზურის ნაპირზე დაზვერვისას მძიმედ დაიჭრა და სამკურ-

ნალოდ გადაგზავნეს ცარსკოე სელოში. მალე გამოსაჯანსაღებლად ნ. მალაზონიკ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სათადარიგო ნაწილში გადაყვანის შემდეგ იგი მოხვდა რუსეთ-თურქეთის საზღვარზე — ართვინის მიდამოებში. ნ. მალაზონია ბათუმში განლაგებული მე-14 ასეულის მწერალი იყო, როცა რუსეთში იფეთქა თებერვლის რევოლუციამ. იმავე წელს, დემობილიზაციის შემდეგ, ნესტორი კვლავ მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.

1919 წლიდან ნ. მალაზონია სოფლის მასწავლებელია, ხოლო 1925 წლიდან მუშაობს ბათუმში — ჯერ ინდუსტრიულ ტექნიკუმთან არსებულ პანსიონში ასწავლის ქართულ ენას, ლიტერატურასა და ისტორიას, ხოლო შემდეგ (1931 წლიდან) მუშაობდა სარაიონო და საოლქო გაზეთების რედაქციებში, სახელმწიფო გამომცემლობის რედაქტორად.

ნ. მალაზონიას პოეტური მოღვაწეობის დასაწყისი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას დაემთხვა. პირველი ლექსი „ფანტაზია“ დაიბეჭდა 1921 წელს ოზურგეთის გაზეთ „გურიის კომუნარის“ აპრილის ნომერში. იგივე ლექსი და პატარა მინიატურა პროზად „ფურცლები . დღიურიდან“ დაიბეჭდა თბილისის გაზეთ „ტრიბუნაში“. მაგრამ ნ. მალაზონია, როგორც ნამდვილი პოეტი, აჭარაში ჩამოყალიბდა. „მწერლობაში ჩემი ფეხის ადგმა და გაზრდა აჭარაში მოხდა“, წერს პოეტი ავტობიოგრაფიაში.

ნესტორ მალაზონიასათვის ლექსი არასოდეს არ ყოფილა მხოლოდ გარითმული ლამაზი სიტყვები. იგი მისი ფიქრების, მისი გულისნადების ღვიძლი პირმშოა. აკი ამბობს პოეტი:

ჩემო გოგონა,
ჩემი ლექსი შვილივით მიყვარს,
მას მხოლოდ ქვეყნის სიყვარული
დავუდე წყაროდ.

სწორედ ჩვენი ქვეყნის სიყვარულით იკვებება ნ. მალაზონიას მთელი პოეზია. ნ. მალაზონიას მთელი გრძნობით უყვარს თავისი სამშობლო, მისი ადამიანები, მათი საქმიანობა, ბუნება. მას ვერ წარმოუდგენია პოეზია ხალხისაგან მოწყვეტილად, განყენებულად, მოესთეტო ადამიანთა თავშესაქცევად. მისი ლექსის სიტყვა, ყოველი მარცვალი სამშობლოსადმი, ხალხისადმი სიყვარულით სულდგმულობს:

მიყვარს ამ ქვეყნის კვამლიც,
ნაცარიც,
ნათელი მზე და გაზაფხულება, —
მოკვდეს იმ ლექსის ყველა
მარცვალი,
სამშობლოს რომ არ ემსახურება.
(„სამშობლოსათვის“)

პოეტის სული და გული მის ლექსებშია ჩაქსოვილი. მისი ყოველი ლექსი პოეტის ამეტყველებული გულია, ფიქრები და მისწრაფებებია:

მასში არის ჩუმი სუნთქვა, სულის
სითბო,
და თუ ვინმე გკითხავს,
ნუ იფიქრებ დიდხანს,
ასე უთხარ — თვით პოეტი არის
შიგ-თქო!
(„წიგნის გამყიდველი“)

ნ. მალაზონიასათვის უცხოა ღვარჭნილი სტილი, მანერულობა, ფორმალიზმი. მხატვრული სახეებით მდიდარი მისი პოეტური ენა უბრალოა, ყველასათვის გასაგები და მისაწვდომი. მისი პოეტური გრძნობები, განცდები უშუალო და შთამბეჭდავია. პოეტს ლექსად მხოლოდ ის ლექსი მიაჩნია, რომელიც გამოხატავს რაღაც კონკრეტულს, გასაგებს და დაკავშირებულია ადამიანის საქმიანობასთან:

სიტყვა უძლებს საუკუნეს,
როცა საქმეს ამშვენებს,
თორემ ვინც კი აკაკუნებს,
ყველა როდი აშენებს.
(„გამხელილი ფიქრები“)

ადამიანი შემოქმედია, ადამიანი მშენებელია და პოეტიც ადამიანს, მის საქმიანობას უმღერის გრძნობით სავსე ლექსებით:

აბა, როგორ ვთქვა ლექსი უგულო,
უფხო, უარხო და უკაშხალო,
როცა სიცოცხლის წყაროს ჩუხჩუხი
უდაბნოების ქვიშას აგრილებს,
როცა ბაღების მთელი სიუხვე
ავსებს ყირიმს და დნეპრის ნაპირებს.
(„ღამით სამგორშიო“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პოეტიც შეჰხარის კოლხიდმშენს, თბილისის ხარაჩოებს, სამგორს, რუსთავს, აჭარის ჩაის პლანტაციებს, ნარინჯოვან ბაღებს.

ნ. მალაზონიას შემოქმედების მთავარი თემა სამშობლოა. იგი უმღერის განახლებულ საქართველოს, მზიურ აჭარას, სადაც მან ფეხი აიდგა, როგორც პოეტმა. გულისტკივილით მოგვითხრობს პოეტი აჭარის ბედკრულ წარსულზე და თავის ლექსებსა თუ პოემებში კონტრასტულად უპირისპირებს ერთმანეთს აჭარის მწარე წარსულს და ბედნიერ აწმყოს.

აჭარის ბედუკუღმართ წარსულს მიუძღვნა პოეტმა თავისი პოემა „ქორწილი", რომელშიც გვიჩვენა თურქთა მიერ აწიოკებული მეხეთი და აჭარა, გადამწვარი და აოხრებული სოფლები, ჩამკვდარი კულტურა. მაშინ შეუძლებელი ჩანდა განსაცდელში ჩავარდნილი ძმების გამოხსნა. საქართველოს, ოდესღაც ძლიერს და აყვავებულს, მერე კი ფეოდალური შუღლით დასუსტებულს, სვავებივით მისეოდნენ გარეშე მტრები. მხოლოდ ჩრდილოეთიდან გამოწვდილმა დახმარების ხელმა წამოაყენა ფეხზე ივარქმნილი საქართველო და დაუბრუნა მას ძალად წართმეული ღვიძლი შვილი. საქართველოსთან აჭარის შეერთების საინტერესო პოეტური გააზრება ნ. მალაზონიას მოცემული აქვს ცნობილი ქართველი მსახიობის ნინო ჩხეიძისადმი მიძღვნილ ლექსში. ბათუმის თეატრში ოსტროვსკის დრამის „უდანაშაულო დამნაშავენი" დედგმისას დედის — კრუჩინინას როლს ასრულებდა ნინო ჩხეიძე, ხოლო შვილის — ნეზნამოვის როლს — მერაბ ხინიკაძე. დედის მიერ შვილის პოვნა ნ. მალაზონიამ პოეტურად წარმოიდგინა და ასე გადმოგვცა:

> დამიდგა თვალწინ
> ოდინდელი ჩვენი ოცნება:
> შენ — საქართველო,
> და აჭარა — ნაპოვნი მერაბ!
> და თქვენს ხვევნაში
> ზეიმობდა ამ დღის მოსწრება —
> დედის და შვილის
> უსასრულო ბედნიერება.

აჭარის არც ისე შორეული წარსული დაგვიხატა პოეტმა თავის პოემაში „გულიზარ", რომელშიც გვიჩვენა [illegible] და მეფის მოხელეთა თვითნებობა, თავგასულობა, თავისუფალი ცხოვრებისათვის მებრძოლი ამბოხებული გლეხობა.

შაგბნელ წარსულს ნ. მალაზონია უპირისპირებს აჭარის განახლებულ ყოფას, ბედნიერ აწმყოს, ხალხის სიხარულსა და ბედნიერებას. თუ წინათ აჭარის ბნელი ხევი უცხოელი დამპყრობლების, ხოჯაბეგების სათარეშო ადგილი იყო, რომლებიც დაუნდობლად ყვლეფდნენ ხალხს, დღეს იქ განათლება და ბედნიერება დამკვიდრებულა, მშრომელებს ელექტროსადგური აუგიათ და ბნელი ღამე გაუთენებიათ:

> ახლა იმ ხევში ელსადგურია
> და ელნათური ედემის გულში..
> ახლა იქ ყოფნას არ ემღურიან..
> როგორც წყევლიდნენ გაჩენას
> გუშინ!
> („ახლა იმ ხევში ელსადგურია")

ნ. მალაზონიას მრავალმხრივ პოეტურ შემოქმედებაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა ომისა და მშვიდობის თემამ. როცა ევროპის გავლით 1941 წელს გერმანელ ფაშისტთა ურდოები ჩვენს ქვეყანას შემოესივნენ, სხვა საბჭოთა პოეტებთან ერთად, ნ. მალაზონია თავისი ჩანგით გულწრფელად ემსახურებოდა სამშობლოს თავისუფლების საქმეს. საბჭოთა ხალხის სამამულო ომს მიუძღვნა პოეტმა მთელი ციკლი ლექსებისა, როგორიცაა „იდგნენ ქვეყნის დარაჯებად", „უკვდავი ძმობა ჩვენი", „საახალწლო", „ჩვენს არტილერიას", „ფრონტელი ქალიშვილის წერილი", „სამი ძმა ლესელიძე", „მფრინავის ბარათი", „წყვილი წინდა", „ბალადა მზარეულზე" და სხვ.

სამამულო ომისადმი მიძღვნილ ლექსებში გარკვეული ადგილი დაიჭირა შვილდაკარგული დედის თემამ („უკანასკნელი ბარათი", „სიმღერა", „გმირი მფრინავი", „წითელარმიელ შვილს", „შენი ბარათი", „მოდიან, შვილო, ჯარისკაცები").

> ვიცოდე მაინც საფლავი,
> დედის გული სად მარხია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვალ და ნაძვებს დაგირგავ,
ტოტებს ალერსით დახრიან.
(„სიმღერა“)

ასე დასტირის დაკარგულ ვაჟკაცს ღალობლებული მშობელი დედა. მაგრამ მშობლის სევდას, შვილზე გლოვას ამსუბუქებს გამარჯვების ყოვლისმომცველი გრძნობა:

ვემთხვიე მიწას და ჩავეკარი,
თითქოს წინ მეწვა ერთაი ვაჟი,
ჩავძახე, როგორც ირემი ხარი
მიწას სისხლიანს ჩაბღავლებს მთაში.
— დედაო მიწავ! სამშობლო-დედავ!
ჩაუქრობელო სინათლევ თვალთა!
მარადის გენთოს კაშკაშა მზე და
ჰყვაოდეს შენი ნათელი კალთა.
(„მოდიან, შვილო, ჯარისკაცები“)

ერთადერთი ვაჟის დაღუპვით გულმოკლული მშობელი იმით ისუგეშებს თავს, რომ „ქვეყნის საკურთხეველში“ მისი „პატარა პატრუქიც იწვის“.

დამთავრდა ომი. ბევრი მებრძოლი დიდების შარავანდედით შემოსილი დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს, ბევრიც გმირულად დაეცა სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მათ პოეტი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს ლექსში „გმირების სადღეგრძელო“.

ყველა იმათ, ვინც თავი არ დახარა,
ვინც გმირობით ჩვენი ხალხი ახარა,
ვისაც სწვავდა ჩვენი ქვეყნის თაკარა
და ვინც სისხლის ყველა წვეთი
ანკარა,
განუხრელად — დიდი იყო,
პატარა, —
ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელოდ
დაღვარა.

ომგადახდილი ვაჟკაცნი, ჯერ კიდევ ფარაჯაგაუხუნებელნი, ვაჟკაცური შემართებით ჩაებნენ შრომის ფერხულში. მაგრამ პოეტმა იცის, რომ ვინც აშენებს, მას მშვიდობა სჭირდება, ვინც ბაღ-ვენახებს რწყავს, მას ომი არ უნდა. მშვიდობა, ომის თავიდან აცილება — აი პოეტის სანუკვარი ოცნება.

ომის წინააღმდეგაა მიმართული პოემა „კმარა“, რომელიც ასე მთავრდება:

კმარა. ერთმანეთს სამეგობროდ
ჩავეკიდოთ ხელი,
ყური დაუგდე, ცრემლიანი ღაღადი
ისმის,
— დაე, დასრულდეს!
დაე, იყოს უკანასკნელი
ჩვენი შვილების
ნათელი და უმანკო სისხლი.

ომი უნდა გამოირიცხოს საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, ხალხს თავს არ უნდა დატრიალებდეს ომის საფრთხე. არა ომი, არამედ მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრება ორი სისტემისა — სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემებისა, აი რას მოითხოვს პოეტი ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, რომელთა ნება და მიზანია-ფება მშობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებსა და სკკპ ახალ პროგრამაში აისახა. ამიტომაც ასე ერთსულოვნად მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებები, ახალი პროგრამა საბჭოთა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ. ამიტომაც ამბობს პოეტი:

კომუნისტების დიდი პროგრამა
ჩემი საბრძოლო პროგრამაც არის.
(„უპარტიო კაცის სიტყვა“)

პოეტისათვის ლენინი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის განსახიერებაა, პარტიისა, რომელიც ერთგულად ასრულებს დიდი ლენინის ანდერძს და გამოხატავს ხალხის ნება-სურვილს.

არის
პარტია ფოლადის რწმენით,
მისი ყრილობის აზრი და ნება,
და ხალხს
მესამე პროგრამის ენით
თვითონ ლენინი ესაუბრება.
(„თვითონ ლენინი“)

მრავალმხრივია ნ. მალაზონიას პოეტური მოღვაწეობა. მისი ლექსების მთავარი წყარო ჩვენი თანადროულობაა. იგი უმღერის ბათუმს („ჩემი ბათუმი“), მას აღელვებს ქალაქის ქუჩებში ყვავილების რგვა („ყვავილები“), ახალგაზრდა მასწავლებლის განცდები („ახალგაზრდა მასწავლებელი“), მეგობრობა („უკვდავი მეგობრობა“) და მრავალი სხვა. ნ. მალაზონია გულცივი მაყურებელი, უგულო მეტატი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანე როდია, მას ცხოვრება უპოეზიოდ ვერ წარმოუდგენია.

რაა ულექსოდ ბაღი და ყანა,
რაა ულექსოდ ხნული და თესლი!
როგორც ცემენტი, როგორც მანქანა,
ისე სჭირდება ქვეყანას ლექსი!

ნ. მალაზონია მრავალი ლექსის, რამდენიმე პოემის და პროზაული ნაწარმოების ავტორია. იგი თარგმანების საშუალებით ქართველ მკითხველებს აცნობს რუსი და საზღვარგარეთელი პოეტების შემოქმედებას. ნ. მალაზონიას საპატიო ადგილი უჭირავს ქართველ საბავშვო მწერალთა შორისაც. აღსანიშნავია აგრეთვე პოეტის საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი ხშირად გამოდის პრესაში წერილებით ჩვენი ცხოვრების საჭირბოროტო საკითხებზე.

შვიდი ათეული წლის თავზე ნ. მალაზონია კვლავ მხნედ გრძნობს თავს და იმედს იძლევა, რომ ქართველ მკითხველს კიდევ გაახარებს ახალი ნაწარმოებებით, რადგანაც ცხოვრებაზე, ბუნებაზე, ადამიანზე, მთებსა და მდელოებზე შეყვარებულ პოეტს არ შეუძლია გაჩუმდეს.

და ამ შვებით,
და ამ ღელვით გული ისე ამევსო —
ას წელს კმარა სასიმღეროდ,
სალაღობოდ, სალექსოდ".

(„სათევზია")

ჩვენც ვუსურვებთ ღვაწლმოსილ პოეტს ქართული პოეზიის საკეთილდღეოდ მრავალი წლის ჯანსაღ სიცოცხლესა და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას.

და ბოლოს მივმართავთ პოეტს გიორგი ლეონიძისადმი მიძღვნილი მისივე სიტყვებით:

იმღერე, კვლავაც იმღერე
ამ მიწისა და ამ ცისა,
სახალხო უთხარ სამშობლოს —
სიმღერა შენი ხალხისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანამედროვეობის სულისკვეთებით

მზიანი დღეა. ფართო ტროტუარზე პატარა ბიჭუნა მიაგორებს სათამაშო ეტლს. გვერდით მას მხიარული, ბედნიერი დედა მიჰყვება...

რა არის უჩვეულო, ამაღლებული ამ სურათში?

თითქოს არაფერი. აბა დღეს ვის გაუკვირდება, რომ პატარა ბიჭუნა სათამაშო ეტლს მიაგორებს? ეს სურათი იმდენად ჩვეულებრივი, იმდენად ყოველდღიური მოვლენაა, რომ ხშირად ყურადღებასაც არ ვაქცევთ. რა უნდა უთხრას მკითხველს ამ სრულიად „უმნიშვნელო“ მოვლენამ? განა მას შეუძლია გამოხატოს თანამედროვე ადამიანის ფიქრი, ჩვენი ცხოვრების სიდიადე?

გადაიკითხეთ გიორგი სალუქვაძის ლექსი „მზიანი დღე, საბავშვო ეტლი და ტროტუარი“ და დარწმუნდებით, რომ თურმე სავსებით ჩვეულებრივი, სრულიად „უმნიშვნელო“ მოვლენებშიც შეიძლება დავინახოთ ჩვენი ეპოქის, ჩვენი დროის სიდიადე, საბჭოური ყოფის თავისებურებანი, ჩვენი ცხოვრების მაჯისცემა და ტენდენცია. ამისათვის საჭირო ყოფილა „მხოლოდ“ დაკვირვებული თვალი, განზოგადების უნარი და, რა თქმა უნდა, ხალასი პოეტური ნიჭი.

პატარა ბიჭუნას სათამაშო ეტლმა პოეტს თავისი ბავშვობა გაახსენა. „იმ დროს საბავშვო ეტლი არ იყო“, და ბავშვები ეეტლის ნამალევად ნამდვილი, ცხენიანი ეტლის უკან სკუპდებოდნენ. ასეთი ონავრობისათვის ძია ნიკოს არაერთხელ მათრახის წვერით აუწვავს მათთვის ზურგი, მაგრამ ისინი თავისას მაინც არ იშლიდნენ. მათ ისევე წყუროდათ თამაში და გასეირნება, როგორც დღევანდელ ბავშვებს. ახლა კი... ახლა სულ სხვა დროა.

ერთმანეთს რომ შეადარა ეს ორი ბავშვობა, პოეტმა თითქოს ხელშესახებად გვაგრძნობინა, თუ როგორ ძირეულად შეიცვალა, როგორ წინ წავიდა ცხოვრება, რა საამური და ბედნიერი გახდა საბჭოთა ბავშვების ყოფა. „ეს ცხოვრება ახლა შენია“, — მიმართავს პოეტი პატარა ბიჭუნას და განაგრძობს: „შენთვის შენდება და მშვენდება დედა თბილისი, მთლად საქართველო!“ ასეც არის. საბჭოთა ბავშვებს უბედნიერესი ბავშვობა აქვთ, ისეთი, როგორიც არ ჰქონიათ არც ერთი დროისა და ქვეყნის ბავშვებს. მაგრამ კიდევ უფრო ნათელი, კიდევ უფრო წარმტაცი იქნება მათი მომავალი. ეს ჩანს პოეტის სიტყვებშიც: „ვარსკვლავებშიაც ინავარდო იქნებ, ვინ იცის“..

ლექსი, როგორც ვხედავთ, არ სცილდება ერთი პატარა ბიჭუნას ბედს, ჩვეულებრივ ყოველდღიურ მოვლენას და მაინც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს თანამედროვეობაზე, შესანიშნავად გამოხატავს მის ტენდენციას, საბჭოური ცხოვრების სიდიადეს. მკითხველისათვის სრულიად აშკარაა, რომ პატარა ბიჭი ამ

შემთხვევაში განასახიერებს მთელ ნორჩ თაობას, რომ მისი ბედნიერი აწმყო შედგება პარტიისა და ხალხის მშობლიური მზრუნველობისა, ჩვენი ცხოვრების სოციალისტური გარდაქმნებისა.

ასეთსავე ასპექტში, უმთავრესად ყოფითი მასალის მომარჯვებით წყვეტს გ. სალუქვაძე ჩვენი დროის სხვა უმნიშვნელოვანეს თემებსაც. მშვიდობა — ეს სიკეთეა, ხალხთა ბედნიერებაა, ჩვენი ბავშვების ნათელი მომავალია. ამ აზრით არის გამსჭვალული პოეტის ერთ-ერთი საუკეთესო ლექსი „ომის ღრუბლები, ჩემი გოგონა და ალუბლები". პატარა გოგონა გატაცებულია მუსიკით, თავდავიწყებით უყვარს მოცარტი, შოპენი და უზრუნველად ცხოვრობს მათი ჰანგების სამყაროში. მამის გულიც „ხალისით მღერის". იგი ბედნიერია... მაგრამ უცბად ომის ღრუბლები მოელანდება, ის საფრთხე მოაგონდება, „საზარელი ატომის სოკო" რომ უმზადებს მის პატარა გოგონას და მასთან ერთად, ცხადია, მილიონობით უმანკო ბავშვს დედამიწის ყველა კუთხეში. მოაგონდება და გული სინანულით, წუხილით ევსება. შეშფოთების, წუხილის ეს გრძნობა ნაცნობი და გასაგებია თვითეული ჩვენგანისათვის, ყველა კეთილნების ადამიანისათვის დედამიწაზე. ამიტომაც გულს გვწვდება პატარა გოგონას მამის სიტყვები, ამიტომაც გვაღელვებენ ისინი. ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ მის წუხილს, შეშფოთებას და ვიზიარებთ მის რწმენასაც, რომ პატარა გოგონა „არ ნახავს საზარელ სოკოს" და „ისევ დაუკრავს შოპენს და მოცარტს". ჩვენი სურვილიც ეს არის. ჩვენც გვსურს, რომ მოცარტისა და შოპენის, ჩაიკოვსკისა და ფალიაშვილის უკვდავი ჰანგები არასოდეს არ ჩაახშოს ბომბების გრიალმა, ჩვენც მტკიცედ გვჯერა, რომ მშვიდობის ძალები გაიმარჯვებენ ომის ძალებზე და ომი საბოლოოდ გამოირიცხება საზოგადოებრივი ცხოვრებიდან.

თემის გადაწყვეტის ასეთი მანერა — „უმნიშვნელო" ყოფითი მოვლენების აქცენტირება და ქვეტექსტის განსაკუთრებული როლი ერთადერთი მხატვრული ხერხი როდია გ. სალუქვაძის პოეზიაში. ის არც „მოდერნისტული" პოეზიის [illegible] მოძახილად შეიძლება მივიჩნიოთ. ასეთ მხატვრულ ხერხს ძლიერ ხშირად მიმართავდა გალაკტიონ ტაბიძე ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ, მაგრამ იგი ფეტიშად არ გაუხდია არც გალაკტიონს და არც სხვა რომელიმე გამოჩენილ ქართველ პოეტს.

გ. სალუქვაძე ითვალისწინებს ამ სასარგებლო ტრადიციას. მან კარგად იცის, რომ რომელიმე ერთი მხატვრული ხერხის გაფეტიშება აღარიბებს პოეზიას, ერთფეროვანს ხდის მას და, მაშასადამე, ასუსტებს მკითხველზე მისი ზემოქმედების ძალას. ამიტომ, როცა საჭიროდ მიაჩნია, იგი გვერდს უვლის „უმნიშვნელო" მოვლენების, ქვეტექსტის აქცენტირებას და ამჯობინებს პირდაპირ გადმოგვცეს სათქმელი, არ ერიდება მებრძოლ პუბლიცისტიკას.

ასე სხვადასხვა მხატვრული ხერხით წყვეტს გ. სალუქვაძე არა მარტო განსხვავებულ, არამედ ერთსა და იმავე თემებსაც კი. საკმარისია დავასახელოთ მისი ორი ლექსი „მეგობრობის სადღეგრძელო" და „იმა სუმაკი მოსკოვის სპორტის სასახლეში".

ლექსში „მეგობრობის სადღეგრძელო" გ. სალუქვაძე კეთილშობილური მღელვარებით, დიდი სიყვარულით გადმოგვცემს, თუ როგორი სიხარულით, რა გულღიად შეხვდა მისი მშობლიური ქალაქი — ბათუმი პოლონელ მეგობრებს, რომლებიც სტუმრად ჩამოვიდნენ აჭარაში. იგი ბედნიერია, რომ ერთმანეთს გადაეხლართა, ერთმანეთს გაეცნენ „შოთას ლექსი და შოპენის ჰანგი", რომ „პოზნანის ველთა სადღეგრძელებლად წამოდგებიან აჭარის მთები!" ასეთივე მღელვარებით გადმოგვცემს პოეტი პერუელი მომღერლის იმა სუმაკის შეხვედრას მოსკოველ მაყურებელთან, მაგრამ ნაწარმოების იდეური ტენდენცია აქ მთლიანად ქვეტექსტში გადააქვს. იგი თითქოს კმაყოფილდება კონცერტის შთაბეჭდილების გადმოცემით, მოვლენის უბრალო აღწერით და ხაზს არ უსვამს, მით უმეტეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

განმარტავს ამ მოვლენის იდეურ შინაარსს. ეს არც არის საჭირო. პოეტი ისე აღწერს პერუელი მომღერლის კონცერტის მიმდინარეობას, რომ ნაწარმოების პათოსი მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი და ცხადია. იმა სუმაკს რომ უსმენდა, ჭეშმარიტი ხელოვნებით მოხიბლული მოსკოველი მაყურებელი მხურვალედ უკრავდა ტაშს. „სპორტის სასახლე ჰგავდა ქარიშხალს, ჰქუხდა მოსკოვის ტაში“. და აი სწორედ ეს ტაში გამოხატავს საბჭოთა ადამიანების დიდ ჰუმანისტურ-ინტერნაციონალისტურ გრძნობას. ისინი უაღრესი პატივისცემითა და სიყვარულით ეკიდებიან ყველა ხალხს, ყველა ხალხის ჭეშმარიტ ხელოვნებას.

და მაინც, ჩვენ გვგონია, რომ გიორგი სალუქვაძეს ნაკლებად იზიდავს ხაზგასმული პუბლიცისტიკა და თავს ლაღად მხოლოდ მაშინ გრძნობს, როცა გადმოგვცემს ლირიკული გმირის სულის მოძრაობას, იმ შთაბეჭდილებას, რაც მასზე გარემოს, ამა თუ იმ მოვლენას, სხვა ადამიანს მოუხდენია. იგი ამჯობინებს გვიჩვენოს არა თვით გარემო, არა მოვლენის მიზეზი, არამედ მათი გავლენა ადამიანებზე, მათი შედეგი. ეს ლექსს აძლევს უშუალობას, თავისებურ ინტიმს, მაგრამ ზოგჯერ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს მას აკლია სოციალურ-მოქალაქეობრივი ყღერადობა, პოლიტიკური აქტუალობა.

ნამდვილად კი ასე არ არის. გ. სალუქვაძის პოეზიის ერთი უმთავრესი ღირსება ისაა, რომ იგი ცოცხალი სინამდვილით საზრდოობს, რომ მასში მკაფიოდ ჩანს ჩვენი დიადი თანამედროვეობა. პოეტი ცდილობს რაც შეიძლება მჭიდროდ დაუკავშირდეს ხალხის ცხოვრებას, ასახოს თანამედროვეობა, რადგან კარგად იცის, რომ ყოველი ლექსი იმდენად არის საგულისხმო, რამდენადაც თანამედროვეობით სუნთქავს, რამდენადაც მძლავრად გაისმის მასში მიმდინარე ცხოვრების მაჯისცემა.

პოეზია, რომელიც მოწყვეტილია ცხოვრებას, ხალხის საჭიროებას, არსებითად უსაგნო და მკვდარია. იგი ვერ მიიზიდავს ხალხის გულისყურს, ვერ გახდება „მისი თანამგზავრი ლბიხში თუ ჭირში“. უთუოდ ცდება ის, ვინც თვალს არიდებს რეალურ სინამდვილეს და მარადიულის საფუძვლებს ეძებს ყოველდღიური მოვლენების მიღმა. ასეთი ხელოვანი ვერასოდეს ვერ შექმნის ნაწარმოებებს, რომლებიც საინტერესონი იქნებოდნენ როგორც ძისი, ისე მომავალი თაობებისათვისაც. მარადიულ ლექს ყოველთვის ხალხის ცხოვრება, მისი ყოველდღიური საზრუნავი ხარმოშობდა და წარმოძობს.

მაგრამ თანამედროვეობაც არის და თანამედროვეობაც. ზოგიერთი „მომოდერნისტო“ პოეტისაგან განსხვავებით, გ. სალუქვაძეს თანამედროვეობა ესმის არა ვიწრო-ინდივიდუალისტურად, არამედ ფართოდ — როგორც ეპოქის სულისკვეთება, როგორც ეპოქის არტერიის ფეთქვა. მისი აზრით, თანამედროვე ადამიანი ის კი არ არის, ვინც თავისი ვიწრო-პირადული ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტილა და იქ მიმდინარე უმნიშვნელო, ფართო საზოგადოებრიობისათვის უინტერესო „პროცესებს“ ეძებს თუ ჭვრეტს, არამედ მხოლოდ ის, ვინც მთელი ხალხის სულიერი ინტერესებით ცხოვრობს და მაღალ ადამიანურ მიზნებს ემსახურება.

ერთ-ერთ ლექსძი („მიზანი“) გ. სალუქვაძე წერს:

ქვეყნიერებავ ისმინე:
ჭერნი ავყარეთ ცისანი,
კოსმოსი დავიმორჩილეთ,
მშვიდობის მტრედებს გიგზავნით.
ისმინე ხალხთა სურვილი:
გატყდეს ვადანი ხმლისანი,
გაწყდეს ატომის ხსენება,
ზრახვანი სულბნელისანი.
მშვიდობა!
შრომა!
სიკეთე! —
აი ცხოვრების მიზანი.

ცხოვრების მიზნის ასეთი განსაზღვრა თავისთავად ცხადყოფს, თუ როგორ ესმის პოეტს თანამედროვეობა, ვინ მიაჩნია მას ნამდვილ თანამედროვე ადამიანად. მისი ლირიკული გმირი — ეს არის კომუნიზმის მშენებელი ადამიანი, ჩვენი სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვანი თანამედროვე, რომელიც დიდი იდეური ცხოვრებით ცხოვრობს და არსებობის უმაღლეს მიზანს ხედავს კაცობრიობის საუკეთესო იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში. და როგორც თავისი ეპოქის ღვიძლი შვილი, იგი გამოირჩევა არა მარტო მაღალი იდეურობით, მორალური სისპეტაკითა და ინტერესთა მრავალფეროვნებით, სულიერი სიმდიდრითა და სილამაზით. ამასთან ერთად მისთვის დამახასიათებელია აზროვნების ფართო მასშტაბი და სიღრმე, რაც საშუალებას აძლევს მას ერთ მთლიანობაში წარმოიდგინოს ახლობელი და შორეული, წარსული და აწმყო.

ყველაზე უკეთ ეს ჩანს გ. სალუქვაძის პატრიოტულ ლექსებში. პოეტის ლირიკულ გმირს უსაზღვროდ უყვარს მშობლიური ადგილები — გურიის პატარა სოფლები — ნაკადული თუ საჭამიასერი, სადაც ფეხი აუდგამს და ბავშვობა გაუტარებია, მაგრამ იგი როდი იკეტება ვიწრო ეთნიკურ ჩარჩოებში. მისი პატრიოტიზმი გაცილებით უფრო ფართოა, უფრო ღრმაა და მთელ ჩვენს დიად სამშობლოს — მთელ საბჭოეთს მოიცავს. ამავე დროს ლირიკული გმირის პატრიოტიზმს ორგანულად ერწყმის ხალხთა ძმობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეა. ამით აიხსნება, რომ გ. სალუქვაძის ლექსებში აჭარა-გურიის გვერდით გვხვდება მოსკოვიც და ვარშავაც, ახლობელი აჭარის მთებიც და შორეული პოზნანის ველიც.

გ. სალუქვაძის პოეზიის ლირიკული გმირისათვის უცხო არ არის არც წმინდა ინტიმური გრძნობები, პირიქით, გულწრფელი, მორალურად სპეტაკი და კრისტალივით სუფთა სიყვარული მისი ერთ-ერთი მთავარი სულიერი ნიშანია. თავისთავად ეს არა თუ ცუდი, ძლიერ კარგია. წავიდა ის დრო, როცა სატრფიალო ლირიკა იდევნებოდა თუ იზღუდებოდა და საბჭოთა ადამიანს მშრალ, ასკეტურ პიროვნებად წარმოგვიდგენდნენ. მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ პოეტი მოჭარბებულ ყურადღებას აქცევს ამ გრძნობას. შეიძლება ასე იმიტომაც გვეჩვენება, რომ მის სატრფიალო ლირიკას აშკარად ეტყობა ერთფეროვნება, განცდებისა თუ მოტივების განმეორება.

ასე წარმოგვიდგება გ. სალუქვაძის პოეზიის ლირიკული გმირი პოეტის ახალ ლექსების კრებულში „ვარსკვლავების წვიმა", რომელიც ამას წინათ გამოსცა „საბჭოთა მწერალმა" თბილისში.

გიორგი სალუქვაძე ახალბედა ავტორი როდია. იგი უკვე მეოთხედი საუკუნეა თავისი პოეტური კალმით გულწრფელად ემსახურება მშობლიურ ხალხს და ამ ხნის მანძილზე შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომლებმაც მკითხველთა და სალიტერატურო კრიტიკის მოწონება დაიმსახურეს. მისი უკეთესი ლექსები ყოველთვის გამოირჩეოდნენ იდეური სიმდიდრითა და აზრის სიცხადით, მხატვრული სახეების მრავალფეროვნებითა და დახვეწილობით, მუსიკალობითა და მელოდიურობით. ზოგი მათგანი საფუძვლად დაედო ცნობილი ქართველი კომპოზიტორების რ. ლაღიძის, შ. მილორავას, ბ. კვერნაძისა და სხვ. სიმღერებს.

ლექსების ახალ კრებულშიც „ვარსკვლავების წვიმა" პოეტმა შეინარჩუნა ეს თვისებები და კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა თავისი იდეური პოზიცია, ესთეტიკური კრედო, ლირიკული გმირის — საბჭოთა ადამიანის ფიქრები და გრძნობები, სურვილები და მისწრაფებანი. ეს გვაფიქრებინებს, რომ „ვარსკვლავების წვიმა" უთუოდ მიიპყრობს პოეზიის ბევრი მოყვარულის ყურადღებას.

ი. ქაუიბაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავშვისა და ულაჯარი

ჯ. ოგოლი

წამოშველეგა

დამწყებმა მწერალმა ალიონ წანწალაშვილმა ერთი რომანი გამოაცხო. რასაკვირველია, გამოცხობას ჯერ ბევრი აკლდა, მაგრამ ბედნიერი ავტორი დაბეჯითებით ირწმუნებოდა, გამომცხვარიაო.

წანწალაშვილმა კარგად იცოდა საკუთარი ნაშრომის ღირებულება, ისიც აშკარა იყო მისთვის, რომ ამგვარ ნაწარმოებს არც თუ ისე კეთილი თვალით შეხედავდნენ გამომცემლობის ხელმძღვანელები და ამიტომ წინასწარ შეუდგა ნიადაგის მომზადებას.

პირველ ყოვლისა გამომცემლობის დირექტორს მოელაპარაკა, სთხოვა, შეეხვეწა, პატივისცემა შეპირდა, მაგრამ საიმედო პასუხი ვერ მიიღო.

— მე რა შემიძლია, ჩემო ძმაო! — უთხრა დირექტორმა. — საგამომცემლო საბჭოში შვიდი კაცია. შენი რომანი ყველას წაკითხული აქვს. რეცენზიას საბჭოს სხდომაზე მოიტანენ, თავიანთ აზრს იტყვიან და, თუ რომანს დადებითად შეაფასებენ, შევიტანთ გეგმაში და გამოვცემთ.

წანწალაშვილი აწანწალდა, დაწანწალდა, საბჭოს წევრები სათითოოდ მოინახულა და თავისი დარდი გააცნო.

მათ შორის კეთილი ადამიანებიც აღმოჩნდნენ. მართალია, დახმარება ვერავინ შეპირდა, მაგრამ რჩევა არ დაიზარეს.

— იცი რა, ჩემო კარგო. — უთხრა ერთ-ერთმა საგამომცემლო საბჭოს გავლენიანმა წევრმა. — მე დახმარებას არ დავიზარებ, ბევრ კარგს რამეს ვიტყვი, შენს რომანსაც შევაქებ, მაგრამ...

— მაგრამ?!

— მაგრამ ხომ იცი, ედგარ ბიჩანაძე როგორი კაცია. რასაც იტყვის, კანონია ჩვენი გამომცემლობის დირექციისათვის. თუ როგორმე მას გადმოიბირებ და მხარს დაგიჭერს... ჰო, მაშინ ყველაფერი შეიძლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქმის ასეთივე პასუხით გაისტუმრეს წანწალაშვილი საგამომცემლო საბჭოს სხვა წევრებმაც.

დაღონდა საწყალი ალიონი. ედგარ ბიჩანაძეს იგი შორიდან იცნობდა, წაუკითხავს მისი კრიტიკული წერილები, უნახავს მასზე ამხედრებული ავტორები, გაბრაზებული მკვლევარები, აღრიალებული ფუნჯოსნები, გამწყრალი პოეტები, შეწუხებული ბელეტრისტები. ერთი სიტყვით, იშვიათად თუ ვინმე იხსენიებდა კრიტიკოს ბიჩანაძეს კეთილად და სიყვარულით, მაგრამ მისი აზრი და შეხედულება მაინც ყველასათვის მოსაწონი და მისაღები იყო, როცა იგი სხვა ვინმეს ეხებოდა.

წანწალაშვილმა დიდხანს უტრიალა იმ სახლს, რომელშიც ბიჩანაძე ცხოვრობდა, სამსახურშიც მიაკითხა, მაგრამ დიდხანს მაინც ვერ გაბედა შეხვედრა და მოლაპარაკება. ბოლოს, როცა შეატყო მეტი გზა აღარ იყო, გაბედა და ერთ საღამოს ოჯახში ესტუმრა.

სტუმარ-მასპინძლობა საქართველოში ძველთაგანვე განთქმულია და რა გასაკვირია, კრიტიკოსიც ემორჩილებოდეს ამ ეროვნულ ტრადიციას. ედგარმა მიიღო რომანის ავტორი და არაყიც კი მიართვა.

გულთბილმა მოპყრობამ წანწალაშვილს გული გაუმხნევა, იმედი მისცა, გაათამამა და ალაპარაკა.

— თქვენ ხართ ჩემი და ჩემი ოჯახის ერთადერთი იმედი. — დაიწყო სტუმარმა. — თქვენზეა დამოკიდებული ჩემი და ჩემი ნაშრომის ბედი. იცხოვრებს და იარსებებს ჩემი ოჯახი, თქვენით იქნება, მოკვდება და დაიღუპება — ისიც თქვენით, — და წანწალაშვილმა ცრემლი მოიწმინდა. — უნდა მიშველოთ, უნდა მომეხმაროთ, თქვენი ერთი სიტყვა მიხსნის ან დამღუპავს.

მასპინძელს ძალიან შეებრალა შველის სათხოვნელად მისული მწერალი, მაგრამ გადაჭრით მაინც ვერაფერი უთხრა.

— რა ვქნა, ჩემო კარგო! — გულთბილად შეხედა მან. — ვერ დაგიმალავ, ჭეშმარიტებას ვერ ვუღალატებ, სინამდვილეს გვერდს ვერ ავუვლი, ვინმეს ხათრისათვის საკუთარ შეხედულებას ვერ შევცვლი. ხოლო თუ ამ პოზიციებიდან შემეძლება წამოშველება, დარწმუნებული იყავით, რომ არ გიღალატებთ. თუ რამე მოვახერხე, გიშველით...

ასეთი პასუხის რაღა იმედი უნდა ჰქონოდა წანწალაშვილს, მაგრამ მაინც კმაყოფილი წამოვიდა. შეატყო, რომ მასპინძელზე გავლენა მოახდინა მისმა ხვეწნამ, სიბრალულისაგან გულიც კი აუჩუყა ამ გულქვა ადამიანს. თუ რამე მოვახერხე, გიშველიო, რომ უთხრა, ესეც რამეს ნიშნავდა.

...საგამომცემლო საბჭოს სხდომაზე ყველა დროულად გამოცხადდა. ურთიერთშორის გადალაპარაკების მიხედვით იგრძნობოდა, რომ წანწალაშვილის რომანი განწირული იყო, მასზე ერთი ღერი კეთილი სიტყვაც კი მაინავის დასცდებოდა, მაგრამ ავტორი, რომელიც კუთხეში მიმალულიყო, მაინც ელოდა სასწაულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას იტყვით, ამხანაგებო! — დღის წესრიგის გამოცხადების შემდეგ გადახედა გამომცემლობის დირექტორმა საბჭოს წევრებს. — რა აზრისა ხართ წანწალაშვილის რომანზე?

შეკითხვაზე ყველამ უკმაყოფილოდ წაიჩიჩა ქოჩორი.

— პატივცემულ ედგარს მივცეთ სიტყვა. — დაიძახა ერთმა.

— მართალია. — დაემოწმა მეორე.

— მეც ასე ვფიქრობ. — თქვა თავმჯდომარემ. — აქ იმღენი არაფერია სალაპარაკო. პატივცემულ ედგარის აზრი სავსებით მისაღები იქნება ჩვენთვის... გთხოვთ, — და კრიტიკოსისაკენ გაიხედა.

— მაპატიეთ, ამხანაგებო, — წამოიწია ედგარი. — მაგრამ მე პატივცემულ წანწალაშვილის რომანი ბოლომდე არ წამიკითხავს... მართალი რომ გითხრათ, ვერ წავიკითხე, არ წაიკითხება... ლაპარაკადაც არ ღირს.

— სწორია! — წამოიძახეს ერთხმად.

— ჩემი აზრით, მისი გამოქვეყნება დანაშაულიც კი იქნება.

— სავსებით გეთანხმებით. — ხელის აწევით თქვა ცნობილმა რომანისტმა, სქელ-სქელმა კაცმა. — ამგვარი ნაწარმოებების გამოცემა სავსებით დასცემს გამომცემლობის ავტორიტეტს. ხომ სწორს ვამბობ, პატივცემულო ედგარ პავლოვიჩ?

— რასაკვირველია, სწორია. — კრიტიკოსის მაგივრად უპასუხა გამომცემლობის დირექტორმა. — მაშ, თქვენი აზრით, წანწალაშვილის რომანის გამოქვეყნება მიზანშეუწონელია? ასეა, არა? მე მგონია, მეორე აზრი არ იქნება.

— რა თქმა უნდა. — დაუდასტურა ედგარმა. — მაგალითად, ამხანაგებო, გასულ წელს ჩვენ გამოვაქვეყნეთ პატივცემული სიკოს რომანი. აბა მითხარით, რა საჭიროებას წარმოადგენდა მისი გამოქვეყნება? პატივცემულ სიკოს არ ეწყინება, თუ ვიტყვით, რომ მისი რომანი მოკლებულია ლიტერატურულ ღირებულებას. მე ძალიან პატივს ვცემ ამხანაგ სიკოს, მაგრამ...

— ეს შენი ახალი უსინდისო გამოხდომაა!!! — წამოვარდა რომანისტი. — შენ არავინ გკითხავს მის შეფასებას!

— ბოდიში, პატივცემულო სიკო! მე მხოლოდ შედარებისათვის მოვიყვანე, თორემ თქვენი რომანი რომ უხამსი რამეა...

— გეყოფა! — გაცხარდა სიკო.

— თქვენ ილაპარაკეთ წანწალაშვილის რომანის შესახებ. — გააფრთხილა დირექტორმა კრიტიკოსი და გრაფინს ჭიქა მიუჭახუნა.

— დიახ, იმაზე მოგახსენებთ. მე წანწალაშვილის რომანი ბოლომდე არ წამიკითხავს, ის ამის ღირსი არ არის... რასაკვირველია... ჩვენ ამას წინათ ჩვენი ახალგაზრდა პოეტის თებო კვახაძის პოემაც გამოვეცით და დიდი დანაშაული ჩავიდინეთ, მაგრამ...

— ბოდიში თქვენთან! — ახლა ახალგაზრდა პოეტმა იშიშვლა ხმა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი. — თქვენ არავინ გკითხავთ ჩემი პოემის შეფასებას. მასეთები ალ. ...
თორემ...

— მაპატიეთ, ამხანაგებო! მე მხოლოდ შედარებისათვის მოვიყვანე, თორემ ისე რა დასასახელებელი იყო აქ ასეთი ნაწარმოები! კიდევ მეტი, მე ძალიან პატივს ვცემ ამხანაგ თედორეს, იგი ჩვენთან ზის ახლა და არ ეწყინება, თუ ვიტყვი, რომ მისი აბდაუბდა მოთხრობების გამოცემით...

— აბლაბუდა და უმსგავსო თვითონა ხარ!—რეზინის ბურთივით ავარდა ადგილიდან ერთი დაბალ-დაბალი კაცი. — მე შენ განახვებ გომბიოების საბუდარს, თუ ვყოფილვარ თედორე ფარფატაძე.

— ამხანაგებო, სიჩუმე! — გრაფინზე ჭიქა კვლავ მიაჭახუნა დირექტორმა.

— ვადროოთ ამხანაგ ედგარს... გთხოვთ!

— მე მეგონა, ამხანაგებო, ჩემი აზრი გაინტერესებდათ, თორემ...

— გვაინტერესებს და იმიტომაც მოგეცით სიტყვა, მაგრამ თქვენ საგანს ასცდით. გთხოვთ, ილაპარაკოთ წანწალაშვილის რომანის შესახებ. — აჯანყებული წევრები ძლივს დაამშვიდა დირექტორმა.

— წანწალაშვილის რომანის შესახებ მე მოგახსენეთ ჩემი აზრი. იგი გამოქვეყნების ღირსი არ არის.

— ტყუილია!

— ცილისწამებაა! — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ადროვეთ, ამხანაგებო, ადროვეთ! — გამომცემლობის დირექტორი ძლივს ახერხებს სხდომის ხელმძღვანელობას. — განაგრძეთ, ამხანაგო ედგარ. მაშ, თქვენი აზრით, წანწალაშვილის რომანი არ უნდა გამოვცეთ? ასეა ხომ? ჩვენც მივიღებთ ასეთ დადგენილებას. დასამატებელი ხომ არაფერი გაქვთ? ასე ჩასწერეთ, ამხანაგო მდივანო, ოქმში. — ჩაულაპარაკა მდივანს.

— დასამატებელი რა უნდა მქონდეს, ამხანაგებო! — იქ მყოფთ მოავლო თვალი კრიტიკოსმა და შენიშნა, რომ მის წინააღმდეგ ათეული კბილი დალესილიყო. — დასამატებელი რა მაქვს! ჩვენი გამომცემლობის დირექტორი საკმაოდ განათლებული და მომზადებული ადამიანია. მან ჩვენზე კარგად იცის ცუდისა და კარგი ნაწარმოებების გარჩევა. მართალია, მისი ახლახან გამოქვეყნებული სქელტანიანი წიგნი „ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ თავიდან ბოლომდე მოჩმახულია და სიყალბეზეა აგებული, მაგრამ...

გამომცემლობის დირექტორს უცებ ცეცხლი მოედო, ხელში რომ ჭიქა ეჭირა, ბრაზმორეულმა გრაფინს მიამსხვრია და წამოვარდა:

— შენ არავინ გავალებს ჩემი ნაწარმოების აქ გარჩევას. — აყვირდა იგი. — თუ ფიქრობ, შენს სიტყვას ვინმე ანგარიშს უწევს, ძალიან შემცდარი ხარ. რას იტყვით, ამხანაგებო?! ჩემი აზრით, წანწალაშვილის რომან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში არის ისეთი მარცვალი, რომ მისი გამოყენება შეიძლება. ჩვენ იგი უნდა გამოვცეთ.

— სწორია, მართალია.

— მე პროტესტს ვაცხადებ! — წამოვარდა კრიტიკოსი.

— დამშვიდდი, დამშვიდდი, ამხანაგო ედგარ! თქვენ აქ მარტო არა ხართ. ჩვენც გაგვეგება რამე.

— სწორია!

— მართალია!

— მე მაინც ვამბობ, რომ წანწალაშვილის რომანის გამოცემა დანაშაულია, ბოროტებაა. — არ ისვენებდა კრიტიკოსი.

— ის ჩვენ ვიცით! — მკაცრად გადახედა მას დირექტორმა. — თქვენ თვითონ განაცხადეთ, რომ წანწალაშვილის რომანი ბოლომდე არ წაგიკითხავთ. მაშასადამე, რახან არ წაგიკითხავთ, არც მის ღირსება-ნაკლზე შეგიძლიათ ილაპარაკოთ.

— მართალია!

— სწორია!

— მაშ, ამხანაგებო, მე კენჭს ვუყრი: ვინ არის მომხრე საგამომცემლო გეგმაში შეტანილ იქნას ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის ალიონ წანწალაშვილის შესანიშნავი რომანი „აფრენილი მწყერები“ გთხოვთ ხელი ასწიოთ... ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... მეექვსე მე ვარ. საკმარისია, ამხანაგებო! დადგენილება მიღებულია ექვსი ხმით. — და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

— ეს რა მიყავით, ბატონო ედგარ, თქვენგან ასეთ მკაცრ თავდასხმას არ მოველოდი. — საყვედურით მიმართა გამარჯვებულმა წანწალაშვილმა კრიტიკოსს, რომელსაც მეორე დღეს ქუჩაში შეხვდა.

— რა მექნა, ჩემო კეთილო, სხვანაირად წამოხმარება არ შემეძლო. — გაუღიმა, ხელი ჩამოართვა და წარმატება უსურვა.

— გასაგებია. — ახლა მიხვდა წანწალაშვილი, რატომ გაიმარჯვა მისმა რომანმა საბჭოს სხდომაზე. — მადლობელი ვარ. ჭეშმარიტებასაც არ უღალატეთ და მეც წამადექით. — უთხრა მან მკაცრ კრიტიკოსს და ხელი მაგრად ჩამოართვა.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/II, 1963 წ. საბეჭდი 5, საგამომცემლო 5 თაბახი.
შეკვეთის № 1119, ემ 00616. ქაღალდის ზომა 60X92. ტირაჟი 2.600.

* * *

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფგამომცემლობათა
სამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია
(ლუქსემბურგის, 22)

69/108

ფასი 40 კაპ.

Тбилиси
Кецховели 5
гос республ. б-ка
6 экз

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„Литературули Аджара"

ОРГАН АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ